# საერთო გაზეთი

№38 (771)
ოთხშაბათი
6 ნოემბერი,
2024 წ.
ფასი 2 ლ.

## დასავლეთი დიდხანს ამზადებდა ზურაბიშვილს, რათა მას მიხეილ სააკაშვილი ჩაენაცვლებინა



## კვლავ გახდება ამერიკა დიადი?!





## ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი...

# სხვისი ოცნებების ასრულება ქართული ოცნება არ არის!

როგორც იტყვიან, მომლოდინე რეჟიმში ვართ სრულიად საქართველო და საქართველოს „დაუძინებელი მეგობრების“ არმია. მანამდე კი, ვუყურებ ამ ადამიანებს პარლამენტსა თუ მის გარეთ მობოჟირეს და ბევრ მათგანთან დაკავშირებით მხოლოდ ერთი შეკითხვა მიჩნდება: რა უნდა ამ ადამიანს პარლამენტში? მხოლოდ ორ განმარტებას მაძლევს გონება: სამედიცინო ლიტერატურაში აღწერილია ფსიქოპათოლოგიური მდგომარეობა, როდესაც ადამიანს მეხსიერების, თვითკრიტიკისა და აღქმის პათოლოგიის ფონზე ცრუმოგონებანი წამოეჭრება (ფსევდორემინესცენციები, ანუ მეხსირების ჰალუცინაცია) და უმაღლესი ფუნქციების დაქვეითებას თან სდევს მორალური სფეროს დეფექტი, ავადმყოფს სინდისის ქენჯნისა და სირცხვილის გრძნობა ეკარგება;

კრიმინალისტიკაში ცნობილია ადამიანის მდგომარეობა, როდესაც ბოროტმოქმედს აუხსნელი მიზიდულობა უჩნდება იმ ადგილისადმი, სადაც დანაშაული ჩაიდინა;

ვფიქრობ, შეკითხვაზე პასუხი მაქსიმალურად მოკლედ და გასაგებად არის გაცემული, — სამშობლოს ღალატისა და ფინანსური სარგებელის მიღების ინტერესის გარდა, ამ ადამიანებს ხომ რეალურად არაფერი ესაქმებათ პარლამენტში...

მართალია, მსოფლიო და, მათ შორის, საქართველოს ისტორია გვისაბუთებს, რომ იყვნენ უზნეო და ქვეყნის მოღალატე მეფეებიცა და პრეზიდენტებიც, მაგრამ სახელმწიფო დედათა მონასტერი არ არის, ამიტომაც არის ყველა ქვეყნის ისტორიაში ერის სულიერი გამარჯვებისა და ზნეობრივი დაცემის ფაქტებიც — კაცობრიობის ისტორია იმ მაღალი ზნეობრივი ფასეულობების მიხედვით ვითარდება, რომლებიც მან ისტორიული განვითარების პროცესში დააგროვა და არა სულიერი ანომალიების მიხედვით...

აშკარად ჩანს, რომ წინასწარ მოფიქრებული სცენარით ხდება ორპარტიული სისტემის დამკვიდრება და ამ სამარცხვინო ფაქტს ერთხელ უკვე განერიდა ბიძინა ივანიშვილი, მაგრამ მაინც რომ ვერ ავცდით, რა ვქნათ ახლა? მოვიდა ახალი ხელისუფლება და რა შეიცვალა?

ყოველი ახალი პოლიტიკური ფერისცვალების უმთავრესი ამოცანაა ადამიანთა შემოქმედებითი პოტენციალის სტიმულირება, რაც ადამიანის ღირსებისა და საზოგადოებრივი ფუნქციის აღიარებაში გამოიხატება, მაგრამ ასე არ მოხდა 2012 წელს და ვეჭვობ, არც ახლა მოხდება. ამდენად, ერმა ისევ არ იცის, რა ხდება მის თავს, არ ვიცით, საით მივდივართ და რა გვევალება თითოეულ ჩვენგანს. ისევ პასუხგაუცემელი რჩება შეკითხვა — ვინ ვართ?

ყოველ ჯერზე, ყველა ახალი პარლამენტის არჩევის შემდეგ, იმის ნაცვლად, რომ ხელისუფლება არკვევდეს საქართველოში, რა გვსურს და როგორ ვაპირებთ ჩვენი სურვილების რეალიზებას, ჩვენი პარლამენტი სკრუპულოზურად არკვევს ვიღაც უვიცების გამოგზავნილ რაღაც რეკომენდაციებს. ყოველთვის „საქართველოს დაუძინებელი მეგობრების“ პრეტენზიები უნდა შევასრულოთ, მათ შორის ბრიყვული და საკმაოდ ხშირად, შეურაცხმყოფელიც.

„ქართული ოცნებისგან“ წინასაარჩევნოდ ჩვენ მნიშვნელოვანი დაპირებები მოვისმინეთ, მაგრამ გვაინტერესებს, იმ უამრავი დაპირებიდან რეალურად რომელთა შესრულებას აპირებს ჩვენ მიერ არჩეული ხელისუფლება ახალი ოთხწლედის განმავლობაში, უპირველესად კი, როდის დაიწყებს „ქართული ოცნება“ ქართული ოცნებების ახდენას — სხვისი ოცნებების აღსრულება ქართული ოცნება არ არის!

აქამდე რაც გაკეთდა, ვხედავთ — ჩვენმა სახელისუფლებო იერარქებმა თანამდებობებზე დანიშვნისთანავე გაიზარდეს ხელფასები — ამ ფაქტს სულმოკლეობისა და სიწუწკის იერი დაჰკრავს. ყოველ ჯერზე ვიფიქრე, იქნებ, ვინმეს აზრად მოუვიდეს საპარლამენტო თუ სამთავრობო ფონდის შექმნა, სადაც მათი ხელფასებიდან შეწირული 500-500 ლარის აკუმულირება მოხდება-მეთქი. რა თქმა უნდა, შეგროვებული თანხა ქვეყანაში არსებულ პრობლემებს ვერ გასწვდებოდა, მაგრამ მთავარი ზნეობრივი საქციელია, რომელსაც ვერანაირი ფინანსური ეკვივალენტი ვერ განსაზღვრავს, თუმცა ამაოდ, უტოპიაში ჩავრჩი...

თუ პარლამენტართა ხელფასების მატების იდეაში ის აზრი დევს, რომ მაღალი თანამდებობის პირებს დიდი ხელფასები უნდა ჰქონდეთ, რათა არ ცდუნდნენ — ფულით მოპოვებული უმწიკვლოება და ერთგულება ვერასდროს იქცევა პატრიოტიზმის, ზნეობრიობისა და ადამიანური ღირსების ნიმუშად, ამიტომ, როგორც შევარდნაძისა და სააკაშვილის ზეობის ჟამს, ახლაც, ხელისუფლებაში მოხვედრა კარგად გაძღომის ნაცადი ხერხია...



სერიოზულად მაინტერესებს, პარლამენტარებს რომ სამარადისო პრივილეგიები იმუნიტეტის დართვით და შთამბეჭდავი ფულადი ანაზღაურება არ ჰქონდეთ, მაინც ასე გაგულისებულები იქნებოდნენ „ქვეყნის სამართავად“? — საფუძვლიანი ეჭვი მაქვს, რომ — არა!

ამ 150 პარლამენტარიდან სათითაოდ რომ ჩამოვთვალო და წვრილ საცერში ჩავყარო გასაცრელად, მათ დასახარისხებლად ოთხი დასტა დამჭირდება მხოლოდ, მათგან ორი დიდი, ერთი ძალზე პატარა, მეოთხე კი საღორის კარზე ჩამოსაკიდებელი.

ნორმალურ სახელმწიფოში, რა თქმა უნდა, კანონით განისაზღვრება ყველაფერი, მაგრამ ჩვენ ერთ-ერთი საშიში სენთაგანი დაგვემართა, — ვხედავთ მოვლენას და არ ვიძიებთ არსს. მავანმა გვითხრა, კანონის უზენაესობა უნდა დავამკვიდროთ ჩვენს ყოფაშიო და ჩვენც გონებაჩლუნგებივით ავყაყანდით და კანონის უზენაესობის აუცილებლობაზე ვსაუბრობთ დღენიადაგ, მაგრამ არ გვინდა იმის გააზრება, რომ კანონს მიღმა სამართლიანობა და ზნეობრიობა იგულისხმება — კანონების მიხედვით ხორციელდებოდა ფაშისტური თუ ბოლშევიკური ტერორიც და კანონის მიხედვით ხორციელდება დასავლური დემოკრატიის ტერორიც...

რადგან უცხოელთა დიქტატი იქცა ჩვენი სატკივარის სალბუნად, უცხოელთა მაგალითებს გაგახსენებთ. როდესაც სამოქალაქო ომი მძვინვარებდა, აბრაამ ლინკოლნმა ხალხს მიმართა: „რა გვჭირს, რა გვემართება, ჩვენ ხომ კულტურული ერის შვილები ვართ!“ ამერიკა არც ერი იყო და ვერც კულტურით მოიწონებდა თავს, მაგრამ მისმა სიტყვებმა შედეგი გამოიღო, ხალხს საკუთარი ღირსებისა და ადამიანური პასუხისმგებლობის იდეა დაანახა;

ჯონ კენედიმ ინაუგურაციის დროს მიმართა ამერიკელ ხალხს: „მოდით, ნუ ვიფიქრებთ იმის შესახებ, რას მოგვცემს ამერიკა დღეს ჩვენ, ვიფიქროთ იმაზე, რას მისცემს თითოეული ჩვენგანი ამერიკას“ და ამ სენტენციის ქვეტექსტს ავსებს რონალდ რეიგანის სიტყვები: „ამ ქვეყნად ძალზე ბევრი რამ არის, რაც ზნეობრივი ადამიანისთვის სიცოცხლეზე გაცილებით მნიშვნელოვანია“;

როდესაც არგენტინის პრეზიდენტს ძვირადღირებული ავტომობილი აჩუქეს, ზნეობრივად მოაზროვნე გონიერმა პრეზიდენტმა ნაჩუქარი მანქანა გაყიდა და ამონაგები თანხა საბავშვო ბაღებს გადასცა;

გერმანელმა ფაშისტებმა ავსტრიის ოკუპაცია რომ მოახდინეს, ქუჩაში გამოსულ მოსახლეობას ერთადერთი ტრანსპარანტი ეკავა ხელში: „ჩვენ გვინდა დავრჩეთ იმად, რანიც ვართ!“

ტეტჩერმა მთავრობის სხდომაზე განაცხადა: „ჩვენი უმთავრესი ამოცანაა, შევინარჩუნოთ ჩვენი ნაციონალური სახე, როგორც უმთავრესი ფასეულობა, რომელიც აზრს სძენს ჩვენს სიცოცხლეს.“

დღეს ჩვენ გვესაჭიროება ახალი პოლიტიკური იდეა და მისი განმახორციელებელი სახელმწიფოებრივი სტრუქტურა.

ქვეყნის საპარლამენტო რესპუბლიკად გარდაქმნის იდეას ის უნდა მოსდევდეს, რომ ასეთ შემთხვევაში საკანონმდებლო და აღმასრულებელი ხელისუფლება ორიენტირებული იქნებიან ქვეყნის ეკონომიკური და პოლიტიკური პრობლემების მოგვარებაზე. ამ ფონზე საჭირო იქნება ისეთი ეროვნული ინსტიტუტის არსებობა, რომელიც წარმართავს ერის კულტურულ ცხოვრებას, იზრუნებს ერის ზნეობრივ მოწესრიგებაზე და ხელს შეუწყობს ჩვენს ქვეყანაში ადამიანის ღვთაებრივი მისიის აღსრულებას — მე არაფერი მეგულება ასეთი...

მეფე ერეკლემ თავის მცირეწლოვან ასულს ორი ბროწეული და შაქარყინული გაუგზავნა ძღვნად და დაპირდა, როდესაც კიდევ მექნება, გამოგიგზავნიო და გაუზავნა, ჩვენ გვპირდებიან და არადროს გვისრულებენ დანაპირებს, ფაქტობრივად, მასხრად გვიგდებენ — ასე ჩანს...

იმდენი რამ არის გაფუჭებული და მომსპარი, საიდან დავიწყო ჩამოთვლა და უპირველესად რისი გამოსწორება მოეთხოვება ახლადმოწვეულ პარლამენტს, მე, დაინტერესებულ მოქალაქეს, ფურცელზე ვერ დამილაგებია და 150-იდან 61-მა უსაქმურმა როგორ უნდა დაალაგოს, როცა სწორედ მათი უდიდესი წვლილია ამ აბურდულობაში...

ძალიან ძნელი იქნება რაიმე შედეგის მიღწევა, როდესაც 89 ალაგებს და 61 ურევს, ფაქტობრივად, ეს ის შეფარდებაა, როდესაც ფაფხური უშედეგოა, ეს კი ხელახალ და გაძლიერებულ უკმაყოფილებას გამოიწვევს უმრავლესობისავე ამომრჩეველში.

ახალმა პარლამენტმა, უპირველესად, საკუთარი პრიორიტეტები უნდა განსაზღვროს და არა სხვის ინტერესებს აეტმასნოს და საკუთარი სამშობლო დააზიანოს...

პირადად მე მიმაჩნია, რომ სანამ სისხლის სამართლის კოდექსში სამშობლოს ღალატისა და ცილისწამების მუხლები არ აღდგება და არ შეწყდება სქესი „მამაკაცის“ გენდერული ნიშნით დევნა და ჩაგვრა, ახალი მოწვევის პარლამენტის საქმიანობა ჩანასახშივე გაწყალებული იქნება!

გარდა ამისა, არ ვიცი, ვის შევღაღადო, რომ ამ დამფრთხალ კანონმდებლებს ყურში ჩაჰყვიროს: **ორგანიზაცია** არის სახელმწიფოს ან კერძო პირთა მიერ შექმნილი გაერთიანება, რომელიც წარმართავს გარკვეულ სფეროს, ხოლო **კონსტიტუცია** არის განსაკუთრებული წესით მიღებული უმაღლესი იურიდიული ძალის მქონე სახელმწიფოს ძირითადი კანონი. სანამ ამ მარტივ ჭეშმარიტებას არ გაითავისებს ახალი მოწვევის პარლამენტი და არ მიხვდება, რომ რაიმე ორგანიზაციაში გაწევრიანებისკენ სწრაფვა სახელმწიფოს კანონი ვერ იქნება, ისეთივე დაკაბალებული იქნება, როგორიც აქამდე იყო...

რომელი ორგანიზაციისკენ სწრაფვაც ჩვენ გვიწერია კონსტიტუციაში, ამ ორგანიზაციის რომელ წევრ ქვეყანას უწერია ასეთი კანონი თავისი ქვეყნის კონსტიტუციაში?! — სირცხვილია!!!

**მაია ჭელიძე**



**საქართველოს პრემიერ-მინისტრი**
**ირაკლი კობახიძე მთავრობის სახელით,**
**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის,**
**გიორგი ხარჩილავას**
**გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს და თანაუგრძნობს გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს.**

* * * *

**„საერთო გაზეთი“ გამო მწუხარებას გამოთქვამს**
**წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის,**
**გიორგი ხარჩილავას**
**გარდაცვალების გამო**




# მტკიცებულებების დასტა ისეთი უნდა „ქართულ ოცნებას“ რომ აქვს

წლების წინათ, ინტერნეტ-სივრცეში უკრაინიდან გადმოტანილი ფოტოშოპით გაკეთებული სურათი გამოჩნდა წარწერით: **„Срочно! В Киеве избили Маккеина!!! Ну наконец то… мечты сбываются“**, რომელზეც თავპირდასისხლიანებული და „შებინტული“ ჯონ მაკკეინი ინტერვიუს აძლევდა ჟურნალისტებს. სურათს, მიუხედავად იმისა, რომ ყველამ იცოდა, ნაყალბევი იყო, მოწონების გამომხატველი კომენტარები არ აკლდა, რაც ქართველი ინტერნეტმომხმარებლის განწყობას გამოხატავდა — მართლა ეხილათ დემოკრატიის სახელით ამჯერად კიევში ჩასული ნაცემი მაკკეინი, რადგან მაკკეინი მიხელ სააკაშვილის მამობილი და საქართველოში მისას მფარველი აშშ-ის სახე იყო.

ახლა რომ ფოტოშოპით გაკეთებული მსგავსი ფოტოები გამოფინოს ვინმემ კრებსითი დასავლელი ლიდერების სახით, როგორ გგონიათ, ნაკლები მოწონება ექნება?

მართალია, საკითხავია, რანაირად გახდნენ ლიდერები, როდესაც მყვირალა ორგანიზაციების არაერთი წარმომადგენელი, ეჭვმიტანილი, მხილებული, ან დასჯილია კორუფციულ სქემებში პირდაპირი თუ ირიბი მონაწილეობის გამო, მაგრამ მაინც. ასეთი ორგანიზაციების წარმომადგენლები რომ ჩემს სამშობლოს თავიანთი ქვეყნების უკანა ეზოდ რომ მიიჩნევენ, ცხადია, მწყინს, თუმცა მათზე რა უნდა ვთქვა, როდესაც ჩემს საქართველოს გველები გაუზრდია საკუთარ უბეში.

ჩატარდა 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები. ხელებშიშველ „ქართულ ოცნებას“ კვლავ ნდობა გამოუცხადა საქართველოს მოსახლეობის უმრავლესობამ. ახლა, ნაცვლად იმისა, რომ აღიაროს კრებსითმა დასავლეთმა საკუთარი უილაჯობა, ამ უსამშობლოებს აწკავწკავებენ, რომლებმაც განუზომელი ფინანსური და რაცკი რამ არსებობს, იმ მხარდაჭერის ფონზეც ვერაფერი გააწყვეს. ესენი, ეს პატრონდაქცეულები, მაინც იმ პატრონებს ეგლასუნებიან ფეხებზე და ცალ ფეხზე ხტიან, რომლებმაც, ფაქტობრივად, უკვე უგანეს თავიანთ ვადაგასულ ლაქიებს.

ძალიან მაინტერესებს, როგორ დასრულდება ამბავი საქმისა, „ჩემი შენ გითხარიო, გული მოგიკალიო“. ამ დრომდე არც საქართველოს ე. წ. პრეზიდენტი და არც „ქართული ოცნების“ სხვა ცილისმწამებლები პროკურატურის მოთხოვნას არ უსმენენ, არ ცხადდებიან ჩვენების მისაცემად. მიზეზი უმარტივესია, ხელთ არ აქვთ არანაირი მტკიცებულება, რომ „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნები გააყალბა, პირიქით კი, გაგიხარია, მტკიცებულებების დასტა ისეთი უნდა, „ქართულ ოცნებას“ რომ აქვს.

ბატონმა შალვა პაპუაშვილმა რა ილაპარაკა დეზინფორმაციასთან დაკავშირებით, ან ბატონმა მამუკა მდინარაძემ რა მტკიცებულებები გადმოშალა, აღარ გავიმეორებ, ნებისმიერ დაინტერესებულ პირს შეუძლია მოიძიოს. ბატონი მამუკას მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებებით, დიდი ალბათობით, გამოძიება სერიოზულად დაინტერესდება და კანონი იმუშავებს;

არც იმის გამეორებას შევუდგები, რასაც დადასტურებულად ამბობენ ოპოზიციის ის ღირსეული წარმომადგენლები, რომლებიც სახელმწიფოებრივად აზროვნებენ და სკრუპულოზულად ასაბუთებენ, რატომ არ და ვერ გაყალბდებოდა არჩევნები — ამის მიძებნაც მარტივია;

მე მხოლოდ შორეული ყასიდი სამძიმარი შემიძლია შევუთვალო დაშლილებად წარმოდგენილ კრებსით „ნაცმოს“ და დავუპრუწუნო — აპრუწუწუნ!

დადგნენ და იფიქრონ, როგორ დაუკავშირონ ერთმანეთს „სომხური კარუსელები“, რუსი ჰაკერები და ამერიკული მთვლელი მანქანები, სხვა რა საქმე აქვთ...

## შოუმან! შოუმან! – ოპოზიციავ!

ამ უსამშობლო შარისთავებს თუ კალაძემ კარვებით დაამახინჯებინა კოპწია რუსთაველის პროსპექტი, ის მაინც არკვიონ, ვინ ჩასახლდება იმ კარვებში, რადგან სახეზე იქნება არა საქართველოს მოქალაქეების პროტესტი, არამედ უსამშობლოების მავნებლური განზრახვები. მთელი უბედურება იმაში მდგომარეობს, რომ ცოდნისუქონლებს წარმოდგენა არ აქვთ სახელმწიფო მართვის ელემენტარულ საკითხებზე და იჯერებენ იმ ზღაპრებს, რასაც სახელდახელოდ შეუთხზავენ ქართველი პატრონები ქართულ ენაზე. დაწყებული — ზურაბიშვილი არ გახსნის პირველ სხდომას და ვერ გაიხსება პარლამენტი, დამთავრებული — არ შევალთ პარლამენტში!

პარლამენტის ბლოკირებას მოვახდენთო, — მოახდინონ, რა პრობლემაა, ოღონდ, ჩამოყალიბდნენ, სიის მიხედვით დალაგდებიან თუ სიმაღლის მიხედვით. საქმე ის არის, რომ ამ ქმედებაზე ადმინისტრაციული პასუხისმგებლობა აღარ ეკისრება, ახლა ეს ქმედება უკვე სისხლის სამართლის კოდექსით ისჯება, რაც აპრობირებული პრაქტიკაა დემოკრატიულ ქვეყნებში და ამ პრაქტიკას პირნათლად შეასრულებს საქართველოც — ეს თუ იციან, ნეტავ, ფულის მონა „პრადვინუტი“ უსამშობლოების ფულის მონა დაბალი დონის უსამშობლოებმა?

ახლა უნდათ, ხელახალი არჩევნები მოითხოვონ, უნდათ, კარვებში დასახლდნენ და ისემც უქნიათ, პარლამენტის კედლებზე უხლიათ თავი!

კარვებში დასასახლებელთა ამბავი ცალკე საკითხად მაინტერესებს — ასეთი ჭკუათხელები ვინ არიან, განა რა თანხას უხდიან ერთ ღამეში, რომ კარავში ძაგძაგი ულირდეთ. სამას ლარს? დავიჯერო? — აბა, სამას ლარად იმდენ კიკუს შეაგროვებენ, თბილისში საშოვარზე ჩამოსული უწიგნური პროლეტარების ლაშქარი გამოვა.

ვინც უნდა იყვნენ, ის მაინც არ იციან, რომ მათთვის ფულის გადამხდელები თბილად იკოტრიალებენ ლოგინში და ცხელი საჭმელ-სასმელითაც ამოიყორებიან, მათ კი გოშიასავით დაუგდებენ ცივ ხაჭაპურს ან ლობიანს, დაუდგამენ კოკა-კოლას და კარვის კარზე, ფინჯანი ყავის თავზე, მიშას სურათს დაუკიდებენ?!

თუმცა, კარავში დასაბინავებლებისა რა მიკვირს, მარიკა სარაჯიშვილისა არ იყოს: „რამდენი მილიონერი ჰყავთ, ხაზარაძიდან დაწყებული, რომელი ერთი ჩამოვთვალო, ჩარკვიანი და ნაყოფიათი დამთავრებული... და წვალებით ნაშოვნ ფულს აგზავნინებენ ემიგრანტებს... ან იმ ენჯეოებს რამხელა დაფინანსება აქვთ, დაწერენ „შემოწირულობააო“ და დედა მოუა, სადაც უნდა, იქ გადაისვრიან იმ ფულს... ვის მიჰყვებით, ხალხო, ვის დაკრულს უკრავთ ტაშს, დაფიქრდით ცოტა. ფულს რომ ვერ ითვლიან, წონიან და კაპიკებს ვერ იმეტებენ, ისევ ხალხის კისერზე უნდათ, გააკეთონ ყველფერი და ესენი თქვენთვის ან სამშობლოსთვის გაიმეტებენ რამეს სასიკეთოს?“

მიშას კიდევ, რა! მთლად ძველებურად ვეღარ ერთობა, მაგრამ მაინც „ნაცმოს“ ის „ბებერი ხარია“, ისევ ბნედას რომ სცემს თავის უთავო წვრილფეხობას, თუმცა ილეთები დაუძველდა და ვარდები გაუხუნდა, გარეთ 2024 წლის მიწურულია, ის კი ისევ 2003 წლის ნოემბერშია ჩარჩენილი.

იმხელა უსტარი მისწერა ნათესავებს, ჩემო ძვირფასო სომეხო თანამემამულენო, თქვენი პატრიოტიზმის და სიბრძნის იმედი მაქვსო და პასუხად რა მიიღო — დაუწიტეს წერილზე:

ახალციხე: ოცნება - 61,63%;
ადიგენი: ოცნება - 66,06;
ასპინძა: ოცნება - 69,92;
ახალქალაქი: ოცნება - 87,792;
ნინოწმინდა: ოცნება - 88,191.

ნინოწმინდაზე გამახსენდა — ზოგადად, ადამიანმა რომ საარჩევნო ოქმის წაკითხვა არ იცოდეს, სამარცხვინო და დასაძრახი არ არის, მაგრამ იმ პირზე, რომელსაც წარმოდგენა არ აქვს საარჩევნო ოქმის შევსებაზე ან მის წაკითხვაზე და საკუთარი უმეცრების დემონსტრირებას დემაგოგობას უთავსებს, რითიც ისედაც ტვინგალაყებულებს უფრო ულაყებს ტვინს, ვერ გავჩუმდები!

ვინმე რიგითი მოქალაქე რომ იყოს, კიდევ არაფერს ვიტყოდი, მაგრამ ეს ქალბატონი პარტია „გახარია-საქართველოსთვის“ სამცხე-ჯავახეთის წარმომადგენელია და ასე მრავალგზის სამარცხვინოდ არ უნდა გამოიჭენოს თავი. 2007-09 წლებში, სოზარ სუბარის



6 გვ.

# დასავლეთმა საქართველოში საყრდენი დაკარგა



***გვესაუბრება არასამთავრობო ორგანიზაცია „ყოფილი პოლიტპატიმრები ადამიანის უფლებებისთვის“ თავმჯდომარე ნანა კაკაბაძე:***

**— ქალბატონო ნანა, „ქართულმა ოცნებამ“ არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა. ეუთო/ოდირმაც აღნიშნა, რომ არჩევნები კონკურენტუნარიან გარემოში ჩატარდა. რა რეალობა გვაქვს პოსტსაარჩევნო პერიოდში?**

— 2024 წლის საპარლამენტო არჩევნები ისტორიული მნიშვნელობის იყო, რამაც ბევრი პოზიტიური მომენტი გამოკვეთა. პირველ რიგში, ქვეყნის შიგნით და გარეთ მყოფ არაკეთილმოსურნეებს დაანახა, რომ ქვეყნის მუდმივი რყევა იმ მეთოდებით, რასაც საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ იყენებდნენ, ვეღარ მოხდება. ისინი ცდილობდნენ, საქართველო ფორმალურად ყოფილიყო დამოუკიდებელი, რეალურად კი მათ კოლონიად დარჩენილიყო. ეს პროცესი ამ არჩევნებმა დაასრულა. სრულიად განულდა არა ოპოზიცია, არამედ ის აგენტურა, რომელიც ქვეყანაში უცხო ძალის დაკვეთებს ასრულებდა, რაც მნიშვნელოვანია. აგენტურის არგუმენტები ყოველგვარ რეალობას სცდება. ეს ვაიოპოზიცია მთლიანად გაშიშვლდა, ნიღაბი ჩამოსძვრა. გაჰყვირიან: არჩევნები გაყალბდაო, მაგრამ ვერ ასაბუთებენ, არავითარი მტკიცებულებები არ გააჩნიათ. აღსანიშნავია, რომ 2024 წლის არჩევნებზე გამოვლენილი დარღვევების რაოდენობა ბევრად ცოტა იყო, ვიდრე წინა არჩევნების დროს. რაც მთავარია, გარე მტრებმა დაინახეს — ძალამ, რომელიც მათთვის მიუღებელი იყო, მაგრამ ქართველმა ხალხმა ნდობა გამოუცხადა და აირჩია, ოთხჯერ მეტი ხმა აღარ, ვიდრე მათმა დასაყრდენმა ე. წ. ოპოზიციამ. დასავლეთმა, ფაქტობრივად, საქართველოში საყრდენი დაკარგა. დასავლეთი ქართველ ხალხს ღირსების შემლახავი ტონით მიმართავდა და სათანადო პასუხიც მიიღო.

2024 წლის არჩევნებზე ხალხის აქტივობა 2012 წლის საპარლამენტო არჩევნებზე მისული ამომრჩევლის რაოდენობას გაუტოლდა. მაშინ ქართველი ხალხი, ფაქტობრივად, სააკაშვილის რეჟიმის წინააღმდეგ აჯანყდა. მოსახლეობამ დაინახა, რომ მშვიდობას საფრთხე დაემუქრა და ხმის მისაცემად დაირაზმა. **ამ არჩევანით დასავლეთს ყველა კითხვაზე პასუხი არა ხელისუფლებამ, არამედ ქართველმა ხალხმა გასცა.** დღეს ჩვენს დაუძინებელ მეგობრებს ერთადერთი გზა დარჩენიათ — ან ის ხელისუფლება აღიარონ, რომელიც ქართველმა ხალხმა აირჩია, ან იმ წაგებულ თამაშში ჩარჩნენ, რაშიც მათი აგენტურაა შესული.

პრემიერმა ახსენა, რომ რუსეთ-უკრაინის ომის დასრულების შემდეგ, დასავლეთთან პოლიტიკა გადაიტვირთება. დიახ, დასავლეთმა უნდა გადახედოს იმ უღირს პოლიტიკას, რომელსაც ბოლო წლებია, ჩვენს წინააღმდეგ აწარმოებს. დღეს ახალი მსოფლიო იბადება, სადაც საქართველოს განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. ის საჭირო ხდება როგორც აშშ-ისთვის, ისე მისი გავლენის ქვეშ მყოფი ევროპისთვის. მათივე საჭიროებიდან გამომდინარე, იძულებულნი გახდებიან, საქართველოს მიმართ წარმოებულ პოლიტიკას გადახედონ.

მნიშვნელოვანია ისიც, რომ აგენტურის განულებამ, რომელსაც ოპოზიციის მანტია აქვს მოსხმული, რეალური ოპოზიციის შექმნის შესაძლებლობა გააჩინა. იმედია, 2025 წლისთვის პოლიტიკურ ველზე ისეთი ოპოზიციური ძალები გამოჩნდებიან, რომლებიც საკუთარი ქვეყნის ინტერესებს გაატარებენ და არა — უცხოეთისას. ყველა ქვეყნის ინტერესი უნდა დაბალანსდეს. მე სულაც არ ვფიქრობ, რომ რომელიმე ქვეყნის მიმართ მტრულად უნდა ვიყოთ განწყობილი. პირიქით, ყველა ქვეყნის ინტერესი უნდა იყოს გათვალისწინებული, მაგრამ უპირველესად, საკუთარი.

**— თქვენ პირველი იყავით, ვინც ნაცების გასამართლებას ითხოვდა. დღეს რამდენად რეალურად გესახებათ ამ დაპირების შესრულება?**

— დიახ, ამის მოლოდინში დიდი დრო გავიდა. ხალხი სამართლიანობის აღდგენას — რეჟიმის გასამართლებას ითხოვდა. 2012 წელს ეს დაპირება ვერ შესრულდა. მაგრამ შედეგი, რაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების შედეგად დაიდო, მოწმობს, რომ **რეჟიმი უკვე გასამართლდა, ოღონდ, ქართველი ხალხის ხელით. დიახ, ეს განაჩენია — ნაცები, საბოლოოდ, პოლიტიკურ სანაგვეზე ქართველმა ხალხმა გაუშვა.** მიშას ტერმინს თუ დავესესხებით, ის ბალასტი, რაც ქვეყანას ანჯღრევდა, ჩაირეცხა. მალე დამთავრდება მათი ეიფორიაც — „მოვიგეთ, გავიმარჯვეთ“-ს მახილი. ხალხი ხვდება, რომ მათი ყიჟინა მოპარული ხმების თაობაზე, რეალურად არაფერს ეფუძნება. როცა ველზე რეალური ოპოზიცია გამოჩნდება, არჩევანის საშუალებაც იქნება. მე ყოველთვის მთავრობის ოპოზიცია ვიყავი. ეს ერთადერთი გამონაკლისია, როცა მხარს ხელისფლებას ვუჭერ. მიზეზი ის არის, რომ ამჯერად ქვეყანას ოპოზიცია კი არა, მტრები ჰყავს, რომლებიც საკუთარი სამშობლოს წინააღმდეგ, გარე მტრებისგან იმართებიან.

გადავხედოთ ევროსაბჭოს მიერ საქართველოს წინააღმდეგ მიღებულ რეზოლუციებს რომელი ქვეყნების დეპუტაცია აწერს ხელს? — ისინი, რომელზეც აშშ-ს დიდი გავლენები აქვს. ძნელი მისახვედრი არ არის, ვის სურს, საქართველო მისი კოლონია იყოს. როცა დისიდენტები საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ ვიბრძოდით, ჩვენი ყველაზე ძლიერი მოკავშირე სწორედ აშშ იყო. მაშინ გვეგონა, რომ ამერიკა საბჭოთა ხალხთან ერთად, რესპუბლიკების თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისთვის იბრძოდა. რეალურად აღმოჩნდა, რომ ბრძოლა იყო იმისთვის, რომ ერთი ბატონი მეორეთი შეცვლილიყო. იმედია, გადატვირთვის პოლიტიკის მერე რეიგანისდროინდელი ამერიკა დაბრუნდება — როცა მასთან ერთად თავისუფლებისთვის ვიბრძოდით. გადატვირთვის პოლიტიკის მერე, ჩვენი სუვერენიტეტი რეალობად უნდა იქცეს და არა — ფარსად. გვეუბნებიან: საქართველო სუვერენული ქვეყანაა, გაერო-ც გცნობთ, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანასო, მაგრამ რეალურად ვასალად, მონებად მიგვიჩნევენ. იმედია, აშშ-ში არჩევნების შემდეგ, ფსევდოლიბერალური ფაშიზმის ჰეგემონია, რომელიც მსოფლიოში, ე. წ. დემოკრატიულ ქვეყნებშია გაბატონებული, დასრულდება. **ახალ მსოფლიოში რეალურად შესაძლებელი გახდება, რომ მართლაც სუვერენული ქვეყანა ვიყოთ.**

**— ბაიდენმა საქართველოში ჩატარებული არჩევნები არ აღიარა, მეტიც, გამჭვირვალობის კანონის გაუქმება ისევ მოგვთხოვა...**



— ამერიკა სუპერსახელმწიფოა და ამიტომ მიიჩნევს, რომ პატარა ქვეყანაზე დიქტატი უნდა განახორციელოს, გვეუბნება: არჩევნებს ვაღიარებთ, ოღონდ თქვენ გამჭვირვალობის და „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონები გააუქმეთო. საქართველომ იმ კანონებით უნდა იმოქმედოს, რასაც ხალხის მიერ არჩეული პარლამენტი დაამტკიცებს. ამერიკისთვის საქართველოში მათი აგენტურის გამჭვირვალობა და ლგბტ პროპაგანდის აკრძალვა მიუღებელია, რადგან იციან, რომ ამ კანონებით ჩვენს ქვეყანაზე მათ ბატონობას დავასრულებთ.

**— ოპოზიციის გეგმებზე რას იტყვით, როგორ მუშაობენ „ტოპტვინები“?**

— „ტოპტვინებმა“ განაცხადეს „ტოპაიტიშნიკებთან“ ვთანამშრომლობთო. როცა აშკარა სიყალბეა, ამას „ტოპაიტიშნიკებიც“ ვერ უშველიან. ამ არჩევნებმა ოპოზიციის ტყუილებს ფარდა ახადა. ნაცები ამბობენ: პროდასავლელები ვართო, არადა, ასეთი ბოლშევიკური რეჟიმი, როგორიც სააკაშვილის ხელისუფლება იყო, არ ვიცი, ფაშიზმის გარდა, კიდევ თუ იყო სადმე. ციხეებში ადამიანების გაუპატიურებას, ქუჩებში ახალგაზრდების ჩახოცვას, მოსახლეობის გაკულაკებას დემოკრატია, პროდასავლურობა უწოდო, ხოლო დღევანდელ ხელისუფლებას რუსეთისკენ მიმავალი, ეს რუსეთის რეკლამას, ხალხისთვის თვალში ნაცრის შეყრას უფრო ჰგავს, ვიდრე დასავლურ ორიენტაციას. ამ კუთხით სტრასბურგის სასამართლოზე უკეთესი არბიტრი სამყაროში არ არსებობს. ევროსასამართლომ სააკაშვილისდროინდელი და ამჟამინდელი ხელისუფლების მიერ გამოტანილ განაჩენებზე სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღო, სადაც ღიად არის ნათქვამი, რომ მიშას დროს ჯოჯოხეთი ტრიალებდა, ახლა კი სამართლიანი გადაწყვეტილებები მიიღება. ამის ფონზე კოლექტიურმა ნაცებმა რაც უნდა იძახონ: ჩვენ ევროპა ვართ, ხელისუფლება კი რუსეთისკენ მიგაქანებთო, ფაქტი ჯიუტია.

**— „ისფედი“ პარალელური დათვლის შედეგების გამოქვეყნებაზე უარს აცხადებს...**

— ამით ის ამბობს, რომ ამ ფსევდოლიბერალური ფაშისტური ძალის, მაფიის ნაწილია. სად გინახავთ, რომ ძაღლმა ძაღლის ტყავი დახიოს?! „ისფედი“ აცხადებს: ჩემს მიერ ჩატარებული პარალელური დათვლის შედეგების თავადაც არ მჯერაო. მსგავსი აბსურდი, მოგისმენიათ?!

**— პრეზიდენტმა არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა, თუმცა პროკურატურაში გამოკითხვაზე არ მივიდა...**

— ამ ყველაფერზე პასუხი ზურაბიშვილისადმი მილერის მოწოდება იყო: „პრეზიდენტმა თქვა, რომ დარღვევებზე ინფორმაცია აქვს. იმედი მაქვს, ამას გაასაჯაროებს და რელევანტური იქნება ნებისმიერი გამოძიებისთვისო“. ეს, ფაქტობრივად, ოპოზიციისთვის სილის გაწვნა იყო. დასავლეთმა პრეზიდენტსაც და ოპოზიციასაც უთხრა: სისულელეებში ფულს აღარ გადავყრით. თუ მტკიცებულებები გაქვთ, დადეთ, თუ არა, თავი დაგვანებეთო. დასავლეთმა უზარმაზარი თანხები გაიღო და სანაცვლოდ, ხელთ არასერიოზული აგენტურა შერჩა, რომელიც არათუ საზოგადოების მიმხრობას, ტყუილის თქმასაც ვერ ახერხებს წესიერად. საქართველოში ნჯო-ების იმიჯი, დაარსების დღიდან დღემდე, რეიტინგული არასდროს ყოფილა. ხალხს მათთვის მხარდაჭერა არასდროს გამოუხატავს, რაც ირიბად იმაზე მიანიშნებდა, რომ ეს ორგანიზაციები ეფექტიანად ვერ მუშაობდნენ. ამერიკა ამ ხნის განმავლობაში ელოდა, რომ მისი აგენტურა უფრო სერიოზულ ძალად ჩამოყალიბდებოდა, თუმცა ამ არჩევნებმა აჩვენა, რომ ის დაფინანსების ღირსიც არ არის. აი, ეს აზრი დევს მილერის განცხადებაში.



**თამარ შველიძე**

# ოპოზიციის გამარჯვება საქართველოში დემოკრატიის იმიტაცია იქნებოდა



*გვესაუბრება ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი ედიშერ გვენეტაძე:*

**— ბატონო ედიშერ, რა რეალობის წინაშე დავდექით არჩევნების შემდეგ?**

— „ქართული ოცნების“ გამარჯვება გარდაუვალი იყო, რადგან ის არის ძალა, რომელიც ქართველი ხალხის ინტერესებს გამოხატავს. გადავხედოთ, რა არჩევანი ჰქონდა ამომრჩეველს, ვინ იდგა მმართველი ძალის საპირწონედ? — ქართველი მეფეების, ეკლესიის მაგინებლები, ღვინოში ჩამფსმელები, ერთსქესიანთა ქორწინების, ლგბტ პროპაგანდის დაკანონებისა და აგენტების გამოამშკარავებელი კანონის გაუქმების მოსურნენი. მგონი, ყველაფერი ნათელია — „ქართული ოცნება“ უალტერნატივოა. ამ დრომდე არსად მითქვამს და მინდა, პირველად „საერთო გაზეთის“ ფურცლებიდან ვთქვა: ძალიან დიდი შეცდომა დაუშვა „ალტინფომ“ და „პატრიოტთა ალიანსმა“ — ნაცვლად იმისა, რომ ლიბერალური ფაშიზმის წინააღმდეგ გაელაშქრათ, ბრძოლა არსებულ ხელისუფლებას დაუწყეს და შედეგიც მოიმკეს.

რაც შეეხება წინასაარჩევნო კამპანიას, „ქართულმა ოცნებამ“ ყველა რეგიონი, სოფლები მოიარა და მოსახლეობას ქვეყნის შემდგომი განვითარების გეგმა წარუდგინა. არჩევნების მოგებაში უდიდესი როლი შემდეგმა გარემოებამ ითამაშა — ხალხმა დაინახა, რომ მშვიდობა საფრთხის წინაშე დადგა და ხმის მისაცემად ქუდზე კაცი გამოვიდა. ხომ ყველამ ვიცით, როგორ ცდილობდნენ რუსეთ-უკრაინის ომში ჩვენ ჩაბმას. ისიც ხომ გვახსოვს, ყოფილი სახალხო დამცველი როგორ წუხდა — შევარცხვინე ასეთი მშვიდობა, მირჩევნია, თავზე ბომბები მაცვიოდესო. არესტოვიჩი საქართველოს ხელისუფლებას პირდაპირ ომში ჩაბმისკენ მოუწოდებდა. იგი პირდაპირ დაგვემუქრა:



უკრაინას მილიონიანი ჯარი ჰყავს და საქართველოში გასეირნება არ გაგვიჭირდებაო. ახლა კი ზელენსკის კაცობრიობის წინაშე ჩადენილ დანაშაულზე მიუთითებს. ქართველ ხალხს ომი გამოცდილი აქვს 90-იან და 2008 წლებში, როდესაც ხელისუფლებამ ხალხი მიატოვა და წითელ ხიდზე ერთმანეთს თხებივით ახტებოდა. ნაცებს ეს ომი საკუთარი ჯიბეების გასქელებისთვის და იმ დაცემული ავტორიტეტის ასამაღლებლად სჭირდებოდათ, რაც მათ 2007 წლის 7 ნოემბერმა მოუტანა.

ვინ წარმოადგენს დღეს ოპოზიციას? — დაშლილი და გაშლილი „ნაცმოძრაობა“. მათ უცხოელი პატრონები დაჰპირდნენ: არჩევნებს მოგაგებინებთო, რისი განხორციელებაც საქართველოში დემოკრატიის იმიტაცია იქნებოდა. მიზნის მისაღწევად უსახური გვარამია, მელია, გირჩი შარვალჩახდილი ზურაბა და ხოშტარია გაერთიანდნენ. აქვე არ შემიძლია გულისტკივილით არ ვიკითხო: **როგორ აღმოჩნდა საქართველოში თითქმის, 200 ათასი ამომრჩეველი, რომელიც ხმას ღვინოში ჩამფსმელებს, ერთსქესიანთა ქორწინების მომხრეებს, არასრულწლოვანთა ლგბტ პროპაგანდით გამბრუებლებს აძლევს?!** ან „დროას“ ლიდერს, რომლის ოჯახში ფული კრემლის ბიუჯეტიდან შედის! დღე და ღამ პუტინს აგინებენ, გაიძახიან: რუსეთი ოკუპანტიაო და ამ დროს, ხოშტარია მაგინებლების „კოალიცია ცვლილებებისთვის“-ში ერთიანდება. და, ამაზე კრემლს რეაქცია არ აქვს. გამოდის, პუტინზე დიდი დემოკრატი კაცი მსოფლიოში არავინ ყოფილა. ოპოზიცია იმ აგენტოკრატიის წარმომადგენელია, რომელსაც სურს, ქართველი ხალხი, ხელისუფლება მისი თითის დაქნევაზე თრთოდეს.

**საქართველომ გამოიარა დიდი თურქობა, ლეკიანობა, ახლა კი დიდი ელჩიანობაა.** რომელი ქვეყნის საქმეებში ერევიან ასე ელჩები, როგორც ჩვენთან ევროკავშირის ელჩი ჰერჩინსკი იქცევა?! არჩევნები უმაღლეს დონეზე ჩატარდა და ჰერჩინსკი და სხვები გაიძახიან, 300 ათასი ხმა გაყალბდაო. 25 ათასი დამკვირვებლის თვალწინ ასეთი მასშტაბური გაყალბება როგორ წარმოგიდგენიათ?! **ხალხმა ხელისუფლება „ქართულ ოცნებას“ ჩააბარა. ახლა ჯერი ხელისუფლებაზეა.** ვინც ზედმეტ ბაქიბუქს დაიწყებს, „ვირის აბანოში“ უნდა მიაბრძანონ.

**— პროკურატურამ არჩევნების გაყალბების საკითხზე გამოძიება დაიწყო. რა შედეგს ელით?**

— გამოძიება დაიწყო და ამ დროს პრეზიდენტმა, რომელმაც არჩევნები გაყალბებულად გამოაცხადა, იმის ნაცვლად, რომ გამოკითხვაზე მისულიყო, პრესკონფერენციაზე „მტკიცებულებების“ ჩვენება მოაწყო. მსოფლიოში უპრეცედენტო ფაქტია, როცა პრეზიდენტი თავისი ქვეყნის პროკურატურას, სამართალდამცავებს, მოსახლეობას უნდობლობას უცხადებს. ზურაბიშვილი ნომრიანი აგენტია — დავალება აქვს, რომ საქართველოში სახელმწიფო გადატრიალებას ხელი შეუწყოს.




დასავლეთმა დაინახა, რომ ოპოზიციას ხელისუფლებაში მოსვლის არანაირი შანსი არ ჰქონდა. ამიტომ ხელისუფლებაში შემოგდებული ზურაბიშვილი სწორედ ამ დღისთვის სჭირდებოდათ, რათა ქვეყანაში არეულობა გამოეწვიათ. **აგენტების დამფინანსებლები რთულ მდგომარეობაში არიან. აბა, სხვა რა ვიფიქრო, როცა სალომეს გარდა ოპოზიციის ლიდერად ვერავინ ნახეს.** ეს დედაკაცი, რომელსაც ორ ბატს ვერ მიაბარებ, მთელი მსოფლოს გასაგონად ჩიფჩიფებს, არჩევნები გაყალბდაო და ამ დროს მტკიცებულებები არ აქვს. კონსტიტუციას წარამარა არღვევს — წესით, ზეპარტიული უნდა იყოს და არც საარჩევნო პროცესებში ჩაერიოს. არჩევნებს არ ვაღიარებო, რომ იძახის, სად წერია კონსტიტუციაში, რომ პრეზიდენტმა არჩევნები უნდა აღიაროს? ეს ქალი დღეს კანონგარეშე მოქმედებს.

მედვედევმა განაცხადა, ზურაბიშვილი უნდა დააპატიმრონო და ამათაც ატეხეს ვიშვიში: არიქა, პრეზიდენტს აპატიმრებენო. მისთვის და ოპოზიციისთვის დაპატიმრება ბაირამობა იქნება. ამას ვერ ეღირსებიან. **ზურაბიშვილი საპრეზიდენტო ვადას რომ ამოწურავს, მას ქართველი ხალხი საქართველოდან მგლის ბილეთით გაუშვებს, რათა უკან ველარასდროს დაბრუნდეს.** ამ პრეზიდენტადწოდებულს აქ სისხლისღვრის მოწყობა სურს. ამ დავალების შესრულებისთვის მას და მის შვილებს დაწინაურება ელოდებათ. რა უნდა ვილაპარაკოთ, როცა იგი ისეთ კაცთან მეგობრობს, რომელმაც პირდაპირ ეთერში უზნეო ქალი უწოდა. ახლა ის და გვარამია, ქვეყნის გადატრიალების გეგმებს ერთად აწყობენ. ქართველ საზოგადოებას ბოდიშს ვუხდი, რომ მას თავის დროზე ხმა მივეცი. იგი არის პიროვნება, რომელიც 2023 წლის 7-8 მარტს ახალგაზრდობას პოლიციელების დაწვისკენ მოუწოდებდა. მერე ტერორისტი გრიგორიადისი გაათავისუფლა, რომელიც მთელი მსოფლიოს თვალწინ სამართალდამცავებს ცოცხლად წვავდა.

**— ოპოზიცია ითხოვს, არჩევნებს საერთაშორისო აუდიტი ჩაუტარდესო. ამერიკაში საარჩევნო ყუთები დაწვეს, მაგრამ ამის გამოსაძიებლად ჩვენ არავის მივუწვევივართ...**

— ხომ გაგიგონიათ, კატა ვერ შესწვდა ძეხვსაო, პარასკევია დღესაო. თავდაპირველად ოპოზიცია თავად ამტკიცებდა, ვერიფიკაციის აპარატით გაყალბება შეუძლებელიაო. მერე არჩევნების დასრულებისთანავე აბღავლდნენ: გავიმარჯვეთო. ახლა მოგახსენებთ, სად მარხია ძაღლის თავი: როგორც გახსოვთ, ოპოზიცია, აშშ და ევროკავშირის ქვეყნები საქართველოში მოსამართლეთა ვეტინგს ერთხმად ითხოვდნენ. ჩვენს ქვეყანაში მოსამართლეები დასავლეთს უნდა დაენიშნა. საბედნიეროდ, ხელისუფლებამ სიმტკიცე გამოიჩინა. თავიანთი მოსამართლეები აქ სწორედ არჩევნებისთვის უნდოდათ — ოპოზიცია შედეგებს გაასაჩივრებდა, მათი მოსამართლეები კი კვერს დაუკრავდნენ. ამიტომ დაასანქცირეს ამერიკელებმა ჩვენი ოთხი მოსამართლე კორუფციის ბრალდებით. როცა ხელისუფლებამ ფაქტები მოითხოვა, ამაზე უარი განაცხადეს!

**— ბოლოს, ევროკომისიის ანგარიშზე რას გვეტყვით — თუ ხელისუფლება კურსს არ შემოატრიალებს, მოლაპარაკებები საერთოდ აღარ გაიხსნებაო...**

— „ხარება და გოგიაში“ ილოს პერსონაჟი პატარა ბიჭს რომ ეუბნება, ჟანდარმებმა მომთხოვეს, კაცობას თავი დაანებე და ბოზობა დაიწყეო, ხომ გახსოვთ. აი, ამას გვთხოვს ევროპაც. ჯერ ერთი, რა შუაშია არჩევნების ლეგიტიმურობასთან კანონების გაუქმება! ეს იმის მაუწყებელია, რომ ამერიკისა და ევროპის პოლიტიკური ელიტა დალპა, აშმორდა. ამერიკის სახელმწიფო მდივანი — ბლინკენი იმას რომ იტყვის: კაცს კაცი არ დაუძახოთ, ქალს — ქალი, დედას — დედა და მამას — მამაო, რაღაზე უნდა ვილაპარაკოთ. ეს ცხადყოფს, რომ არამარტო ამერიკაში, არამედ მთელ ამ ლიბერასტულ სამყაროში კრიზისია. ლიბერალური ფაშიზმი ტრადიციულ, კონსერვატულ საზოგადოებას წალეკვით ემუქრება. მინდა, მათ ბატონებს — ბორელებს, ჰერჩინსკებს, ფიშერებს, ვუთხრა: საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევას თავი დაანებონ. მინდა, ჩვენს მოსახლეობასაც ავუხსნა, რომ 26 **ოქტომბერს საქართველო უზარმაზარ ლიბერასტულ ფაშისტურ სამყაროს დაეჯახა და ბეჭებზე დადო. ბრძოლა უფრო მეტად გამძაფრდება. ეს გახლავთ დავითისა და გოლიათის შერკინება, რომელიც აუცილებლად საქართველოს გამარჯვებით დამთავრდება.** იმიტომ, რომ არ შეიძლება უზნეობაზე — კაცის კაცზე დაქორწინებასა და ქალის ქალზე დაქორწინებაზე, ბავშვების სქესის გადაკეთებაზე გაბრძოლება და საკუთარი სამშობლოს აგენტებისგან დაცვა ქართველი ხალხის გამარჯვებით არ დასრულდეს. წინა საუბრისასაც გითხარით, რომ 26 ოქტომბერს დიდგორის ომს ვადარებ. თურქ-სელჩუკები ჩვენს ტრადიციებს, ცხოვრების წესს და სარწმუნოებას ებრძოდნენ. ახლა ამ ყველაფერს თანამედროვე ლიბერალ-ფაშისტები დევნიან. 600-ათასიანი თურქ-სელჩუკთა არმია დავით აღმაშენებელმა დაამარცხა. ასევე, დღევანდელმა საქართველომ ლიბერალური ფაშიზმი ბეჭებზე დადო.

გვარამიამ ხალხს მოუწოდა, კარვები და „ლეჟანკები“ მოგვიტანეთო. მინდა მას და მის მეგობრებს მივმართო: ჭკუით იყვნენ, თორემ ქართველი ხალხი მათ „ლეჟანკებს“ იმ ადგილას გაუკეთებს, რა ადგილსაც განსაკუთრებით აფასებს მათი სულიერი ლიდერი, ორნაქმარევი მიხაილ როთი. ამიტომ ზახგასმით ვამბობ: ეს სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლაა მამულის, ენის, სარწმუნოების დასაცავად და ქართული იდენტობის გადასარჩენად, რაც აუცილებლად ჩვენი გამარჯვებით დასრულდება.

**თამარ შველიძე**

# მტკიცებულებების დასტა ისეთი უნდა „ქართულ ოცნებას“ რომ აქვს

3 გვ.

პოსტზე ყოფნის დროს სახალხო დამცველის მოადგილე იყო, 2022 წელს კი სახალხო დამცველის პოსტზე იყო წარდგენილი. ისე კი გამომდის, „ჩვენი კოლმეურნეობის თავმჯდომარეა, გვარს არ დავასახელებო“, მაგრამ მაინც არ ვასახელებ, ქალია და ვერ ვიმეტებ.

ვინაიდან მე თავად გახლდით ერთ-ერთ უბანზე მდივანი და ზედმიწევნით მომეხსენება საარჩევნო პროცესის ჩატარების ნიუანსები, მათ შორის მარკერით გაფერადებული წრე ჩანს თუ არა ჩარჩო-კონვერტიდან, ან მთვლელ მანქანაში რომელ ჭანჭიკს ეფარება ჯადოქარი, ვფიქრობდი, რანაირად დავწერო მთელი ეს სამდივნო ნიუანსები მოსაწყენი რომ არ იყოს-მეთქი და ბატონი დავით ჩიხლაძე წამომეშველა.

რადგან ამ ქალბატონის გარდა, კიდევ მრავალი ასეთი გამოჩნდა, ყველას ერთად გამოადგება ბატონი დავითის ახსნა-განმარტება „სახელმძღვანელოდ“ და თუ სირცხვილის გრძნობა შერჩენია რომელიმეს, თავის დასახრელადაც: „ვინც მიცნობთ, კარგად იცით, რომ შეურაცხმყოფელი, დამაკნინებელი ტერმინების გამოყენება ჩემი სტილი არ არის, სამწუხაროდ, ზოგჯერ მსგავსი ტერმინების გამოყენებაც მიწევს. *იმბეცილი*, — არ ვიცი სხვა რა ვუწოდო ქალბატონს, რომელმაც იდიოტიზმის, უმეცრებისა და უცოდინარობის ფსკერი გახვრიტა.

ამ იმბეცილმა პოსტი დადო, სადაც ამტკიცებდა, რომ „ქართულმა ოცნებამ“, რა თქმა უნდა, ცესკოს დახმარებით, ნინოწმინდის ერთ-ერთ ოლქში არსებულ უბანზე 56 ამომრჩეველი 89 ამომრჩევლად აქცია.

აქ ორი მთავარი ფაქტორია: ოქმზე გარკვევით წერია, რომ სპეცსიაში 38 ადამიანი იმყოფება, ანუ ამომრჩეველთა რაოდენობა არა 56 არამედ 94-ია, ხოლო ხმა 89 ამომრჩეველმა მისცა (როგორც ვიცი, სპეცსიაში სასაზღვრო პოლიციის 29 წარმომადგენელი იყო შეყვანილი), აღნიშნული უბანი გადაითვალა და ცდომილება არ არსებობს.

არის კიდევ ერთ საინტერესო ფაქტი, — ოქმზე ფიქსირდება კომისიის წევრის 15 ხელმოწერაა, იქსის, ლოგიკასაც რომ გავყვეთ, რა გამოდის, ოცნებამ ოპოზიციის წევრებიც მოისყიდა? ასეთ სისულელეებს ავრცელებენ, შემდეგ კი, როცა სიმართლეს ეტყვი პოსტს შლიან (როგორც ამ შემთხვევაში გააკეთა).

ქალბატონო იქს, რასაც თქვენ აკეთებთ, მავნებლობაა. არჩევნები სპეციფიკური თემაა, რომელიც ყველამ არ იცის, ამიტომ შეეშვით ამ ექსპერტობას, ხომ ხედავთ, იდიოტად წარმოჩინდებით. სწორედ თქვენნაირი ვაიექსპერტები არიან ის ადამიანები, რომლებსაც მოსახლეობა შეცდომაში შეჰყავთ და ათას სისულელეს აჯერებენ. თქვენ ადგილზე საჯარო ბოდიშს




მოვიხდიდი და არჩევნების თემაზე დაწერისგან თავს შევიკავებდი არა მხოლოდ 2024 წელს, არამედ ზოგადად, მთელი ცხოვრება. ხომ ხედავთ, არჩევნები თქვენი ძლიერი მხარე არ არის, თქვენი უფრო ტყუილები და წაშლაა, მაგრამ არამც და არამც არჩევნები!“

ე.წ. რადიკალური ოპოზიცია, ანუ უსამშობლოები, ბოლო ხავსის ბოლო ღერებსღა ეჭიდებიან იმ დროს, როდესაც „ქართულ ოცნებას“ უამრავი მტკიცებულება აქვს და ჰყავს მოწმეთა კორპუსი, რომ არჩევნები 2024 კონკურენტულ და მშვიდ გარემოში, საარჩევნო წესების მაქსიმალური დაცვით ჩატარდა. ამ ყველაფერს გვირგვინად ადევს პოლონეთის პრეზიდენტის უკიდურესად გაოცებული ნათქვამი — როგორ შეიძლება საკუთარი ქვეყნის არჩევნების „გაყალბების“ შესახებ არათუ გადაუმოწმებელი ფაქტების, არამედ იმის აკვიატებული და ჯიუტი ინფორმაციის გაჟღერება, რომ მას ეს მტკიცებულებები არ სჭირდებაო.

ჩემოდანჩალაგებულმა სალომემ თქვა, უნდა გამოჩნდეს სრული სურათი, როგორ შეიქმნა ხმების უპრეცედენტო, სისტემური წართმევა, წინასწარდაგეგმილი სპეცოპერაცია, რომელმაც „წაგვართვა პარლამენტი და კონსტიტუცია“ და „არავინ დატოვებს ამ უსამართლო შედეგსო“.

ამ ქალს კონსტიტუცია რომ ფეხებზეც არ ჰკიდია, საერთოდ არ ცნობს, ვიცით, მაგრამ პარლამენტი კი უნდა, პრემიერობას უმიზნებდა და იმ „ვივამედელს“ იმიტომ არ იწყალებს, მოქიშპე არ სჭირდება, მაგრამ ვფიქრობ, ისე გამოეწყობა საქმე, ახლა ერთმანეთს ადგილებსღა თუ გაუცვლიან ციხე-კლინიკის მარშრუტზე...

ერთგვარად, თითქოს სამარცხვინოა საქართველოს ისტორიისთვის საქართველოს პრეზიდენტების ისტორიები — თუ არ ვკლავთ, ვაპატიმრებთ, მაგრამ თუ გავიაზრებთ, აღმოჩნდება, რომ ყველა მათგანს უცხო ქვეყნებმა დაუწერეს დასასრულის სცენარი, დაუმორჩილებელი მოკლეს, ყოვლად უსარგებლო — კარტოფილის ტომარაზე მიაგდეს, უცხოური გავლენის აგენტები კი გაიხმარეს და ჯერ მხოლოდ ავანსცენიდან მოიშორეს...

ამდენი ხმა საიდან მოაგროვესო?

რა არის გაუგებარი — ხალხმა ამჯერადაც ხმა მისცა „ნაცების“ წინააღმდეგ და არა „ოცნებას“!

ხალხი ნაწყენია „ოცნებაზე“ და მართებულადაც, რადგან მან არ შეასრულა ის უპირველესი დანაპირები, რითიც ხელისუფლებაში მოვიდა 2012 წელს — არ აღადგინა სამართლიანობა, პირიქით, კოაბიტაცია გამოაცხადა და ზედ გენდერული ნიშნით კაცების დისკრიმინაცია დაურთო!

ის ხმები, რაც სხვა ოპოზიციურ პარტიებში გაიბნა, ის ხალხია, რომლებმაც ასევე ხმა არ მისცეს ნაცებს, მაგრამ ზოგი რამ სწორად ვერ გათვალეს...

**ზურა ოქხერელი**



**ჩვენს უმცროს მეგობარს, უსაყვარლეს, მშვენიერ, ნიჭიერ, გონიერ და საოცარ**

**ნენე დაუშვილს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ, რომ მისი ცხოვრება მუდამ ისეთი იყოს, როგორიც დღეს არის — მზით, ყვავილებით, კეთილი და საინტერესო ადამიანებით სავსე...**

**დაე, ნენეს ხანგრძლივი ბედნიერი ცხოვრების გზა წარმატებებით ყოფილიყოს დახუნძლული...**



**ჩვენი გაზეთის ბურჯს, ნამდვილ პროფესიონალს და კეთილშობილ ადამიანს, ჩვენს ძვირფას**

**ლევან ბოჭორიშვილს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, პროფესიულ წარმატებებს და მრავალ ბედნიერ წელს თავის საყვარელ ოჯახთან ერთად.**



**ჩვენი გაზეთის ერთგულ მკითხველს, კეთილშობილ მეგობარს**

**თამაზ შათირიშვილს**

**ვულოცავთ დაბადების დღეს.**

**ვუსურვებთ ჯანმრთელობას, სიკეთეს, ულევ ბედნიერებასა და წარმატებას.**

**იხარეთ და იდღეგრძელეთ, ბატონო თამაზ, მრავალჟამიერ!**



*გვესაუბრება პარტია „ხალხის ძალის“ წევრი, თსუ-ის სამართალმცოდნეობის ფაკულტეტის სტუდენტი ᲞᲐᲕᲚᲔ ᲙᲐᲮᲘᲫᲔ*

# ᲡᲯᲝᲑᲡ, „ᲔᲨᲛᲐᲙᲔᲑᲘ“ ᲐᲠᲐ ᲐᲞᲐᲠᲐᲢᲔᲑᲨᲘ, ᲐᲠᲐᲛᲔᲓ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠ ᲞᲐᲠᲢᲘᲔᲑᲨᲘ ᲔᲫᲔᲑᲝᲜ!

**– პაპუნა, ქვეყანამ კიდევ ერთი მნიშვნელოვანი არჩევნების ეტაპი გადალახა, თუმცა ოპოზიციისგან ჯერ კიდევ ველოდებით „თავგადასავლებს“. როგორ შეაფასებდი არსებულ პოლიტიკურ რეალობას?**

– „ქართული ოცნების“ გამარჯვებას ობიექტურად განწყობილი ყველა ადამიანი ელოდა და ფაქტმაც დაადასტურა, რომ ამ პარტიას კიდევ ერთხელ გამოუცხადა ნდობა ქართველმა ხალხმა. ამ რეალობის გამო კომიკურ სიტუაციაში აღმოჩნდა ოპოზიცია და ასეც იყო მოსალოდნელი. როგორც ისინი 2020 წელს ამბობდნენ, არჩევნების შედეგებს იმიტომ არ ენდობოდნენ, რომ ეს არ იყო ელექტრონული და თანამედროვე ტიპის არჩევნები. დღეს კი, რადგან მათთვის სასურველი შედეგები ვერ დაიდო, თურმე სწორედ იმ მიზეზის გამო არ ენდობიან, რომ ეს იყო ელექტრონული და თანამედროვე ტიპის არჩევნები - ანუ ისეთი, როგორიც მათ სურდათ 2020 წელს! ადამიანი რომ კონკრეტულ პარტიას არ აძლევს ხმას, ეს არა ხმის დამთვლელი აპარატის, არამედ იმ კონკრეტული პარტიის ბრალია და სჯობს, „ეშმაკები“ არა აპარატებში, არამედ საკუთარ პარტიებში ეძებონ!

ვინც თვალყურს ადევნებს ცესკო-ს მუშაობას, დამეთანხმება, რომ ქართული ცესკო-ს მოდელი მსოფლიომ სანიმუშოდ აღიარა, რადგან აქამდე არ იყო შესაძლებელი ერთდროულად, ელექტრონულად ავტორიზაციის გავლაც და ხმის მიცემაც დამთვლელ აპარატზე - ან ერთი შეიძლებოდა, ან მეორე. ჩვენ ვართ პირველი ქვეყანა, ვინც ეს ორი მოცემულობა გააერთიანა. ამას მე არ ვამბობ, ეს არის ბატონი კალანდარიშვილის სიტყვები და ოფიციალური მონაცემები.

**– ოპოზიციის წარმომადგენლები დიპლომატიურ კორპუსს შეხვდნენ, სადაც მათ „გაყალბებულ“ არჩევნებზე ისაუბრეს და როგორც თავად განაცხადეს, „სამხილებიც წარადგინეს“. თუმცა, რამდენიმე დღის წინ სალომე ზურაბიშვილი პროკურატურაში სწორედ სამხილების არარსებობის გამო არ გამოცხადდა...**

– გაყალბდაო, გაიძახიან, მაგრამ რა გაყალბდა, როგორ გაყალბდა, რა მოხდა?! - ამაზე ვერავინ ლაპარაკობს. თურმე ვინმე თენგო არ ეთანხმება არჩევნების შედეგებს, აქეთ თენგოს და აცხადებს, რომ მისი ძმისთვის მანდატის დათმობა პრობლემა არ არის, მაგრამ პარალელურად, ვხედავთ ანა ნაცვლიშვილს, რომელსაც ჯერ მანდატი არ მიუღია და უკვე „პარლამენტის წევრის“ სტატუსით იწონებს თავს სოციალურ ქსელში. ნაცვლიშვილს რომ ჰკითხო, ის ახლა აპირებს, რომ „ხალხის გაბრაზება განახორციელოს“, მაგრამ რეალურად მათ უკვე დიდი ხანია, გააბრაზეს ხალხი, რაც აისახა კიდეც შედეგებზე.

როგორ გგონიათ, მტკიცებულებები რომ ჰქონდეთ, რომელიმე მათგანი ამას ჩუმად შეინახავდა, მხოლოდ ელჩებს ანახებდნენ და თავიანთ არხებზე არ ატრიალებდნენ? ჩვენ რომ მათ უსამშობლოებს ვეძახით, ეს მოგონილი კი არ არის, ეს ადამიანები ნამდვილად უსამშობლოები არიან. აბსურდია, რომ 300 ათასი ხმა მოიპარო, მაგრამ დავუშვათ, თუ არჩევანს „გპარავენ“, ამ დროს შენ რას აკეთებ? - ჩუმად ზიხარ და ელოდები, ვინ გაიმარჯვებს, შემდეგ, ვინ რას იტყვის, რომ შენც იმის მიხედვით იმოქმედო?! ამ შემთხვევაში ოპოზიციის ასობით დამკვირვებელს ვგულისხმობ, რომლებიც საჭიროზე მეტი იყვნენ ყველა საარჩევნო უბანზე. საკუთარი სამშობლოს ღალატია, თუ მართლა ხედავ, რომ ხმებს გიყალბებენ და შენ ჩუმად ხარ! ქართული არჩევნების ისტორიას დარჩება, ალბათ, ის ფაქტი, როცა ერთმა ოპოზიციონერმა დამკვირვებელმა ოქმი დაწერა იმის გამო, რომ ნაკადის მომწესრიგებელმა გადაკეცნა თურმე საარჩევნო უბანზე ხმის მისაცემად მისული ადამიანი! რეალური დარღვევები თუ იყო, რატომ მაშინვე, იქვე არ ამოიღეს ხმა ამის შესახებ?! ეს არის ნონსენსი. ადრე იმას მაინც ცდილობდნენ, საჩივრები დაეწერათ და ეთქვათ, რომ მთლიანობაში ამდენი ათასი საჩივარი დაიწერა... ახლა კი გამოდიან და ითხოვენ იმ უბნების ბათილად ცნობას, სადაც საჩივარიც კი არავის დაუწერია. იმდენად სუფთად ჩატარდა ეს არჩევნები, რომ ვერ წერდნენ საჩივრებს, რადგან არაფერი იყო გამოსაკიდებელი რეალურად!

ძალიან მწყდება გული სალომე ზურაბიშვილზე, იმიტომ, რომ 2018 წელს, ამ ადამიანის გაპრეზიდენტებაში, „ქართულმა ოცნებამ“ კოლოსალური ძალღონე ჩადო. პლაკატზეც კი მის ნაცვლად ჩვენი ლიდერები იყვნენ გამოსახული, რადგან ამ ქალს საზოგადოებაში „ნული“ რეიტინგი ჰქონდა. დღეს კი სალომე ზურაბიშვილი „ქართულ ოცნებას“ ებრძვის, „რუსებს“ უწოდებს და იმ ადამიანების გვერდით დგას, ვინც მას გაუგონარი სიტყვებით შეურაცხყოფდა.



**– ამ ყველაფრის ფონზე, ჩვენი უცხოელი პარტნიორები დაჟინებით მოითხოვენ პარლამენტის მიერ მიღებული კანონების გაუქმებას (გამჭვირვალობისა და ოჯახური ღირებულებების დაცვის შესახებ კანონებს ვგულისხმობ). ასე რომ მოხდეს, სავარაუდოდ, არჩევნების შედეგებიც მომენტალურად გახდება მათთვის მისაღები...**

– სახელმწიფოს შიგნით მიღებული კანონი, რომელიც არჩევნებზე ვერანაირ ზეგავლენას ვერ მოახდენს, უცხოელი პარტნიორების განსასჯელი ნამდვილად არ არის. ჯერ ერთი იმიტომ, რომ არც ერთ პარტიას არაფრით ვზუდავთ და მეორე, უცხოელ პარტნიორებს არა აქვთ უფლება, ქვეყნის შიდა საქმეებში ჩაერიონ და პარლამენტის მიერ მიღებული კანონის გაუქმება მოითხოვონ. ეს ცალკე სუვერენიტეტის დარღვევაა და სწორედ ეს არის რეალურად მათი ვაჭრობის თემაც. გეთანხმებით, თუ, დავუშვათ, „ქართული ოცნება“ უკან გაიწვევს და გააუქმებს ამ ორ კანონს, ამ შემთხვევაში უცებ „აღმოჩნდება“ რომ არჩევნები დემოკრატიულად ჩატარდა. თუმცა, არ ვაღიარებთ არჩევნებსო, იმასაც ვერ ამბობენ, იმდენად კარგად იყო ჩატარებული. რაღაც მნიშვნელოვანი დარღვევა რომ მაინც ყოფილიყო, ხომ წარმოგიდგენიათ, რამხელა ამბავი ატყდებოდა უცხოეთში? ახლა, რადგან ამას ვერ ამბობენ, ვითომ რაღაც კომისიის შექმნა მოიგონეს არჩევნების გამოსაკვლევად.

მართალია, ორაზროვნად, მაგრამ შედეგები, ფაქტობრივად, ეუთო/ოდირმაც აღიარა. მათგან სხვანაირ დასკვნას არც ველოდი, რადგან ეს ორგანიზაცია უდიდესი ზეწოლის ქვეშაა და დამოუკიდებლად გადაწყვეტილებას ვერ იღებს. ხალხი რომ გაბრაზებულია და არჩევნები რომ პოლარიზებული იქნებოდა, არც ეს წარმოადგენდა ჩვენთვის სიახლეს, მაგრამ პოლარიზაცია მათ იქით მოიკითხონ - ამერიკაში. ხომ ხედავთ, აშშ-ში რა ამბებია ტრამპისა და ჰარისის მომხრეებს შორის! პოლარიზაცია ეგ არის! ხალხი წვავს ბიულეტენებს და ხმის მთვლელ აპარატებს და რა ვიცი, რა აღარ ხდება! ამიტომ, ეუთო/ოდირის დასკვნა იყო ძალიან კარგი. არჩევნები გაყალბდაო, მათ არ უთქვამთ. ისეთი რაღაცები თქვეს, რაც გავლენას ვერ მოახდენს არჩევნების შედეგებზე.

**– პაპუნა, როგორც ვიცი, პრემიერ-მინისტრი შენი ლექტორია. რა განწყობაა ახლა ახალგაზრდებში ირაკლი კობახიძის და, ზოგადად, მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების მიმართ?**

– ბატონი ირაკლი კობახიძე მიკითხავდა გასულ სემესტრში საქართველოს საკონსტიტუციო სამართალს და კონსტიტუციურ სამართალს, ამ სემესტრში აღარ კითხულობს. ძალიან საინტერესო ლექციები გვქონდა და მიმაჩნია, რომ ერთ-ერთ თანამედროვე ავტორთან ამ საგნების გავლა დიდი პრივილეგიაა. ჩვენ ბევრი კარგი თეორეტიკოსი გვყავს, რომლებმაც ეს საგნები კარგად იციან, მაგრამ უაღრესად საინტერესოა, მოისმინო საგანი იმ ადამიანისგან, რომელიც თვითონ წერს ამ სახელმძღვანელოს. ამ ძალიან საინტერესო ლექციებზე ცუდი ხელისშემშლელი ფაქტორი იყო დერეფნიდან შემოსული ხმაური, ყვირილი და შეძახილები მაისის თვეში, როცა კანონთან დაკავშირებით პროტესტი მიმდინარეობდა. ესენი იყვნენ ვითომ სტუდენტები, რომლებიც რეალურად კონკრეტულ პარტიებს წარმოადგენენ: ნიკო მანაგაძე, ლუკა შველიძე და დანარჩენი პარტაქტივი... ნიკო მანაგაძე იურიდიულ ფაკულტეტზეც კი არ სწავლობს, პოლიტიკის მეცნიერებათა ფაკულტეტის სტუდენტია და ის ბატონი ირაკლის სტუდენტიც არ ყოფილა. უბრალოდ, პროვოკაციებს აწყობდა.

მაისში ძალიან გვესხმოდნენ თავს უნივერსიტეტს და ახლაც, რა თქმა უნდა, წინასაარჩევნოდ, ფონის შექმნა უნდოდათ, რომ „აი, სტუდენტები გამოდიან, პრემიერ-მინიტრის წინააღმდეგ“, რომ თითქოს არ მოსწონთ სტუდენტებს ირაკლი კობახიძე, რაც რეალურად, ფარსია! ჩვენს უნივერსიტეტში უამრავი პოლიტიკოსი ასწავლის, მათ შორის, პარლამენტის არაერთი წევრი, მაგრამ პრემიერ-მინისტრზე თავდასხმა უფრო კარგად „იყიდებოდა“ და სწორედ ეს იყო რადიკალების პარტაქტივის მიზანი.

ამჯერად კი ძალიან გაკვირვებული ვარ, რომ ბოლო მოვლენების შემდეგ სურათი რადიკალურად შეიცვალა. სტუდენტებში ოპოზიციური განწყობები თითქმის აღარ არის. მაგალითად, უნივერსიტეტის „ჩათში“ თუ ადრე ერთი ამბავი იყო, როდის წასულიყვნენ აქციაზე, სად შეკრებილიყვნენ და ა. შ. ახლა მხოლოდ საუნივერსიტეტო ამბები განიხილება, - არავითარი პოლიტიკა! იმიტომ, რომ უკვე მიხვდნენ, ვინც არიან რეალურად ოპოზიციის ლიდერები და მათი იმედი აღარ აქვთ ახალგაზრდებს. ოპოზიციას დღესაც ჰყავს თავისი „დაფიონი“ - ნაცების რაღაც ორგანიზაცია, რომელსაც „კეზერა“ აფინანსებს, თუმცა მათ ბოლო აქციაზე 20 ახალგაზრდა ჰყავდათ გამოყვანილი. მე კი შემიძლია ჩემი 200 მეგობარიც მივიყვანო, თუკი ამას აქციას დავარქმევთ! 20 ადამიანის მობილიზება დღეს არავის უჭირს, რასაც სტუდენტების პროტესტს ვერ დავარქმევთ. რეალობა ის არის, რომ მთავარი დასაყრდენი - ახალგაზრდობა, ვინც მათ გვერდით იდგა, როგორც ძალა, გამოეცალა ოპოზიციას, რადგან იმედი გაუცრუეს ამ ახალგაზრდებს. ბოლოს და ბოლოს, ჩემი თაობა მიხვდა, რომ მათ მხოლოდ საზარბაზნე ხორცად იყენებდნენ და მანიპულაციის იარაღი იყვნენ მავანის ხელში. რადიკალებს კი სხვა გზა არა აქვთ. ამჯერად კიდევ ერთხელ გვიჩვენებენ არაერთხელ ნანახ „კინოს“ - სანამ ძალიან აცივდება, ქუჩაში გამოეფინებიან, შემდეგ კი, როდესაც პირველი ხელფასის აღების დრო მოუვათ, ერთმანეთის მიყოლებით შევლენ პარლამენტში და კუთვნილ მანდატებსაც აიღებენ.

**ᲜᲝᲜᲐ ᲥᲐᲠᲥᲐᲨᲐᲫᲔ**



# ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი...



*„საერთო გაზეთის“ სტუმარია ფილოსოფოსი ზაზა შათირიშვილი:*

**— ბატონო ზაზა, როგორ შეაფასებთ არჩევნების მიმდინარეობას, რა რეალობაში გავიღვიძეთ 27 ოქტომბერს?**

— არჩევნები სამართლიან გარემოში ჩატარდა. თავად ეუთო/ოდირმაც გვითხრა, რომ კონკურენტუნარიანი არჩევნები იყო. მოდი, იმაზე ვისაუბროთ, ხმები როგორ გადანაწილდა. ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც 2024 წლის საპარლამენტო არჩევნებმა გამოკვეთა, ის არის, რომ ამომრჩევლის 60% სუვერენიტეტს, დამოუკიდებლობას ემხრობა და რიტორიკა — დასავლეთს ირჩევ, თუ რუსეთს, მასზე არ მოქმედებს. დარჩა 20% — ნაცები და გვარამია და 17% — ხაზარაძე და გახარია. ნაცების მეორე პლანზე გადანაცვლება ცხადყოფს, რომ სააკაშვილი, როგორც გუშინდელი დღე, ისე აღიქმება. ვაკეში მიშამ 6% აიღო, გვარამიამ კი — 16%. ვაკელ „სვეცკ“ მიშისტებსაც კი უტყდებათ უკვე მისთვის ხმის მიცემა. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია პოსტმიშიზმზე ვისაუბროთ. ეს გარკვეული სექტაა, რომლის დიდმა ნაწილმა ხმა გვარამიასა და ხაზარაძეს მისცა. ახლა შევხედოთ, ვინ არის ხაზარაძის ელექტორატი — მათ შეიძლება „სტერილური ნაცები“ ვუწოდოთ, რომლებიც, საქმე საქმეზე თუ მიდგა, აქციაზე „დუბინკებს“ თავს არ შეუშვერენ. ანუ, ისინი მშიშარა ნაცები არიან. რაც შეეხება გახარიას, იგი „ქართულ ოცნებასთან“ ასოცირდება და მეტ-ნკლებად ხმას სწორედ მისი ელექტორატი აძლევს. ანუ ხაზარაძეს მხარს უჭერენ ყოფილი ნაცები, გახარიას კი — ყოფილი ქოცები. ეს ის ხალხია, რომელიც დასავლეთის მიმართ „ქართული ოცნების“ და ბიძინა ივანიშვილის ხისტმა დამოკიდებულებამ დააფრთხო, იგივე, შეშინებული პატრიოტები. მოკლედ რომ ვთქვა, ხაზარაძის მხარდამჭერი ყოფილი ნაცები — შეშინებული ევროპელები არიან, ხოლო გახარიას მხარდამჭერი ყოფილი ქოცები — შეშინებული პატრიოტები. გახარია-ხაზარაძის 17% პრინციპულად განსხვავებული ამომრჩეველია.

დავუბრუნდეთ ამომრჩეველთა 60%-ს, რომელიც აბსოლუტურად მდგრადი ფსიქიკის არის და პასუხისმგებლობას იღებს იმაზე, რომ ქვეყანაში 90-იანი წლებისა და 2008 წლის გამეორებას აღარ დაუშვებს. 1991 წლის სამოქალაქო დაპირისპირება, მეტ-ნაკლებად, საბჭოთა კავშირის დაშლით იყო პროვოცირებული, რისი თავიდან აცილებაც მაშინ რთული იყო. აი, 2008 წლის ომმა კი მოსახლეობას ბევრი რამ ასწავლა. კერძოდ, ისეთი ხელისუფლება არ უნდა აირჩიოს, რომელიც გარე ძალის მონა იქნება. ეს გახლავთ 2008 წლის გაკვეთილი. 2012 წლიდან მოყოლებული გამოიკვეთა, რომ „ქართული ოცნება“ არის ძალა, რომელიც არავის დაემონება და მხოლოდ ქართველი ხალხის ინტერესებით მოქმედებს.

დარწმუნებული ვარ, არჩევნებში მიღებული შედეგებით დასავლელი დაუძინებელი მეგობრები შოკში არიან. საქმე ის არის, რომ ე. წ. ოპოზიციამ დასავლეთი შეცდომაში შეიყვანა, რომელსაც, ჩემი აზრით, ასეთი რამ უთხრა: მმართველი გუნდის მიმართ ხისტი პოზიცია დაიკავეთ, ლანძღეთ, აგინეთ და ხალხი რომ დაინახავს, როგორ უწოდებთ „ქართულ ოცნებას“ რუსეთისკენ მიმავალ ძალას, ხმას ჩვენ მოგვცემსო. ამერიკის ელჩი ერთი კვირაა, ხმას არ იღებს. უცხოელმა დამკვირვებლებმა, ფაქტობრივად, არჩევნები აღიარეს. ხელისუფლების შეცვლის სხვადასხვა გზა არსებობს — გადატრიალება, რევოლუცია და ა. შ., მაგრამ ამისთვის საჭიროა, შიდა აქტორების ჯგუფი გყავდეს. 2003 წელს რევოლუცია წარმატებულად განახორციელეს. თუმცა 2014 წელს იგივეს გაკეთება „მაიდანზე“ საკმაოდ გაჭირდა და საქმე სისხლიანი მეთოდების გამოყენებამდე მივიდა. ჩვენი ოპოზიცია კი, როგორც მოგახსენეთ, მთლიანად უცხოეთის იმედზე იყო — დასავლეთი „ქართულ ოცნებას“ გალანძღავს, შედეგად, ხალხს შეეშინდება და ხმას ჩვენ მოგვცემსო. გახარიას ელექტორატის რაღაც ნაწილი, როგორც აღვნიშნე, სწორედ ასეთი შეშინებული პატრიოტები არიან. თუმცა მთლიანობაში ხალხს არ შეეშინდა და მათი კონსოლიდაცია მოხდა, რაც ბიძინა ივანიშვილის დიდი დამსახურებაა. მან კარგად უწყოდა, რასთან ჰქონდა საქმე და ამომრჩევლის მობილიზება შეძლო.

შედეგად, 2024 წლის არჩევნებზე ხალხის აქტივობა თითქმის 2012 წლისას გაუტოლდა. აქვე გასათვალისწინებელია თბილისის გარეთ, რეგიონებში „ქართული ოცნების“ უპრეცედენტოდ გაზრდილი რეიტინგი, რაც იმაზე მეტყველებს, რომ მოსახლეობა უფრო და უფრო პატრიარქალური და ტრადიციული ხდება. მისთვის მთავარი ქვეყნის სუვერენიტეტია. დღეს ქართველი ხალხის შეკვეთა მშვიდობის შენარჩუნებაა. სახეზეა ომი, რომელიც ჩვენი არ არის. ეს გახლავთ ომი დასავლეთსა და რუსეთს შორის. ჩვენ არც დასავლეთი ვართ და არც რუსეთი. არავის მხარეს არ ვართ, რაც, ალბათ, დასავლეთს და ოპოზიციას არ აწყობს, რადგან ეგონათ, რომ საქართველო რუსეთს თავს მეორედ შეაკლავდა. აქ თვითგადარჩენის ინსტინქტი მუშაობს. იმას როდი ვამბობ, რომ ჩვენ პაციფისტი ხალხი ვართ, რეალურად ბრძოლა მშვიდობისთვისაა. როცა საჭიროა, კიდეც უნდა იომო, მაგრამ ახლა ამის საჭიროება არ იყო, მეტიც, ეს დამღუპველიც კი იქნებოდა.



**— გავიძახით, ევროპულ მომავალს ვკარგავთო, მაგრამ თავად ევროპა ჩვენს მიმართ კრიტიკულად არის განწყობილი. როგორ წარმოგიდგენიათ ევროკავშირი, საითკენაც საქართველო მიისწრაფვის?**

— დაახლოებით, სამ თვეში ომის ცხელი ფაზა, დასავლეთის, ნატო-ს მარცხით დასრულდება. ნატოს პერსპექტივებს საერთოდ ვერ ვხედავ. **რაც შეეხება ევროკავშირს, ალბათ, მისი რეგიონალიზაცია მოხდება. ანუ, ერთი ბრიუსელის ნაცვლად, რამდენიმე ცენტრი გაჩნდება.** ორბანის გააქტიურებაც სწორედ ამას უნდა უკავშირდებოდეს. დღევანდელი ბრიუსელი, ეს არის გერმანია-საფრანგეთი. მათ არაფერი ეშველებათ, სულ ერთად იქნებიან და თუ გადაიჩეხებიან, ესეც ერთად მოუწევთ. ახალ ცენტრებში მოვიაზრებ პორტუგალია-იტალიას. ესპანეთის ბედი ცოტა გაურკვეველია, ნაცია ძალიან გაყოფილია. რაც შეეხება აღმოსავლეთ ევროპას, იქ წლებია, უნგრულ-ავსტრიული აჩრდილია გამოკვეთილი, რომლის ცენტრი ბუდაპეშტია. ანუ, ამ ცენტრში შედის უნგრეთი, სლოვაკეთი, ავსტრია, ალბათ, რუმინეთიც და აქ მოვიაზრებით ჩვენც, როგორც შავი ზღვის აუზის ქვეყანა. გამორიცხული არ არის, ხუთი წლის შემდეგ ევროკავშირის არჩევნებში კონსერვატიულმა ძალებმა გაიმარჯვონ. და თუ ასე მოხდა, ისინი საქართველოს ევროკავშირში გაწევრიანების საკითხს აუცილებლად დააყენებენ. ივანიშვილმა აღნიშნა, რომ ევროკავშირში 2023 წელს შევიდოდით. მას, ალბათ, ეკონომიკური გათვლა ჰქონდა. დავაკვირდეთ ტენდენციას — ავსტრიაში, უნგრეთში კონსერვატორებმა გაიმარჯვეს. თუ ასე გაგრძელდა, საფრანგეთსა და გერმანიაში ვინ გაიმარჯვებს, ამას დიდი მნიშვნელობა აღარ ექნება. ვიმეორებ, გამარჯვებული კონსერვატორების საერთო შეთანხმებით, საქართველო ევროკავშირში შევა, რომელიც დე-იურე იქნება ევროკავშირი და იარსებებს არა ერთი ბრიუსელი, არამედ რამდენიმე ცენტრი, სადაც ჩვენ უნგრეთის, სლოვაკეთისა და ავსტრიის მოკავშირე ვიქნებით. ასეთი საქართველო ორბანს ძალიან სჭირდება.

**— ჩვენ რა სარგებელი გვექნება?**

— სარგებელი ისაა, რომ ჩვენი ადგილი სადღაც არის და სულ ბორტს მიღმა არ ვართ დარჩენილი, ოღონდ, ვიქნებით დეცენტრალიზებულ ევროკავშირში, რომელიც ფედერაცია კი არა, კონფედერაცია იქნება. ანუ, უფრო მეტი სუვერენიტეტი გვექნება. ჩვენ შეგვეძლება, ამ ევროკავშირში ჩვენი ფასეულობებით შევიდეთ. ამ პერიოდისთვის სააკაშვილი და ნაცები ისტორიას საბოლოოდ ჩაბარდებიან. მიშა უკვე ამ არჩევნებითაც წარსულს ჩაბარდა. ის თავის პარტიასაც აღარ უნდა. ხუთი წლის მერე მისი სექტის სრული მარგინალიზება მოხდება.

ჯერ კიდევ 120 წლის წინათ, არჩილ ჯორჯაძე ამბობდა, რომ სუვერენიტეტი საერთო ნიადაგი უნდა იყოს. ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის უფლებები უკვე კანონით არის განმტკიცებული. ჩვენი ნაციონალურ-კულტურული კოდი არის ოჯახი. ვინც მას შეეხება, ის, პოლიტიკური თვალსაზრისით, განწირულია. ეს ლგბტ პროპაგანდისტებს არ ესმით. მაგალითად, რამდენიმე წლის წინათ ნინია კაკაბაძემ თქვა: აზიზიეს მეჩეთი უნდა აღდგეს და, ამავე დროს, ლგბტ პროპაგანდა დაკანონდესო. წარმოგიდგენიათ, ქართველი ლიბერალი, რომელიც შიზოფრენიულ მდგომარეობაშია, ცალი ხელით აზიზიეს მეჩეთს აშენებს და მეორეთი — ლგბტ-ს დაკანონებას ითხოვს. ეს პოლიტიკურ-კულტურული პათოლოგიაა. დიახ, საქმე პოლიტიკურ შიზოფრენიასთან გვაქვს. ქართველი ლიბერალისგან არაფერი გამოვა, ის ყოველთვის დესტრუქციული ძალა იქნება. ახლა ეს, როგორც აბსოლუტური წარსული, დასაფლავდა.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ მიშასთან ერთად საბოლოოდ დასრულდა ბოკერია, როგორც მოვლენა. მას პარტიაც კი აღარ აქვს. ეს დიდი ციკლი, რაც 90-იანი წლების ბოლოდან დაიწყო და აბსოლუტურად ნიჰილისტურია, დასრულდა. ადრე ბოკერია მეუბნებოდა: არჩევნები უნდა გაყალბდეს, რადგან ქართველი ხალხი ისეთი იდიოტია, პრეზიდენტად კათალიკოს-პატრიარქს აირჩევსო. ეს რადიკალური ნიჰილიზმი, რამაც 2008 წლის დაპირისპირებამდე მიგვიყვანა, სადაც საქართველო უნდა გამქრალიყო, დამთავრდა. ბოკერია-სააკაშვილის დასასრული სწორედ ამ ნიჰილიზმის დასასრულია.

**— 26 ოქტომბრის არჩევნები პოლიტიკურთან ერთად, ღირებულებითი არჩევანიც იყო.**

— ბიძინა ივანიშვილმა აბსოლუტურად სწორად თქვა: ეს იყო რეფერენდუმი. **1991 წელს ხომ ჩატარდა რეფერენდუმი დამოუკიდებლობის მოპოვების თემაზე. გავიდა 33 წელი და რეფერენდუმი განმეორდა.** ანუ, მაშინ წყდებოდა საკითხი — საქართველო უნდა ყოფილიყო თუ არა დამოუკიდებელი საბჭოთა კავშირისგან, ახლა კი ჩატარდა რეფერენდუმი — უნდა ვიყოთ თუ არა დასავლეთისგან დამოუკიდებელი. ნაცებს ასე წარმოუდგენიათ — თუ რუსეთის მონა ხარ, ე. ი. მართლა მისი მონა ხარ და თუ დასავლეთის ვასალი ხარ, მაშინ თავისუფალი ხარ. დასავლეთი მათთვის არის, როგორც ალაჰი ისლამში. ეს ნეოკოლონიალური აზროვნებაა. თუკი ოდესმე საქართველოში ნეოკოლონიალიზმი იყო, ეს ნაცებთან კავშირშია. მაშინ არ ვიცოდით, დამოუკიდებლობა რა იყო, ახლა კი ვიცით, რომ ბრიუსელისგანაც და მოსკოვისგანაც დამოუკიდებელნი ვართ. სამწუხაროდ, ამისთვის ამომრჩევლის 37% მზად არ აღმოჩნდა. ამ 37%-ის დიდი ნაწილი აგრესიული არ არის და არც ქვეყნის დანგრევაში მონაწილეობა სურს. ქვეყნის ნგრევას ლიბერალები აწერენ ხელს, რომლებიც ახალგაზრდებს თანხებს იმაში უხდიან, რომ თავი „დუბინკას“ შეუშვირონ და მოლოტოვის კოქტეილები ისროლონ. ჩვენ 9 აპრილს უფასოდ გავედით გასაპროტესტებლად — არც ამერიკას გადაუხდია ამაში თანხა და არც ვინმე სხვას. უფასოდ დავიხოცეთ. 2003 წელს შევარდნაძე მდუმარე უმრავლესობის ფონზე ჩამოაგდეს. დღეს გვიმეორებენ: ნატო

დაგიცავთო, არადა, ის რუსეთთან სამარცხვინოდ მარცხდება. დღეს არის არა ერთი, არამედ ბევრი პოლუსი და მათთან ურთიერთობა უნდა ვისწავლოთ, რაც ხაზარაძეს, სააკაშვილს, გვარამიას არ შეუძლიათ. ეს არის წარსული, რომელიც ჩვენს თვალწინ უკრაინის ომის სახით დგას, სადაც რუსეთი იმარჯვებს.

**— ნატო-ში გაწევრიანება პროპაგანდა იყო?**

— ეს დასავლეთის მხრიდან გარკვეული ხრიკი იყო. მას სჭირდებოდა ისეთი ქვეყნები, რომლებიც, როცა მომენტი დადგებოდა, რუსეთს მისი დაშლის მიზნით დაუპირისპირდებოდნენ. ეს შეიძლება არაჩვეულებრივი ამოცანაა და რუსეთი მართლაც დასაშლელია, მაგრამ ამ სცენარში საქართველოს, უკრაინას და მოლდოვას საშინელი როლი ჰქონდათ. უკრაინა, კი ვხედავთ, რა როლსაც ასრულებს. საქართველო ბოლო მომენტში ხელიდან გაუსხლტათ. ამიტომაც არიან ჩვენი დაუძინებელი მეგობრები ასე აღშფოთებულები, რომ ამ ომში ქათამივით რომ ვერ წაგვაკლეს. ძროხას კლავენ, მაგრამ ქათამი გვერდზე გახტა.

**— ახალგაზრდები ახსენეთ, რას უპასუხებთ მათ აღშფოთებას ევროპასთან დაშორების თაობაზე?**

— ამ ახალგაზრდებს არაფერი ეშველებათ, ამიტომ არც არაფერს ვეტყვი. ადამიანს შიზოფრენიული შეტევა რომ აქვს, იმ მომენტში უნდა გაკოჭო. თუ ამას ვერ შეძლებ, მან, შეიძლება დანა გაგიყაროს. ფილოსოფოს ლუი ალტიუსერს შიზოფრენიული შეტევა რომ დაემართა, ცოლი მოკლა და მერე არაფერი ახსოვდა. მე ამას შეპყრობილობას ვუწოდებ. გავიხსენოთ, 9 აპრილის აქციებზე ზოგი ლექსებს კითხულობდა, ზოგი ოპერის წინ მღეროდა, მაგრამ შინაგანად ბევრს ჰქონდა განცდა, რომ რაღაც გამოუსწორებელი ხდებოდა. ეს ბედისწერის მომენტი იყო. განცდა იყო, რომ რაიმეს გამოსწორება შეუძლებელია. ახლა პირიქით არის. დღეს შევძელით, ერთად დავმდგარიყავით, როგორც ერთიანი ორგანიზმი.

ჩვენი ერთიანობა დიდწილად აგრესიულმა ლიბერალიზმმა, ლგბტ იდეოლოგიის თავსმოხვევამ განაპირობა. მეტსაც გეტყვით, ბევრი მიშისტი, რომელიც მართლმადიდებელია, ამ კანონის მომხრეა, მაგრამ შინაგანი წინააღმდეგობა აქვს. სააკაშვილს რომ ჰკითხოთ, მართლმადიდებელია და ბოკერიამ დაღუპა.

დღეს რეფერენდუმი რომ ჩავატაროთ: ვინ უჭერს მხარს ოჯახური ფასეულობების დაცვას, 60%-ს კი არა, არამედ 80%-ზე მეტ მომხრეს მივიღებთ. ვინ არის გეიქორწინებების წინაღმდეგი — თუ ვიკითხავთ, აღმოჩნდება, რომ 90%. რეფერენდუმი რომ გავმართოთ, ემხრობა თუ არა საზოგადოება „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანთა დაცვის შესახებ“ კანონს თუ ლგბტ-ს, 90% ამ კანონს მიემხრობა. ამ საკითხში ერი ერთიანია, ოღონდ ნაწილი შეშინებულია, ნაწილი დასავლეთის მანიპულაციის ქვეშაა. ანუ ქართველი ერი ამ საკითხში ერთსულოვანია. მხოლოდ ბოკერია-ჩერგოლეიშვილი ბედავენ ღიად ლგბტ პროპაგანდას. ბოკერია დარწმუნებულია: დასავლეთი იმდენად ძლიერია, რამე რომ იყოს, თბილისში ბომბს ჩამოაგდებს. არც ცოლ-ქმარი იტყვიან უარს, ბომბის თავად ჩამოგდებაზე — იციან, რომ დასავლეთი ამ საქმეში მათ მხარს დაუჭერს. მთელი ეს ატომური იარაღი, ფაქტობრივად, ბოკერიასია და ხელთ რომ ჩაუგდო, პირველი თვითონ ჩამოაგდებს თბილისში ბომბს. ზელენსკის რომ მისცე ეს იარაღი, ის მოსკოვში მაინც ჩააგდებს და ბოკერია — პირდაპირ თბილისს სტყორცნის. ამიტომაც ვთქვი ზემოთ, ეს აბსოლუტური ნიჰილიზმის გამოხატულებაა. თუკი მიშა კომფორმიზმი, სრული უპრინციპობის გამოხატულება — ქართველი ყვარყვარეა, ბოკერია — ყორღანაშვილია. ბოკერია ის პერსონაჟია, რომელსაც ზღუდე არ აქვს. ესენი ახალი ადამიანის შესაქმნელად ცეცხლს დაანთებენ და მთელ ქართველ ხალხს ღუმელში შეუკიდებენ. მე ასე ვიტყოდი, ესენი ამორალობის ასკეტები და ფანატიკოსები არიან.

**— როგორ გაგრძელდება გარე სამყაროსთან ჩვენი ურთიერთობა?**

— დამოუკიდებლობა არის, როცა თავად საზღვრავ — ვინ არის მტერი და ვინ — მოყვარე. „ქართული ოცნება“ ამ დღისთვის 12 წელი ემზადებოდა, ეს იყო ბრძოლა. ახლა ჩვენ მართლაც სუბიექტი გავხდით, დამოუკიდებლობა რეალურად მოვიპოვეთ და ეს უნდა გამოვიყენოთ. ორბანმა გვითხრა, ბრიუსელის მუქარებს ყურადღებას ნუ მიაქცევთო. მე ასე ვიტყოდი: „ჩვენ უნდა ჩვენი ვშვათ მყოობადი, ჩვენ უნდა მივცეთ მომავალი ხალხს“... ერთი მხრივ, მნიშვნელოვანია ჩვენი ურთიერთობა უნგრეთ-ავსტრიასთან და მეორე მხრივ, აღმოსავლეთთან, ჩინეთთან პარტნიორობა. საქართველო ტრამპის ამერიკასთანაც შეძლებს ურთიერთობას, ჰარისის ამერიკასთან — არა. დასავლეთმა რეალური საფრთხე რომ შეგვიქმნას, აქ ბომბი უნდა ჩამოაგდოს. კიევის დასახმარებლად არ აქვთ ბომბები და აქ რომ ჩამოაგდონ, ზელენსკის ხომ ეწყინება — არ იტყვის, ჩემთვის მოგეცათ და მოსკოვს ვესროდიო.

დასავლეთი უნდა დაფიქრდეს, ასეთი პატარა ქვეყანა რომ გადაგიდგება ე. ი. რაღაც პრობლემაა — ანუ, ის საქართველოსთვის ძველებურად მომხიბვლელი აღარ არის. დასავლეთი უძლეველი რომ გვეგონა, თურმე ძალაც აღარ ჰქონია, რუსეთი რეალურად უგებს. პარტნიორები, მეგობრები უნდა ეძებო, მაგრამ გადაწყვეტილება საკუთარი ტვინით უნდა მიიღო და არა ჯორჯ ბუში-უფროსის ან მაკკეინის ინსტიტუტის მითითებით. **რა იყო საქართველო 2012 წლამდე — პროფესორ დოუელის თავი, ლევან რამიშვილის ყელი, მაკკეინის ტვინი და მასა ე. წ. კოლექტიური ირაკლი აბსანძისა.** ამ ყველაფრის დემონტაჟი ძალიან გაგვიჭირდა.

**— პრეზიდენტის როლს როგორ ხედავთ ბოლო დროს განვითარებულ მოვლენებში?**

— ზურაბიშვილს განათლება დასავლეთში აქვს მიღებული, მაგრამ არ იცის, რომ დასავლეთის მონა კი არ უნდა იყო, არამედ მისი ნამდვილი ფასი უნდა იცოდე. იგი შეცდომაში შეიყვანეს. მათემატიკოსი არ არის და არ იცის, ვერიფიკაციის აპარატი როგორ მუშაობს. უთხრეს, იქ ეშმაკი ზისო და ამანაც დაიჯერა. თურმე ეს ეშმაკი მაშინ მუშაობს, როცა ნაცები ყრიან ბიულეტენებს, ხოლო „ქართული ოცნების“ მომხრეების ხმის დაფიქსირებისას, თურმე გასუსულია. ეს უკვე ქრისტიანობა კი არა, არამედ ჯადოსნობაა. ქრისტიანობა მაგიურ აზროვნებას ყოველთვის ებრძვის. სალომე მაგიური აზროვნების ტყვეობაში აღმოჩნდა.

**— „ისფედმა“ პარალელური დათვლის შედეგების გამოქვეყნებაზე უარი განაცხადა...**

— გამოდის, არანაირი გაყალბება არ ყოფილა. როგორც დასაწყისშიც აღვნიშნე, არჩევნების შედეგებით თავად დამკვეთები, მენეჯერები არიან შოკირებულნი. „პატარებმა“ „დიდი“ უკვე მეორედ მოატყუეს, 2008 წელსაც ხომ ასე მოხდა. მაშინ რომ მოტყუვდნენ, კარგიც იყო, სააკაშვილმა თავისი სიმხდალით გადაგვარჩინა — მიხვდნენ, რომ საქართველოსთან ბრძოლა არ შეუძლიათ. მათ ეგონათ, რამდენიმე დღე და მერე პარტიზანული ომი გაჩაღდებოდა. სააკაშვილმა თავისი სიმხდალით ეს ვერ გააკეთა და გადავრჩით. სააკაშვილი ღმერთის მარცხენა ხელი აღმოჩნდა. ჯერ საკუთარი თავი მოიტყუეს, მერე — დამკვეთი.

**— „ქართული ოცნების“ მთავარი დაპირების შესრულება ნაცების კონსტიტუციური ჩარჩოებიდან გაყვანის შესახებ, როგორ გესახებათ?**

— ნაცების კონსტიტუციიდან გაყვანა დე-ფაქტო უკვე მოხდა. ნაცები გუშინდელი დღეა. მათი გაფარჩაკება, აკრძალვა უკვე მოხდა. ივანიშვილმა დე-იურე უნდა გააფორმოს ის, რაც დე-ფატო უკვე მოხდა.

ახლა იმუქრებიან, რომ პარლამენტში არ შევლენ და კრიზისს გამოიწვევენ. ასე არ მოხდება. რუსეთ-უკრაინის ომმა ყველაფერი ჩამოაქცია. ჰერაკლიტე ამბობდა: ომი ყველაფრის მამა და ბატონ-პატრონიაო — ერთს ღმერთებად, თავისუფლებად აქცევს, მეორეს — მონებადო. მე ასე ვიტყვი: ერთს სულელებად აქცევს, მეორეს — ჭკვიანებად, ერთს — გმირებად და მეორეს — ლაჩრებად. ამ შემთხვევაში ჩვენ ცხრა ჭკვიანი ქალწული აღმოვჩნდით, მათ კი — ჩაეძინათ. გვარამია კარვების ქალაქს გვიანონსებს. ამას დიდი რესურსი სჭირდება. ვატყობ, ერთ ადამიანს ოთხ კარავში სირბილი მოუწევს. ჩვენც გავერთობით, რაც ნამდვილად გვაკლია. ყველაზე დიდი იარაღი არის სიცილი, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც ხედავ, რომ რაღაც ამბის უკან არაფერი იმალება. ეს მოვლენა ყოველგვარი რეალობისგან დაცლილია. თუ ეს 2008 წელს ტრაგედია იყო, დღეს — ფარსია. როგორც ძალად ავადმყოფი სააკაშვილი გახდა კომიკური პერსონაჟი, ახლა ბევრ ასეთ პერსონაჟს ვიხილავთ, დაწყებული გვარამიადან, ხაზარაძით დამთავრებული.

**თამარ შველიძე**











# როგორ ტარდება არჩევნები აშშ-სა და ევროკავშირის ქვეყნებში

**„მაშინ, როცა მთელმა „ლიბერალურმა" სამყარომ ქართული საარჩევნო პროცესის განკითხვისათვის მოიცალა, მოდი, გადავხედოთ, როგორ ატარებენ ისინი არჩევნებს თავიანთ ქვეყნებში!" - ამის შესახებ პოლიტიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, თადარიგის პოლკოვნიკი ლევან ნიკოლეიშვილი „საერთო გაზეთთან" საუბრობს. მიუხედავად იმისა, რომ სადამკვირვებლო ორგანიზაციების ანგარიშებსა თუ მედიაში, ევროპულ ქვეყანებში ჩატარებულ არჩევნებზე დაფიქსირებული დარღვევის მრავალი ფაქტი არსებობს, მასშტაბურობიდან გამომდინარე, ლევან ნიკოლეიშვილი ყურადღებას ევროპარლამენტსა და აშშ-ში ბოლო წლებში ჩატარებულ არჩევნებზე ამახვილებს:**

**Election-Watch.EU** არის დამოუკიდებელი, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაცია, რომლის მიზანი ევროპის ქვეყნებში არჩევნებისა და საარჩევნო პროცესების დაკვირვება და შეფასებაა. მათ მიერ წარმოდგენილი ფაქტები ადასტურებს, რომ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოებსა და აშშ-ში ჩატარებული არჩევნები შორს არის მათ მიერვე დეკლარირებული სტანდარტებიდან და ამ არჩევნების ლეგიტიმურობა, მათივე სტანდარტით, საეჭვოა. შესაბამისად, თვალთმაქცობაა მათ მიერ სხვა ქვეყნებში ჩატარებული არჩევნების შეფასება, კრიტიკა და მით უფრო, დირექტივები ამ ქვეყნების მისამართით.

2024 წლის 30 სექტემბერს, ევროპარლამენტის არჩევნების საერთაშორისო დამკვირვებელთა ქსელის მიერ გამოქვეყნებულ საბოლოო ანგარიშში, საინტერესო ინფორმაციას ვეცნობით:

### ორმაგი ხმის მიცემა

ანგარიშის მიხედვით, ევროპარლამენტის არჩევნები მზარდი გამოწვევებისა და პოლარიზებული პოლიტიკური გარემოს ფონზე წარიმართა. 2024 წელს, 425 მილიონზე მეტი ევროპელი მოქალაქიდან, დაახლოებით, 355 მილიონი დარეგისტრირდა პარლამენტის არჩევნებისთვის, თუმცა არ არსებობს მონაცემთა გაცვლის მექანიზმი ქვეყნებს შორის, რაც მოქალაქეების მიერ ორმაგი ხმის მიცემის, ე. წ. „კარუსელის" საშუალებას იძლევა (ეს იმას ნიშნავს, რომ შესაძლებელია, პირმა ჯერ ერთ ქვეყანაში მისცეს ხმა და შემდეგ მეორე ქვეყანაში). ამასთან, ამომრჩეველთა სიებში გარდაცვლილი მოქალაქეები დაფიქსირდა.



### ფარულობა

ვიცით, რომ ფარულობის პრინციპის დაცვის მიზნით, მნიშვნელოვანია, ყუთში ბიულეტენი თვითონ ამომრჩეველმა მოათავსოს, თუმცა, შვედეთსა და პორტუგალიაში ამას საარჩევნო უბნის წევრები აკეთებენ. ასევე, საბერძნეთსა და მალტაში, კენჭისყრის პროცესში, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებს დახმარებას უწევენ საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლები.

განსაკუთრებული შეშფოთების საგანს წარმოადგენს გადასატანი საარჩევნო ყუთის გამოყენებით ხმის მიცემის საკითხი, რადგან დაფიქსირდა მთლიანობისა და ფარულობის ზომების დაცვასთან დაკავშირებული სერიოზული პრობლემები (ავსტრია, ბულგარეთი, ჩეხეთი).

### არჩევნებზე დაკვირვება

მოგეხსენებათ, რომ არჩევნებზე დაკვირვება დემოკრატიული საარჩევნო პროცესების გამჭვირვალობისა და ნდობის გასაძლიერებლად ეფექტიანი გზაა. შესაბამისად, მნიშვნელოვანია, ქვეყანას გააჩნდეს იმგვარი სამართლებრივი წესრიგი, რომელიც არჩევნებზე დაკვირვების გარანტია იქნება. რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ევროკავშირის მხოლოდ შვიდ სახელმწიფოს აქვს საკანონმდებლო ჩარჩო და აკრედიტაციის პროცედურები, როგორც საერთაშორისო, ისე ადგილობრივი დამკვირვებლებისთვის.

მაშინ, როდესაც დემოკრატიული არჩევნებისთვის დაკვირვების შესაძლებლობა ერთ-ერთი მნიშვნელოვანი საკითხია, ამერიკის თხუთმეტი შტატი არ იძლევა, კენჭისყრის დღეს, საერთაშორისო დაკვირვების საშუალებას! ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის შეფასებით, დამკვირვებელთა წვდომის წესების ფართო განსხვავება და მათი განსხვავებული გამოყენება აკნინებს საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას და ეწინააღმდეგება ეუთოს ვალდებულებებს.

### შედეგების გასაჩივრება

ევროკავშირის შვიდ სახელმწიფოში არჩევნების საბოლოო შედეგების შესახებ მიღებული გადაწყვეტილებები არ ექვემდებარება განხილვას და გასაჩივრებას, რაც ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს.

### საარჩევნო დავები

ევროკავშირის მოქალაქეების 37 პროცენტი საკუთარი ეროვნული სასამართლოებისა და მოსამართლეების დამოუკიდებლობას აფასებს როგორც ძალიან ან საკმაოდ ცუდს. ამ ფონზე საარჩევნო დავების გადაწყვეტის ეფექტიანობა EAM-ის თანამოსაუბრეებმა შეაფასეს ნაკლებად პოზიტიურად, ვიდრე სხვა სფეროები, რაც მეტყველებს იმაზე, რომ აქ კიდევ უფრო ცუდად არის საქმე.

### არჩევნებში საზღვარგარეთ მყოფი ამომრჩევლის მონაწილეობა

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წლევანდელ საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საზღვარგარეთ იმაზე მეტი უბანი გაიხსნა, ვიდრე იყო 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე, მათ შორის, იმ ქვეყნებშიც, სადაც საარჩევნო უბნები წინა არჩევნებზე საერთოდ არ გახსნილა, ემიგრანტების არჩევნებში მონაწილეობის საკითხი მაინც მანიპულირების საგნად იქცა. ამავე დროს, მსოფლიოს არაერთ ქვეყანას ემიგრანტებისთვის არჩევნებში მონაწილეობის უფლება შეზღუდული აქვს. მათ შორის ევროკავშირის ოთხი ქვეყანა (ჩეხეთი, ირლანდია, მალტა, სლოვაკეთი) თავის მოქალაქეებს არ სთავაზობს უცხოეთიდან ხმის მიცემის შესაძლებლობას. ზოგიერთი კი, სხვა სახელმწიფოში საარჩევნო უბნებს არ ხსნის.

### მედიის თავისუფლება

მიუხედავად იმისა, რომ ევროკავშირი, ზოგადად, მიიჩნევა უსაფრთხო სივრცედ თავისუფალი და დამოუკიდებელი მედიისთვის, ანგარიშში მოყვანილია ფაქტები, რომ არსებობს დაკავების, თვალთვალის, პოლიტიკური ზეწოლისა და ჟურნალისტების მიმართ ძალადობის შემთხვევები.



### აქტიური საარჩევნო უფლება

საინტერესოა ის ფაქტი, რომ ლიბერალურ ქვეყნებში სულ უფრო მცირდება არჩევნებში მონაწილეობისთვის ასაკობრივი ზღვარი. ბელგია და გერმანია შეუერთდნენ ავსტრიას და მალტას და ხმის მიცემის ასაკი 16 წლამდე შეამცირეს. ეს კი იმის მანიშნებელია, რომ ლიბერალები, კარგავენ რა თანამოაზრეებს, ამ პრობლემის გადაჭრას მარტივად, ახალგაზრდებზე ზემოქმედებით ცდილობენ. ხოლო, აღნიშნულ ქმედებებს პოლიტიკურ ცხოვრებაში ახალგაზრდების ჩართულობის ზრდის ხელშეწყობად წარმოაჩენენ.

### საარჩევნო სისტემა

ანგარიშში ნათქვამია, რომ პროპორციული წარმომადგენლობის სისტემა არათანაბრად არის დანერგილი ქვეყნების მასშტაბით და მანდატების მოსაპოვებლად სხვადასხვა ბარიერია დაწესებული, რაც, რიგ შემთხვევაში, არ იძლევა ამომრჩევლის მიერ გამოხატული ნების ადეკვატური ასახვის მექანიზმს, შესაბამისი პოლიტიკური სუბიექტების პოლიტიკურ ცხოვრებაში ჩართულობის შესაძლებლობის სახით.

ამის მაგალითია ეუთო/ოდირის საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის განცხადება 2022 წლის 8 ნოემბერს, ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესის შუალედური არჩევნების შესახებ.

### გაყალბების შესახებ ბრალდებები

არჩევნების გაყალბების შესახებ ბრალდებები არც დემოკრატიის ციტადელისთვის - აშშ-ისთვის არის უცხო. უფრო მეტიც, 2020 წლის საპრეზიდენტო არჩევნების გაყალბების შესახებ წარმოებულმა კამპანიამ მომდევნო არჩევნებზეც იქონია გავლენა. პოლიტიკოსებისა და ჟურნალისტების მხრიდან ბრალდებებმა, რომ დაუსწრებელმა ხმის მიცემამ და საარჩევნო ყუთების (ბალლოტ დროპ ბოხეს - ყუთები, დაუსწრებელი საარჩევნო ბიულეტენების მიღების მიზნით, განთავსებულია ქალაქში) გამოყენებამ 2020 წლის არჩევნების გაყალბება გამოიწვია, უარყოფითად იმოქმედა მომდევნო საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობაზე.

„რესპუბლიკელებმა" გააპროტესტეს წესები, რომლებიც მიზნად ისახავს ხმის მიცემის ალტერნატივის გაფართოებას. ისინი ამტკიცებენ, რომ ეს წესები ეწინააღმდეგება სახელმწიფო კანონებს და ქმნის არჩევნების გაყალბების პოტენციალს. ამასთან, კენჭისყრის დღეს საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა აღმოაჩინეს, რომ ხშირ შემთხვევაში, ამომრჩევლები არ იყვნენ სიაში. ასეთ ამომრჩევლებს კი აძლევდნენ დროებით ბიულეტენებს, გარკვეულ პერიოდში მათი ვერიფიკაციის მიზნით, რაც ცალსახად გამორიცხავს ხმის მიცემის ფარულობას.

### ამომრჩეველთა დუბლირება

ამომრჩეველთა რეგისტრაცია, ჩრდილოეთ დაკოტას გარდა, ყველა შტატში აქტიურია. ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის




შეფასებით, არჩევნების დღეს რეგისტრაციის შესაძლებლობა იძლევა უფრო ინკლუზიური მონაწილეობის საშუალებას. თუმცა, ეს პროცედურები ხელს უშლის ამომრჩეველთა რეესტრის ზუსტი მონაცემების შეგროვებას, რაც, პოტენციურად, ჩანაწერების დუბლირებას იწვევს. აღნიშნული კი, შესაძლოა, მრავალჯერადად ხმის მიცემის წინაპირობა გახდეს, რაც საერთაშორისო კარგ პრაქტიკას არ შეესაბამება.

### ფარულობა

საინტერესოა ის ფაქტი, რომ დაუსწრებელი კენჭისყრა ტარდება უკონტროლო გარემოში, რაც, ეუთო/ოდირის შეფასებით, სხვა ფაქტორებთან ერთად, არ იძლევა კენჭისყრის ფარულობის გარანტიას და ამომრჩეველთა ნებაზე ზემოქმედების შესაძლებლობას იძლევა.

### საარჩევნო მოხელეების მიმართ ნდობის ნაკლებობა

ეუთო/ოდირის სადამკვირვებლო მისიის განცხადებაში აღნიშნულია, რომ მთავარი საარჩევნო ადმინისტრატორების პოლიტიკური კუთვნილება ეწინააღმდეგება საერთაშორისო სტანდარტებს, რაც ქმნის ინტერესთა კონფლიქტს და ამცირებს საარჩევნო პროცესის მიმართ ნდობას. უფრო მეტიც, საარჩევნო უბნების გადანაწილება ხორციელდება სხვადასხვა ორგანოს მიერ სხვადასხვა შტატში და ძლიერ პოლიტიზირებულია. სადამკვირვებლო მისია აღნიშნავს, რომ კომისიების შემადგენლობა და დანიშვნის მეთოდი ყოველთვის არ უზრუნველყოფდა მათ დამოუკიდებლობასა და მიუკერძოებლობას, როგორც ამას საერთაშორისო კარგი პრაქტიკა მოითხოვს.

### საარჩევნო მოხელეების დაშინება

სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლები იუწყებიან, რომ შემაშფოთებელი იყო შევიწროების, მუქარისა და ძალადობის შემთხვევები კანდიდატების, მათი ოჯახის წევრებისა და საარჩევნო ადმინისტრაციის წარმომადგენლების მიმართ, - ისევე, როგორც, ხშირი იყო ამომრჩეველთა დაშინების ფაქტები. ეუთო/ოდირის თანამოსაუბრეთა უმეტესობამ შეშფოთება გამოთქვა საარჩევნო მოხელეების მიმართ ძალადობის განხორციელების მუქარის მზარდი რაოდენობის შესახებ, შტატების მასშტაბით და ადგილობრივ დონეზე. საარჩევნო მუშაკების მიმართ მუქარა, უმეტეს შემთხვევაში, სატელეფონო ზარებითა და სოციალური მედიით ხორციელდებოდა. საარჩევნო მოხელეების მიმართ მუქარამ, პერსონალის დაქირავებისა და შენარჩუნების კუთხით, პრობლემები შექმნა. ეუთო/ოდირს აცნობეს, რომ 2021 წლის 1-ელი ივლისიდან მოყოლებული, თითქმის 2000 მტრული ან შემავიწროებელი კონტაქტების შემცველი შეტყობინება მიიღეს, რომლებიც გავლენას ახდენდნენ საარჩევნო ადმინისტრატორებზე.

საყურადღებოა ის ფაქტიც, რომ უმეტეს შემთხვევაში, შტატების მხრიდან, საარჩევნო მოხელეთა ხელფასების და საარჩევნო აღჭურვილობისთვის ხელმისაწვდომი თანხები მკაცრად შეზღუდული იყო.

### საარჩევნო დავები

ეუთო/ოდირის შეფასებით, შეტანილი საჩივრების შესახებ ინფორმაცია სისტემატურად არ ქვეყნდებოდა და საჩივრების შესახებ ამომწურავი ინფორმაცია საზოგადოებისთვის არ იყო ხელმისაწვდომი.

### ელექტრონული ტექნოლოგიები

საერთაშორისო სადამკვირვებლო მისიის დამკვირვებლებმა, ასევე, აღნიშნეს ხმის მიცემის აპარატების ან ბიულეტენების სკანერების გაუმართაობის შემთხვევები. ამასთან, მისიის შეფასებით, ზოგიერთ შტატში შენარჩუნებულია აპარატები, რომლებიც არ უზრუნველყოფენ ქაღალდის კვალის არსებობას, რაც კარგ საერთაშორისო პრაქტიკას ეწინააღმდეგება.

წარმოდგენილი მაგალითების განხილვის შედეგად, ნათელია, რომ ევროკავშირის წევრ სახელწიფოებსა და აშშ-ში ჩატარებული არჩევნების დემოკრატიულად მიჩნევა, რბილად რომ ვთქვათ, პოლიტიკური რევერანსია. რეალურად, ამ არჩევნებზე ირღვევა ფუნდამენტური პრინციპები. მათი საარჩევნო სისტემები არ უზრუნველყოფს თანასწორობას, ამომრჩეველთა უფლებების დაცვას, კენჭისყრის ფარულობას, საზოგადოებისთვის არ არის ხელმისაწვდომი შესაბამისი ინფორმაცია, იზღუდება საარჩევნო პროცესზე დაკვირვება, აგრეთვე, სახეზეა არჩევნების გაყალბების არაერთი საშუალება, ამასთან, სახეზეა შედეგების გასაჩივრების შეზღუდვაც.

ყოველივე აღნიშნულიდან გამომდინარე, წარმოდგენილი ქვეყნები დემოკრატიის საზომი ვერ იქნება, მათ მიერ სხვა ქვეყნებში არჩევნების შეფასება კი ორმაგი სტანდარტისა და თვალთმაქცობის მაგალითია.

მოამზადა
**ნონა ქარქაშაძემ**



# მკითხველის ფოსტიდან

## ქალბატონ ნუკა არველაძეს

ქალბატონო ნუკა!

ძალიან მომეწონა "საერთო გაზეთში" დაბეჭდილი თქვენი ინტერვიუ - „თუ თაობებს რეალურ ისტორიას არ ვასწავლით, უცხო ქვეყნები „ასწავლიან" საქართველოს გეოგრაფიას". წერილში ბევრი რამ საგულისხმო წერია, რაზეც, როგორც წესი, პირდაპირ ლაპარაკს ერიდებიან. ზუსტად გაქვთ ფორმულირებული რუსეთთან საქართველოს ურთიერთობის პერსპექტივა: „სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია საქართველოსთვის რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა. ეს არის ყველაზე მთავარი, რაც უნდა მოხდეს", - ამ აზრს ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობა იზიარებს.

არაერთხელ მტკენია გული ჩემს საყვარელ მეფე ერეკლეზე ნათქვამის გამო - „ერეკლემ მარტო ხმლის მოქნევა იცოდა". ჯერ ერთი, ხმლის მოქნევა თავისთავად დიდებული რამეა, როდესაც მომქნეველმა იცის სად, როდის და როგორ უნდა მოიქნიოს ხმალი. მეორე და უმთავრესი - ერეკლე არა მარტო ნიჭიერი სარდალი, სამხედრო საქმის უბადლო მცოდნე, არამედ ჭკვიანი სახელმწიფო მოღვაწეც იყო, რაც რატომღაც ძალიან ცოტამ იცის. ასე მოფიქრალმა ხალხმა ერეკლე მეფის შესახებ რომ წაიკითხოს ქართველი ადამიანისთვის აუცილებლად წასაკითხი: ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის და სერგი ჯანაშიას „საქართველოს ისტორია" -

ის წიგნი, რომელიც „დატუსაღებული ისტორიის" სახელით არის ცნობილი და 2017 წელს არის გამოცემული; გერონტი ქიქოძის „მეფე ერეკლე"; და YouTube-ში მოიძიოს გიორგი კალანდიას ფილმი „ერეკლე II - უცნობი ისტორიები", სწორი აზრი შეექმნებოდა ამ ამაგდარ ადამიანზე. ომებს შორის შუალედში ერეკლე დაუღალავად იღვწოდა ქვეყნის განვითარება-გაძლიერებისათვის, რაზეც მეტყველებს მის მიერ განხორციელებული რეფორმები: ა) მორიგე ჯარის შემოღება; ბ) საგლეხო რეფორმა; გ) ტყვეთა სყიდვის მოსპობა; დ) ზრუნვა განათლებაზე; ე) სტამბის აღდგენა; ვ) სპილენძისა და ვერცხლის მადნების გადამამუშავებელი ქარხნების აშენება, რისთვისაც მან ოსმალეთიდან ჩამოაყვანინა ბერძენი სპეციალისტები და ა. შ.

ერეკლეს მიზანი ქვეყნის ევროპულ წესზე გარდაქმნა იყო.

ერეკლე მეფის მიერ მიღებული გადაწყვეტილება - რუსეთთან შეერთება, სწორად რომ შევაფასოთ, უნდა გავითვალისწინოთ, როგორი საქართველო ჩაიბარა მან. მე-13 საუკუნიდან დაწყებული, ერეკლეს დრომდე, საქართველომ უთვალავი ომი გადაიტანა და ქვეყანა სისხლისგან დაიწრიტა, მოსახლეობა შემცირდა - მთელი აღმოსავლეთი საქართველო მთიან-ბარიანად ნახევარი მილიონიც აღარ იყო. საქართველო სამ ვეშაპს შორის იყო მოქცეული - ოსმალეთს, ირანსა და რუსეთს შორის. ამასთან, არანაკლები უბედურება, თუ მეტი არა, იყო ლეკიანობა, რადგან ლეკების თავდასხმებსა და ხალხის გატაცებას სისტემატური ხასიათი ჰქონდა, რაც აჩანაგებდა ქვეყანას. მხედველობაშია მისაღები მსხვილი ფეოდალების ორგულობაც, რომლებიც მათთვის ხელსაყრელ ყოველ მომენტში ღალატობდნენ მეფეს. ბრძოლისა და შრომისგან დაღლილ მოხუც მეფეს, რომელსაც სიცოცხლეც ცოტა ჰქონდა დარჩენილი და ძალ-ღონეც, უნდა გადაეწყვიტა ქვეყნის ბედი - მარტო ღვთის ანაბარად ვერ დატოვებდა. და გადაწყვიტა. **სამ ბოროტებას შორის უმცირესი აირჩია - ქრისტიანი რუსეთი.** ამოსავალი მეფისთვის სარწმუნოება იყო.

ის, რომ რუსეთმა დაარღვია სამოკავშირეო ხელშეკრულება - გაგვიუქმა სამეფო ტახტი, გააუქმა ჩვენი ეკლესიის ავტოკეფალია, მთელი მე-19 სუკუნის განმავლობაში და მერეც გვებრძოდა, რომ ენა დაგვეკარგა (მაგ., მე-20 საუკუნეში ჩვენს სათაყვანებელ პატრიარქს კალისტრატე ცინცაძეს მოუწია, რუსეთის ეგზარქოსისთვის ეთქვა „ან თქვენ რატომ წვალობთ, ან ჩვენ რად გვაწვალებთ, ხალხს, რომელსაც ბიბლია თავის ენაზე ჯერ კიდევ მე-10 საუკუნეში ჰქონდა, ძნელი მისახვედრია, რომ ენას ვერ დააკარგვინებთ") - ეს ყველაფერი რუსეთის სინდისზეა და ერეკლე მეფის „უნიჭო დიპლომატია" არაფერ შუაშია. **მას არ ჰქონდა სხვა გამოსავალი - ეს ყველამ უნდა შევიგნოთ.**

გასკვირია, რომ რუსეთის მხრიდან ასეთი ძალმომრეობის მიუხედავად, ჩვენ მაინც გადავრჩით. გადავრჩით როგორც ერი. შევინარჩუნეთ ენა, სარწმუნება, ტრადიციები და არ ვიქეცით უსახურ, უჯიშო, ულირსებო მასად. რაც მთავარია, რუსეთთან შეერთების შემდეგ, ომების შეწყვეტის შედეგად ერი გამრავლდა, 70 წლის განმავლობაში მოსახლეობა გაასმაგდა. **ერი მოშენდაო, - ბრძანა ილიამ.** აქედან გამომდინარეობს დასკვნა - **ერეკლე მეფეს სწორი ალღო აღმოაჩნდა.**

ქალბატონო ნუკა! საჭიროდ მიმაჩნია, თქვენი ინტერვიუდან მოვიტანო ის ამონარიდები, სადაც ასე ზუსტად და გაბედულად გვითხარით ის სიმართლე, რის თქმასაც რატომღაც ერიდებიან და რის ცოდნაც ჩვენ ყველას გვჭირდება. ასევე ძალზე საინტერესოა ინტერვიუს ის ნაწილი, სადაც ჩვენს დღევანდელ პოლიტიკურ მდგომარეობაზეა ლაპარაკი.

„ისტორია რომ არ ვიცით, ამიტომ გვგონია, რომ რუსეთმა აშენებული ქვეყანა დაგვიპყრო 1783 წელს. რეალურად კი, ერეკლე მეორეს რომ რუსეთის იმპერიასთან ხელისმოწერა არ მოესწრო, ადვილად წარმოსადგენია, აქეთ ოსმალეთის და იქით სპარსეთის იმპერია რას დაგვმართებოდა!

მინდა ყველამ იცოდეს, რომ 1783 წელს, საქართველო იყო სრულიად დანაწევრებული, ყველა რეგიონი, რასაც დღეს გაერთიანებული საქართველო ჰქვია, იყო დაყოფილი ცალ-ცალკე. 1801 წელს კი უკვე საქართველო გაერთიანდა და იცით, ვინ გააერთიანა?! - რუსეთის იმპერიამ! გვინდა თუ არ გვინდა ჩვენ, ეს არის ფაქტი, რომელიც უნდა დავინახოთ, ვთქვათ და ვაღიაროთ! უნდა ვასწავლოთ, პირველ რიგში, სკოლებში ჩვენი ქვეყნის ისტორია, რადგან თუ თაობებს რეალური ისტორია არ ვასწავლეთ, შემდეგ მათ უკვე უცხო ქვეყნები „ასწავლიან" ქვეყნის გეოგრაფიას.

ჩვენმა პოლიტიკოსებმა კი მარტო მე-20 საუკუნის გეოპოლიტიკა კი არ უნდა ისწავლონ, სულ მცირე, 200 წლის წინანდელ გეოპოლიტიკას უნდა გადახედონ, რა სიტუაციაში ვიყავით, რა გამოვიარეთ და სადამდე მოვედით! დღეს რომ ქვეყნის დამოუკიდებლობასა და სუვერენიტეტზე გვაქვს ამბიცია, ამაზე საერთოდ ლაპარაკიც არ იქნებოდა, შეიძლება ქართულ ენაზეც აღარ გვესაუბრა, მეფე ერეკლე რომ არ გვყოლოდა! ის, რომ დღეს ჩვენ დასავლეთს პრეტენზიებს ვუყენებთ და, საერთოდ, ვარსებობთ, სწორედ მეფე ერეკლეს დამსახურებაა!"

უკეთესად ვერ იტყვი.

ქალბატონო ნუკა! დიდი მადლობა დიდი სიმართლისათვის.

გისურვებთ წარმატებებს ყველა ფრონტზე!

**დალი ჭრიკიშვილი**

# დასავლეთი დიდხანს ამზადებდა ზურაბიშვილს, რათა მას მიხეილ სააკაშვილი ჩაენაცვლებინა



*გვესაუბრება ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი თემურ მაისურაძე*

**- ბატონო თემურ, ქართველი რადიკალები, დედა-პრეზიდენტის ხელმძღვანელობით, ქუჩის აქციებისთვის ემზადებიან. რა შედეგს გამოიღებს მათი მცდელობა?**

- ჩვენი ოპოზიცია არის ინსტრუმენტი აშშ-ის ხელში, რომელიც ევროპის მეშვეობით მუშაობს საქართველოში. ანუ, აშშ თვითონ ყოველთვის გვერდზე დგას და ევროპა მუშაობს საქართველოში ხელებდაკაპიწებული მათი მითითებებით. ჩვენი ქვეყნის უახლოესი წარსულიდან გამომდინარე, ისინი, ალბათ, ფიქრობენ, რომ საქართველოში რევოლუცია შესაძლებელია მხოლოდ და მხოლოდ არჩევნების ფონზე. ასეთი გამოცდილება მათ 2003 წელს ჰქონდათ. დანარჩენ შემთხვევაში, საქართველოში რევოლუცია ვერავინ მოაწყო. ერთადერთი, როდესაც შესაძლებელი გახდა საქართველოში მოსახლეობის აღშფოთება და გაგიჟება, ეს იყო 2003 წლის არჩევნები. შემდეგ, 2012 წელს მოვიდა „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში, მაგრამ 2016 წელს, დასავლეთის გათვლით, ისევ „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დაბრუნებულიყო.

თქვენ იცით, რომ სალომე ზურაბიშვილი მაგათ ჩამოიყვანეს მიხეილ სააკაშვილის ხელით და შემდეგ, გათამაშებული სცენარით, თვითონვე „დაუპირისპირეს“ ვითომ სააკაშვილს. თავიანთ ძლიერ, ძველ აგენტს, სალომე ზურაბიშვილს, დასავლეთი კარგა ხანს ამზადებდა იმისათვის, რომ მას მიხეილ სააკაშვილი ჩაენაცვლებინა. ამიტომაც ხელოვნურად გათამაშებული დაპირისპირებით, ზურაბიშვილი ოპოზიციაში გადავიდა, მაგრამ ის იყო, რეალურად, პრეზიდენტობის მომავალი კანდიდატი.

**- ანუ თავიდანვე იყო გათვლილი მისი პრეზიდენტობა დასავლეთის მიერ...**

- რასაკვირველია! ამიტომაც, საპრეზიდენტო არჩევნების დროს სალომე ზურაბიშვილის კანდიდატურის კატეგორიული წინააღმდეგი ვიყავი და ეს ის ერთადერთი შემთხვევა იყო, როდესაც მე „ქართულ ოცნებას“ ვუთხარი, რომ ამ საქმეში მათ გვერდში არ ვარ. თუმცა, ვიცოდი, რატომაც ხდებოდა ეს ყველაფერი, ვიცოდი, რამხელა ზეწოლა იყო „ქართულ ოცნებაზე“ დასავლეთის მხრიდან, რომ პრეზიდენტად აუცილებლად სალომე ზურაბიშვილი უნდა გასულიყო. თუ გახსოვთ, მაშინ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი კანდიდატი არ წარადგინა, რათა სალომე ზურაბიშვილისთვის კონკურენცია არ გაეწია. მაგრამ როდესაც ე. წ. თავისუფალი კანდიდატი სალომე ზურაბიშვილი დააყენეს და ნახეს, რომ მას ნულოვანი რეიტინგი ჰქონდა, ამის შემდეგ მოსთხოვა დასავლეთმა „ქართულ ოცნებას“, რომ ამოდგომოდნენ გვერდში ამ ქალს და გაეყვანათ ის, როგორც პრეზიდენტობის კანდიდატი! ასეც მოხდა, მთელმა „ქართულმა ოცნებამ“ დაიკაპიწა ხელები დასავლეთის ზეწოლის გამო, ზურაბიშვილის გასაყვანად. მაშინ არც უკრაინის ომი იყო და არც საქართველოს ჰყავდა სხვა სტრატეგიული პარტნიორი, ამიტომ იძულებული გახდა, დათანხმებულიყო და გაათრიეს პრეზიდენტად სალომე ზურაბიშვილი. ეს იყო მართლა გათრევა, ჩანთა რომ აიღო და გაათრიო მეორე მხარეს - სწორედ ასეთი! ყველამ იცოდა, ეს ქალბატონი ვინც იყო და იცოდა მათ შორის, მმართველმა გუნდმაც. ის არის მოღალატე წინაპრების მოღალატე შვილი, სულ ყოველთვის ვამბობდი ამას! თუმცა, სწორედ მისი გაპრეზიდენტებით მოახერხა დასავლეთმა მართვის შენარჩუნება და ჩვენს კონსტიტუციაში 78-ე მუხლის შეტანა. ესეც სერიოზული ზეწოლა იყო, იმიტომ, რომ, როდესაც ბიძინა ივანიშვილმა გაუშვა „ევროპული პარტიები“ კოალიციიდან, მათ მოითხოვეს ამ მუხლის კონსტიტუციაში ჩაწერა. რადგან მათ სჭირდებოდათ გარანტიები, რომ საქართველო ევროატლანტიკურ კურსს არ შეიცვლის!

ამ ისტორიის შედეგად დაიწყო მუშაობა დასავლეთმა, რომ როგორმე მოეწყოთ ფალსიფიკაციის იმიტირება, რომ თითქოს საქართველოში არჩევნები მასშტაბურად გაყალბდა...

**- ამას ხომ ისედაც ველოდით. ოპოზიცია ამჯერადაც არაერთხელ ნანახ „კინოს“ გვთავაზობს...**

- წინასწარ ამბობდნენ, რომ საქართველოში არჩევნების დიდი გაყალბება მზადდება, რადან ეს ფონი უნდა შექმნილიყო მათი სცენარით. შემდეგი ნაბიჯი იყო, რომ ხმების დათვლამდე უნდა „გაემარჯვებინათ“ „ნაციონალური მოძრაობის“ მომხრე ძალებს და ამის შემდეგ, როდესაც უკვე რეალური ანგარიში გამოცხადდებოდა, „აღმოჩნდებოდა“, რომ ოპოზიცია იგებდა, მაგრამ - „აი, ხალხო, არჩევნები გაყალბდა“! დიახ, სცენარი იგივეა, რაც უკვე არაერთხელ გვაქვს ნანახი. კრეატივიც არ ჰყოფნით, რომ რაღაც ახალი მოიფიქრონ. თუმცა, ფაქტია, რომ თუ წინა არჩევნებზე „ნაციონალურ მოძრაობას“ და მთელ მათ შემადგენლობას, ჯამში ხმათა 45 პროცენტი ჰქონდა, ახლა 35 პროცენტი აიღეს, ანუ 10 პროცენტით უფრო ნაკლები - ამდენი ფულის ჩაყრის, ყველა იმ გადაჯგუფება -გადაჯგუფების თუ ახალი



პარტიების შექმნის მიუხედავად.

ახლა უკვე „შიგ ევროპელებს“ და ცალ ფეხზე მდგომ ევროპელებს ეხამუშებათ „ნაციონალური მოძრაობა“, რადგან ეს პარტია მაინც სისხლთან ასოცირდება და გადავიდნენ მონათესავე პარტიებზე, რომლებმაც ახალი სახელები დაირქვეს. მართალია, ამ პარტიების დამფუძნებლებიც ასევე სისხლთან ასოცირდებიან, მაგრამ ახალი სახელებით ინიღბებიან და მათი მხარდამჭერებისთვის ესეც საკმარისია.

**- სალომე ზურაბიშვილი, დასავლეთის მოწოდების მიუხედავად, პროკურატურაში არ გამოცხადდა, რომ მათთვის არჩევნების ე .წ. გაყალბების მტკიცებულებები წარედგინა. სავარაუდოდ, წარსადგენიც არაფერი ჰქონდა...**

- როგორ უნდა მივიდეს, როგორ უნდა დაუმტკიცოს? საჩივარს ხომ სჭირდება თავისი მტკიცებულებები. აქ, რა თქმა უნდა, ყველა „გაიჭედება“. ისინი ელოდნენ, რომ ხალხი გამოვარდებოდა და დაანგრევდნენ თბილისის ქუჩებს, მაგრამ ეს რომ არ მოხდა და საქმე სამართალს მიადგა, უკვე პასუხი აღარ აქვთ! ეს ქალბატონი რომ გაიძახის, მე ვიცოდი, რომ ფაქტები პროკურატურამ უნდა დაამტკიცოსო, მის სავარძელში მჯდომი პიროვნება ასე როგორ იშტერებს თავს?! - თუ შენ მდებ მე ბრალს, ბრალეულობის მტკიცების ტვირთი შენ გაწვება - ვითომ არ იცის. ამ შემთხვევაში სალომე ზურაბიშვილია ბრალმდებელი და ფაქტებიც მან უნდა წარმოადგინოს. სულ მიკვირდა, ასეთი მენტალიტეტის, ასეთი ცნობიერების, ასეთი ლოგიკის მქონე ადამიანი როგორ იკავებდა დიდ თანამდებობებს დასავლეთში? თუმცა, ახლა, როცა ფონ დერ ლაიენს და მის მსგავსებს ვხედავ, აღარ მიკვირს! იქ, ეტყობა, ჰყავთ ერთი-ორი ჭკვიანი ადამიანი, რომლებიც მართავენ ამ პატარა „ხელის ბიჭებს“ და კონკრეტული დავალებების შესასრულებლად იყენებენ.

თუმცა, მე შიშით ვუყურებ იმ რეალობას, რომ აშშ-ში მოსალოდნელია სამოქალაქო ომი, მიუხედავად იმისა, თუ რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს არჩევნებში. ვხედავთ, როგორი დაძაბული სიტუაციაა ქვეყნის შიგნით, როგორი ფალსიფიცირებაა და რა ხდება მაგათ არჩევნებზე! ეგენი საერთოდ როგორ ბედავენ ჩვენთან ჩატარებული არჩევნების შეფასებას?! ნამუსგარეცხილია მთელი სახელმწიფო და ღმერთი მაგათ თავისას აუცილებლად გადაუხდის, მაგრამ იმ ამერიკასთან, რომელიც შემდეგ დალაგდება, ჩვენ დიდი სიამოვნებით ვითანამშრომლებთ!

**- მაინც, რა შემთხვევაში შეიძლება მოხდეს ქვეყანაში სახელმწიფო გადატრიალება, რისი იმედი აქვთ ჩვენს რადიკალებს და მათ დამკვეთებს?!**

-„ქართული ოცნება“ არ არის მორჩილი ხელისუფლება დასავლეთისთვის და სწორედ ამიტომაც, მათი მიზანია სახელმწიფო გადატრიალება ჩვენს ქვეყანაში. თუმცა, სახელმწიფოში გადატრიალება ხდება ორ შემთხვევაში: პირველი - როდესაც ხელისუფლებაა მოსყიდული და მეორე, როდესაც მოსახლეობის ის რაოდენობაა მოსყიდული, რომელსაც კრიტიკული მასის შექმნა შეუძლია. ამჯერად მათ არც ერთი აქვთ, არც მეორე. ყოველთვის ვამბობდი, რომ დასავლეთი და მისი ლაქიები შეეცდებიან, დაძაბონ სიტუაცია, მაგრამ ვერაფერს იზამენ, რადგან მათი ვექტორების ძალა ვერ გაართმევს თავს იმ კრიტიკული მასის საქმეებს, რაც საჭიროა სახელმწიფო გადატრიალებისთვის. ამიტომ მშვიდად ვარ, რადგან ვიცი, რომ, თუ ადამიანმა უნდა ასწიოს 10 კგ ტვირთი, მაგრამ მას მხოლოდ 6 კგ-ის აწევის ძალა აქვს, - ის ამას ვერ შეძლებს! ეს მომენტია.

მინდა ახალგაზრდებს მოვუწოდო, პატივი სცენ საკუთარ თავს, ნუ გახდებიან სხვისი ხელის ბიჭები და ნუ მისცემენ ქვეყნის მტრებს მათი გულანთებულობით მანიპულირების საშუალებას. სჯობს, თავიანთ საქმეს მიხედონ, იმიტომ, რომ გეოპოლიტიკა არც ბავშვების და არც ახალგაზრდების საქმე არ არის! ახალგაზრდების საქმეა სწავლა. გეოპოლიტიკას კი სჭირდება დიდი ცოდნა, დიდი გამოცდილება - ჯერ სამშობლოსთვის რაღაც-რაღაცების გაკეთება და მერე ნელ-ნელა ქვეყნის მართვაში გადანაცვლება. არ არსებობს ქვეყანა, სადაც ბავშვები მართავენ სახელმწიფოს საგარეო პოლიტიკას ან მის გეოპოლიტიკას. ეს არის სრული სირეგვნე და, ამავე დროს, სიმახინჯე, რომ უსუსური პოლიტიკოსები, რომლებსაც მოსახლეობის მხარდაჭერა არა აქვთ, ბავშვებს იყენებენ პოლიტიკური მიზნების მისაღწევად.

რაც შეეხება ხელისუფლებას, მან უნდა გამოიყენოს ხელთ არსებული ყველა კანონიერი ბერკეტი, რათა ამ ავანტურისტთა მცდელობებით, სახელმწიფოში არ შეიქმნას არეულობის თუ გადატრიალების მცირედი საფრთხეც კი.

შესაბამისად, მიმაჩნია, რომ არჩევნების ე. წ. შესაძლო გაყალბების ყველა ბრალმდებელი, რომლებმაც შეიტანეს საჩივრები, რომლებიც ითხოვენ გამოძიების მიზნით პროკურატურის ჩართულობას, მაგრამ უარს ამბობენ პროკურატურაში გამოცხადებასა და შესაბამისი მტკიცებულებების წარდგენაზე, თითოეული მათგანი, ძალის გამოყენებით უნდა იქნას გადაყვანილი უწყებაში. თუ უარს იტყვიან თანამშრომლობაზე, საჭირო მტკიცებულების წარდგენასა თუ მოკვლევაზე, მათ თვითონ უნდა წაუყენონ ბრალდება - ცილისწამებისა და სახელმწიფოს გადატრიალების მცდელობაში ჯგუფური მონაწილეობის მუხლით!



**ნონა ქარქაშაძე**



# კვლავ გახდება ამერიკა დიადი?!

დღევანდელ მსოფლიოში, როგორც ვხედავთ, პოლიტიკოსების გარკვეული ნაწილი სერიოზულად ცდილობს არჩევნების მნიშვნელობის დაკნინებას, უპირველესად კი, საერთაშორისო ორგანიზაციების წარმომადგენლები. მოკლედ რომ ვთქვათ, თუ მათი სასურველი პარტია, ან კანდიდატი, არ იქნება გამარჯვებული, მოსახლეობის არჩევანი არ აინტერესებთ, არჩევნების შედეგებს არალეგიტიმურად მიიჩნევენ. ამგვარი მიდგომების შესახებ კარგად მოეხსენება საქართველოს, ამჟამადაც ამგვარი მოცემულობა გვაქვს, მაგრამ საარჩევნო „ხელების გადაგრეხვა“ არც სხვა ქვეყნებისთვის არის უცხო.

მე-60 საპრეზიდენტო არჩევნები იმართება აშშ-ში და საბოლოოდ რა შედეგი დაიდება, არნახული ინტერესი აქვს მსოფლიოს. აშშ-ის საპრეზიდენტო არჩევნებში სამი კანდიდატი მონაწილეობს: მოქმედი ვიცე-პრეზიდენტი კამალა ჰარისი, 45-ე პრეზიდენტი დონალდ ტრამპი და სენატორი რობერტ კენედი უმცროსი.

აღსანიშნავია, რომ აშშ-ის ისტორიაში პირველი შემთხვევაა, როდესაც ყოფილი პრეზიდენტი, რომელმაც 4 წლის წინ დატოვა თანამდებობა, რომ ხელახლა იყრის კენჭს. საინტერესოა ის გარემოებაც, რომ კენედი დემოკრატიული პარტიის წევრია, მაგრამ რესპუბლიკური პარტიის წევრ ტრამპს უჭერს მხარს. კენედის მაგალითზე ჩანს, რომ ტრამპმა შესძლო დემოკრატების ამომრჩევლების მიმხრობა, მათ შორის, ფერადკანიანებისაც.

ისტორიულად, კენედების ოჯახი დემოკრატების აქტიური მხარდამჭერი იყო და არის, ახლა კი, უმცროსმა კენედიმ რესპუბლიკელის სასარგებლოდ მოხსნა თავისი კანდიდატურა. აღსანიშნია ის გასაოცარი გარემოება, რომ საპრეზიდენტო ბიულეტენებიდან ყველა შტატში „ვერ მოასწრეს“ შეწორების შეტანა, რის გამოც, კენედიმ არაერთხელ მოუწოდა საკუთარ ამომრჩევლებს, რომ მისთვის განკუთვნილი ხმები დონალდ ტრამპისთვის მიეცათ.

პოლიტოლოგებმა არაერთხელ აღნიშნეს, რომ მსგავსი ბინძური საარჩევნო კამპანია არც არასდროს ყოფილა.

დემოკრატებმა კამალა ჰარისი მას შემდეგ დაასახელეს პრეზიდენტობის კანდიდატად, როდესაც ზაფხულში, ტრამპმა ტელედებატებში პირწმინდად დაამარცხა მოქმედი პრეზიდენტი ჯო ბაიდენი. მოგვიანებით, დემოკრატების ნაწილი თავადვე შეაშფოთა თავიანთივე არჩევანმა. კამალა ჰარისს, უპირველესად, პრობლემა აქვს საჯარო გამოსვლებისას და ერთხანს თავსაც არიდებდა პარტიასა და დემოკრატების მხარდამჭერ მედიასთან ურთიერთობას, თუმცა მივიდა ტელეკომპანია „ფოქს-ნიუსში“, რომელიც რესპუბლიკელების მხარდამჭერია და დამარცხდა ჟურნალისტთან, რადგან მომავალ სამოქმედო გეგმაზე ვერაფერი თქვა — მეტიც, ზოგჯერ არაფრისმთქმელი ფრაზებით საუბრობდა.

აშშ-ის პრესაში არაერთხელ გავრცელდა ინფორმაცია კამალა ჰარისის სუსტ მხარეებზე. იმის გარდა, რომ საჯარო გამოსვლების მცირე გამოცდილება აქვს, სუფლიორის გარეშე საუბარი უჭირს. აღნიშნავენ მის უადგილო სიცილსაც, რამაც არაერთხელ ჩააყენა დემოკრატები უხერხულ მდგომარეობაში. ასევე, აღსანიშნია, რომ ამომრჩევლებთან შეხვედრისას ორმაგ თამაშს თამაშობდა, ვთქვათ, თუ ერთ შემთხვევაში ისრაელს აკრიტრიკებდა არაბული წარმომავლების ამომრჩევლებთან შეხვედრისას, სხვებთან შეხვედრაზე პირიქით იქცეოდა.

წინასაარჩევნო კამპანიაში კამალა ჰარისის მხარდასაჭერად ყოფილი პრეზიდენტი ბარაკ ობამა და სხვა ცნობილი დემოკრატი პოლიტიკოსებიც იყვნენ ჩართული. ამასთან, ცდილობდნენ, რომ ჯო ბაიდენს ნაკლებად, ან საერთოდ არ გაეკეთებინა განცხადებები, თუმცა, გასულ კვირას, ბაიდენმა „ნაბიჭვრებად“ მოიხსენია ტრამპის მხადამჭერები — ჰარისის დახმარებას შეეცადა, მაგრამ პირიქით გამოუვიდა. ბაიდენის სიტყვებმა აღაშფოთა პოტენციური ამომრჩევლები, მათ შორის დემოკრატების მხარდამჭერები. ბევრმა მათგანმა უარი თქვა ჰარისისთვის ხმის მეცემაზე.

თავად კამალა ჰარისი არჩევნებამდე ორი კვირით ადრე გააქტიურდა და სხვადასხვა შტატებში მართავდა ამომრჩევლებთან შეხვედრებს, სადაც, ფაქტობრივად, ერთსა და იმავეს ამბობდა, იძლეოდა დაპირებებს, მაგრამ რას მოიმოქმედებს ეკონომიკს გასაუმჯობესებლად, არაფერი უთქვამს.

რაც შეეხება ტრამპს, — მისადმი მხარდაჭერა განსაკუთრების მას შემდეგ გაიზარდა, რაც მასზე როგორც პოლიტიკური, ისე ფიზიკური თავდასხმები მოხდა — ორჯერ იყო ტრამპის ფიზიკური განადგურების მცდელობა. დემოკრატების სამწუხაროდ, უშედეგო აღმოჩნდა მავანთა მცდელობა, რომ როგორმე ჩამოეცილებინათ ტრამპი საპრეზიდენტო არჩევნებისგან, შესაბამისად, ერთადერთი გზა ტრამპის პოლიტიკიდან ჩამოსაცილებლად, დემოკრატებს ერთადერთი გზა დარჩათ მისი არჩევნებში დამარცხება. აღსანიშნავია, რომ გამარჯვების შემთხვევაში, ტრამპი სენატში რესპუბლიკელების უმრავლესობის შემოკრებასაც გეგმავს..

ამომრჩეველს მოსწონს მის მიერ ჯერ კიდევ 2016 წელს ნათქვამი: „კვლავ გავხადოთ ამერიკა დიადი!“

მსოფლიოს საზოგადოება ყურადღებით ადევნებს თვალს როგორ დასრულდება საპრეზიდენტო არჩევნები აშშ-ში — განსაკუთრებით აინტერესებთ რა მოხდება პირველადი შედეგების გამოცხადების შემდეგ.

„მე დავეხმარები ჩვენს პარტიას დემოკრატების დამარცხებაში. უპრობლემოდ ავიღებთ სენატს. მე და მაიკს (ჯონსონი, კონგრესის სპიკერი) გვაქვს საიდუმლო გეგმა, რომელსაც არჩევნების შემდეგ გაგიმხელთ, — განუცხადა მომხრეებს დონალდ ტრამპმა.



ექსპერტების შეფასებით, კამალა ჰარისის გამარჯვების შემთხვევაში, კონგრესის სპიკერს შეუძლია არ სცნოს არჩევნების შედეგები, რისი უფლება იურიდიულად აქვს. რა მოხდება მსგავს შემთხვევაში, ძნელი სათქმელია — შეგახსენებთ, კონგრესში უმრავლესობაში რესპუბლიკელები არიან.

ამასობაში, აშშ-ის სხვადასხვა შტატსა და ქალაქში, მათ შორის დედაქალაქში, რეალურად ემზადებიან მოსალოდნელი არეულობისთვის. ბეტონის ბლოკებითა და რკინის ბადეებით ორმაგად შემოღობეს თეთრი სახლი და კაპიტოლიუმის შენობა. არეულობის აღსაკვეთად მზადყოფნაშია აშშ გვარდიის ქვედანაყოფები.

გავრცელებული ინფორმაციით, არეულობის შიშით, ბევრმა მდიდარმა ადამიანმა გადაწყვიტა ქვეყნის დატოვება, ზოგი მათგანი, ცდილობს სხვა ქვეყნის პასპორტის აღებასაც. მოკლედ რომ ვტქვათ, „სპილო“ და „ვირი“ (რესპუბლიკელებისა და დემოკრატების სიმბოლოები) შეევნენ ერთმანეთს და რით დასრულდება მათი შერკინება, უახლოეს დღეებში გამოჩნდება.

არჩევნების მე-2 ტური დასრულდა მოლდოვაში, სადაც მოქმედმა პრეზიდენტმა მაია სანდუმ 54% მიიღო და გაიმარჯვა.

ევროკავშირის ხელმძღვანელმა ურსულა ფონ დერ ლაიენმა ხმების დათვლის პროცესში მიულოცა გამარჯვება მაია სანდუს. ადგილობრივი დამკვირვებლებისა და და მოსახლეობის განცხადებით, არჩევნები ტოტალურად გაყალბდა, რისი დამამტკიცებელი ფაქტებიც აქვთ, მაგრამ რას იზამენ როდესაც ევროკავშირისთვის სასურველ კანდიდატს მიანიჭეს გამარჯვება?

კლიმატისგან გამოწვეული ტრაგედია დატრიალდა ესპანეთში — წყალდიდობის შედეგად დაიტბორა ვალენსია და მიმდებარე ტერიტორიები. შედეგად, დაღუპული 270 ადამიანი, რომელთა ცხედრებიც იპოვეს, ხოლო დაკარგულია ორ ათასამდე ადამიანი.

დასავლურ პრესაში ვრცელდება ინფორმაცია, რომ რუსეთში უკრაინელებთან საბრძოლველად ჩრდილოეთ კორეელი 11 000 ჯარისკაცი ჩაიყვანეს. გასულ კვირას მოსკოვში ვიზიტით იმყოფებოდა ჩრდილოეთ კორეის საგარეო საქმეთა სამინისტროს დელეგაცია. ერთობლივ ბრიფინგზე ჟურნალისტების კითხვას, მართალია თუ არა გავრცელებული ინფორმაცია სტუმარ-მასპინძლებმა არ უპასუხეს...



რთული ვითარება რჩება ახლო აღმოსავლეთში. აშშ-მა დამატებით გადაისროლა სამხედრო ავიაცია, მათ შორის მძიმე ბომბდამშენი ბ-52 ტიპის თვითმფრინავები, რომლებსაც შეუძლიათ ბირთვული იარაღის გამოყენება. აშშ-ის თავდაცვის მინისტრმა ლოიდ ოსტინმა გააფრთხილა ირანელები, რომ ისრაელზე განმეორებით შეტევის შემთხვევაში, ისრაელის შეკავებას ველარ შეძლებენ.

დაველოდოთ მოვლენების განვითარებას აშშ-ში. ახლა მთავარია რა მოხდება უახლოეს დღეებში.

**გია ბურდული**

# „წინ სამეცნიერო დიდგორია!“

## მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის ყოფილი მკვლევარ-მეცნიერის დენიზა სუმბაძის ღია წერილი

**„საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პრეზიდენტს, აკადემიკოს როინ მეტრეველს და ამავე აკადემიის „ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის“ თავმჯდომარეს, აკადემიკოს ელიზბარ ჯაველიძეს.**

**პატივცემულო და ძვირფასო ბატონო როინ!**

**პატივცემულო და ძვირფასო ბატონო ელიზბარ!**

პოლიტიკური გაერთიანება „ქართული ოცნების“ დამფუძნებლისა და დღემდე მისი მთავარი სულისჩამდგმელის, ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიმართვა ქართველი ხალხისადმი, რომელსაც ჩემი მხრიდან ვუწოდე „ბატონი ბიძინა ივანიშვილის ისტორიული შეკითხვა ქართველი ხალხისადმი, რომელიც ჩემს ცნობიერებაში თავისი მნიშვნელობით აღემატება ყველა მის ქველმოქმედებას, ყველა განკურნებას ყოველი ცალკეული ადამიანისას, გაწეულს მთელი ქართველი ხალხის ცნობიერების სამკურნალოდ და სასიკეთოდ, რადგან ეს შეკითხვა და მიმართვა ქართველი ხალხის მიმართ გულისხმობდა ქართველი ერის ცნობიერებასა და მისეული ზნეობრიობის შეგნებაში, ერის მორალურ სმენაში, ეროვნული თავმოყვარეობის დაბრუნებას... უფრო მეტიც: **ამ მიმართვით ქართველი ხალხისადმი, ბატონმა ბიძინამ ქართველი ერი მიაყენა არა მხოლოდ მონანიების, არამედ ზნეობრივი გოდების კედელთან...**

**ბატონმა ბიძინა ივანიშვილმა** ეს განცხადება-მიმართვა წარუდგინა ქართველ ხალხს მეოცე საუკუნის მეორე ნახევრის ქართული ეროვნული მოძრაობის ლიდერთა: **ზვიად გამსახურდიას და მერაბ კოსტავას** დაბადებიდან, მისივე ინიციატივით დანიშნული საიუბილეო ღონისძიებების პროცესში:

ბატონმა ბიძინამ წლების წინ (2019 წ.) პრესაში განაცხადა: „ეს დღე (31 მარტი) ბევრ ტკივილს გაგვიღვიძებს, ბევრ რამეს გაგვახსენებს და ჩვენ მართ ლაც გვჭირდება სერიოზული დაფიქრება და უახლოესი წარსულის **სწორი ანალიზი! იმ უახლოესი წარსულის, რომელიც სწორ ედ საქართველოს პირველი პრეზიდენტის ტრაგიკული ისტორიით იწყება. როგორ მოხდა, რომ ადამიანი, რომელიც მთელი თავისი ცხოვრება სამშობლოს თავისუფლებისათვის იბრძოდა, რომელმაც რეალობად აქცია მრავალი თაობის ოცნება და გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა, ცოტა ხანში, სწორედ ამ დამოუკიდებელ საქართველოში, ტრაგიკულად დაიღუპა,** ისევ საკუთარი თანამემამულეებისაგან დაუნდობლად დევნილი?!“

ეს გახლავთ ჩემს მიერ განცდილი და ვერდავიწყებული ბატონი ბიძინა ივანიშვილის მიერ დასმული ისტორიული შეკითხვა ქართველი ხალხისადმი, რომელზე ყურის წაყრუებაც, ან მიტოვება მისი, ჩვენი ქვეყნის ძნელბედობის ესოდენ საბედისწერო ჟამს, ეროვნული სინდისისა და გონის წაყრუებასაც ნიშნავს... ამიტომ, ვფიქრობ, ქართველი საზოგადოებრიობისა და ქართველი ერის მხარემ ეს წერილი უნდა განიხილოს საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის დონეზე და ერთობლივი თხოვნით დაიცვას უფლებამოსილება ქართველი ერისა და მისი გულშემატკივრებისა. ზვიად გამსახურდია არ გაუძევებია მის თანამემამულეთ, ზვიად გამსახურდია მსოფლიოს ე. წ. ახალი, ანუ სიონისტური წესრიგის წარმმართველმა ძალებმა გააძევეს, გამოხატულით ჯორჯ ბუშისა, უფროსის და ჯორჯ სოროსის ალიანსებით ედუარდ შევარდნაძესთან. ქართველმა ხალხმა უნდა მოინანიოს, რომ ვერ შესძლო თავისი პრეზიდენტის დაცვა, ბუშისა და სოროსისმიერი ალიანსის აღკვეთა ედუარდ შევარდნაძესთან. ქართველი საზოგადოების და მეცნიერების ჩართვით საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქართული ეროვნული პრობლემების კომისიამ ჩვენი, ანუ საზოგადოების თხოვნით, ვფიქრობ, საჭირო იქნება შექმნას ამ საკითხის შემსწავლელი საგანგებო კომისია, რომელიც მოამზადებს აკადემიურ სარჩელებს საქართველოს კონსტიტუციურ და უზენაეს სასამართლოებში წარსადგენად. ედუარდ შევარდნაძის პოლიტიკის შესაფასებლად და იმ იდეოლოგიის შესაფასებლად, რომელიც ქართველი ხალხის ნებისა და სურვილის გვერდის ავლით, ავანტიურისტული მეთოდებით, ხალხის მოტყუების მეთოდებით დანერგა შევარდნაძემ.. საგანგებო ყურადღების საგნად მოითხოვს ქცევას შევარდნაძის პრეზიდენტობაში ქართველი ხალხისაგან ფარულად მხარდაჭერა საქართველოს სახელით გაეროს 1994 წლის საერთაშორისო კონფერენციის რეზოლუციებისა კაიროში, რომლებიც გათვლილია კაცობრიობის რიცხობრივი შემცირებისათვის. ედუარდ შევარდნაძე მთელი თავისი პოლიტიკით უნდა იქნას მხილებული, როგორც ამერიკის პრეზიდენტის, ჯორჯ ბუშის (უფროსის) აგენტი და



მსოფლიოს სიონისტური შეთქმულების მონაწილე საქართველოს დამოუკიდებელი სახელმწიფოებრიობის აღსაკვეთად და სიონისტური ძალების ჩასანაცვლებლად. ერთი სიტყვით, ქართველი ხალხის სახელით ბატონი ბიძინა ივანიშვილის უმნიშვნელოვანეს მიმართვაზე ქართველი ხალხის მიმართ და ბიძინა ივანიშვილის მოწოდებაზე, რომ ჩვენ, ქართველ ხალხს გვმართებს სერიოზული დაფიქრება და ანალიზი იმ უახლოესი წარსულისა, რომელიც საქართველოს პირველი პრეზიდენტის გაძევებითა და ტრაგიკული შედეგით სრულდება, პასუხი უნდა გაეცეს საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ეროვნული პრობლემების შემსწავლელი კომისიის აკადემიურ დონეზე.

ჩვენი დიდი კათალიკოსი და მეცნიერი **კირიონ მეორე** ქართველ მეცნიერებს იხმობს ჩვენი ერის იმ დამარხული ისტორიის შემეცნებისაკენ, რომლითაც არა მხოლოდ ქართველმა ერმა, არამედ თანამედროვე კაცობრიობამაც უნდა შეძლოს საკუთარი ვინაობისა და თვითშემეცნებითი ისტორიის სიღრმისეული გაცნობიერება, რამეთუ „ყოველი საიდუმლოი ამას ენასა შინა დაფარულ არს“....

**- Не в кратком нашем конечно эскизе распространяться подробно о такой трудно даже вообразимой стариною Мы желаем обратить внимание специалистов на некоторые проблемы изначальной нашей истории которые благодаря последным откритиям землекопов получают новое освещение**... აქ ლაპარაკია კირიონ კათალიკოსის სტატიაზე: **Значение раскопок в Халдее для начальной истории Картвел (Грузин)** რომელიც მის წიგნში: **Культурная роль Иверии в истории Руси (Тифлис, 1910, ст. 48)** მოხსენიებულია, როგორც გამოსაქვეყნებლად მომზადებული წერილი (ეს წერილი ჩვენ აღმოვაჩინეთ სრულიად მოულოდნელად კათალიკოსის პირად არქივში, რომელიც დაცულია საქართველოს სახელმწიფო არქივში და გამოვაქვეყნეთ ჩვენს მიერ დაფუძნებულ სრულიად საკაცობრიო თეოლოგიურ-პოლიტიკური მოძრაობის „ერის უფლება და ღირსების“ გაზეთ-ალმანახში: „ერის ღირსებაში“ 2006 წლის აპრილის ნომერში).

საქართველოს დღევანდელი სახელმწიფო ხელისუფლების მიერი ესოდენ მნიშვნელოვანი აქცენტი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის აღიარებაზე დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის ფილოსოფიური აკადემიის კანონიერ მემკვიდრედ, აკადემიისა, რომლის მიზანდასახულებად დავით აღმაშენებლისეულ ხედვაში, როგორც მემატიანემ გადმოგვცა, შექმნა მისი, ამ აკადემიისა, როგორც მოვლინება მისი **„სხუად ათინად და მეორედ იერუსალიმად“**, რაც აშკარად ქართველი ერის ეპოქალურ მისიაზე იყო გათვლილი: ახალი ბიზანტიის შექმნაზე, თავისი ახალი აზროვნებითა, „სხუად ათინად“ და მსოფლიო საქრისტიანოს მეორე „მეფე-ქალაქის“ („ცარ-გრადის“), ანუ, „მეორე იერუსალიმის“, იგივ მეორე კონსტანტინოპოლის მმართველობითი მისიის მფლობელად, რომელსაც თავისი ოფიციალური დანიშნულების სტატუსად, დანიშნულებისა ქრისტიანობის დამცველი იმპერიის დედაქალაქსა და მეფექალაქს, მინიჭებული ჰქონდა „მეორე იერუსალიმის“ წოდება.

და მიჩნდება სურვილი, როგორც წინამძღოლებს გელათის ფილოსოფიური აკადემიის კანონიერ მემკვიდრედ აღიარებული დღევანდელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისას, შემოგთავაზოთ საპატივცემულოდ და შესამეცნებლად საქართველოს დიდი მეფის, თამარის ქვეყნისა და ქართველი ერის ეროვნული ისტორიული ვინაობისა და თვითშემეცნების სრულყოფისათვის, ასევე საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის, როგორც დღევანდელი საქართველოს სახელმწიფოებრივ კონსტიტუციური მრჩევლის აკადემიურად სრულყოფილი ისტორიულ- ინფორმაციული აღჭურვისათვის, თქვენი ეროვნული მოღვაწეობის სასიქადულოდ, გელათის ფილოსოფიური აკადემიის სულიერი გუმბათის ქვეშ დაფუძნებულ იქნას **ქალდეოლოგიური პრობლემების** ქართული **კვლევით-მეცნიერული ცენტრი** და მიმსახუროთ, როგორც თქვენი მონა-მორჩილი, მთელი ჩემი შესაძლებლობებით....

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის ქალდეოლოგიური პრობლემების ქართული კვლევის ცენტრი თავისთავად მოიცავს არა მხოლოდ პროკლე დიადოხოსის „თეოლოგიის მთავარსაფუძვლების“ ახალქართული, ანუ დღევანდელი მკითხველისათვის გასაგები ქართულით თარგმნილის გამოცემის საჭიროებას, არამედ, როგორც 21-ე საუკუნის განგრძობას დავით აღმაშენებლის ჩაფიქრებული გელათის ფილოსოფიური აკადემიისას, რომელიც მსოფლიოს ნეოპლატონური აზროვნების შემაჯამებელი და შემფასებელიც უნდა ყოფილიყო და იმასაც ნიშნავდა, რომ შემფასებელიც უნდა ყოფილიყო ბიბლიისადმი ნეოპლატონური დამოკიდებულებისა, მსოფლიოს იმ სადღეისო საკაცობრიო მიზანდასახულების განხორციელებადაც ისახება, რომელიც ევროპულმა ცნობიერებამ მეოცე საუკუნის რელიგიური ეგზისტენციალიზმის დასკვნად ჩამოაყალიბა და დაგვიტოვა როგორც გარდაუვალი საჭიროება კაცობრიობის მომავლის სწორი წარმართვისა.

ეს ვრცელი შესავალი კი იმის სათქმელად აღმომეთქვა, რომ შემძლებოდა გამეხილა ჩემი გულისტკივილიც და დამერთო: რაოდენ ძნელია, იყო კანონიერი მემკვიდრე ისეთი დიდი წინაპრისა, რომელიც სათანადოდ შეუსწავლელია... ეს დიდი წინაპარია დღეს დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის ფილოსოფიური აკადემია... არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიისათვის ეს ჯილდო არის ერთდროულად ჯილდოც და მძიმე ჯვარიც. უმნიშვნელო არ არის ჩვენთვის პროფესორ **მესჩანინოვის** განცხადება, რომლითაც სრულდება პეტერბურგში დაცული მისი სადისერტაციო ნაშრომი და 1924 წელს წიგნად გამოცემული, სათაურით: „ქალდეოლოგია“, რომლის დასკვნითი ნაწილითაც ავტორი აცხადებს: „საბოლოო სიტყვა ქალდეოლოგიაში ეკუთვნისო ქართველ მეცნიერებს“. შემთხვევითი არ არის ფორმულა, რომლითაც დღევანდელი საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის პერსპექტივას, მის გამოცხადებას დავით აღმაშენებლის მიერ დაფუძნებული გელათის ფილოსოფიური აკადემიის კანონიერ მემკვიდრედ და კონსტიტუციურად საქართველოს სახელმწიფოებრივ მრჩევლად, გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ რედაქტორმა, ბატონმა **სპარტაკ ქობულიამ** უწოდა **„წინ სამეცნიერო დიდგორია !“**

გამარჯვებისათვის დაგლოცოთ უფალმა!

**მუდამ თქვენთვის**
**მლოცველი**
**დენიზა სუმბაძე**

ძალიან ვცდილობ, სერიოზულად მივუდგე ქვეყნისთვის სერიოზულ საკითხს, მაგრამ ვერაფრით ვერ ვახერხებ. სერიოზულად როგორ მიმოვიხილო ის ამბავი, რომ „თავისუფლების მოედანმა“ თურმე წინააღმდეგობის მოძრაობა დაიწყო, რითიც გაყალბებული არჩევნების შედეგების გამოძიებას შეეცდებიან. მათ აქციებს ახალი სახე ექნება. „დედა ენის ბაღსა“ და „მზიურში“ ნამოძრავებები გაყალბებული არჩევნების კვალს კი არა, თავმომწონე ლურჯთვალა იასაც რომ ვერ იპოვნიან ბუჩქის ძირას, შემდეგ, ალბათ, „უნივერსიტეტის ბაღში“ გადაინაცვლებენ. თბილისი არ იციან, სად არის, ვერ მიაგნებენ, თორემ მივასწავლიდი „არტოს ბაღს“, „გეგეშიძის ბაღსაც“, „ლონდონის ბაღსაც“ და თბილისის სხვა ბაღებსაც. ეს ამოძრავებული შემადგენლობა შესაკეთებელი რომ გახდება, აგერ, სტალინის სახელობის ვაგონშემკეთებელ ქარხანასაც მივასწავლი და ბოლო გაჩერებად თემქაზე არახრახდება „თავისუფლების მოედანი“. ადრე იქ კარგი სასადილო იყო, სტალინის პატარა ბიუსტიც იდგა ეზოში და, მათი ამ-

ტელეეკრანს გავხედე, ეს ვინღაა-მეთქი, მაგრამ ვერ გავიგე, ვინ იყო ის საბრალო გოგონა, რომელიც წამების შოკიდან ჯერ კიდევ არ იყო გამოსული — სადღაც, რომელიღაც უბანზე, რეგისტრატორად ბეჭდებასხმული მოღიმარი მილიონერი ქალი მჯდარა და დაჟინებული სათნო ღიმილით მაცდურობდა, საშინელ ზეწოლას ახდენდა ხმის მისაცემად მისულ ამომრჩეველზე;

ეს გოგო, ალბათ, თსუ-ის ბიზნესისა და ეკონომიკის პროფესორის, ბადრი რამიშვილის ნასტუდენტარია და, ამავდროულად, ფსიქოლოგიის მაგისტრია, მაგრამ ამ კაცის სტუდენტებს რა ეშველებათ? ტიპი მთელი სერიოზულობით ამბობს, რომ დადასტურებულად მართალია საკუთარ მიგნებაში, რადგან ერთ-ერთ ძველ აგენტს აკვირდებოდა სოცქსელში და მისი პოსტი 5 საათის განმავლობაში ჰქონია დაკოპირებული, მაგრამ არ აზიარებდა, სუს-სა და ფბს-ში გადიოდა კონსულტაციებს, გაესაჯაროებინა თუ არაო.

უკვე სერიოზულად დავინტერესდი: ლექტორებს „ფსიქოს“ არ სთხოვენ?

ცოლი ხომ არ იგულისხმა? — რას გაიგებ ამათსას...

„გირჩი-ჯაფარას“ მოვკარი თვალი, ორშაბათს გამოცხადდება რაღაც, მაგრამ მე ვერ ვხედავ გეგმის ბევრ ვერსიასო. ჩაიარა ორშაბათმა და ჰა, რა ქნა, დეინახა სატანაა? სადანა და, აქანა!..

ნანუკა ჟორჟოლიანი დავინახე, ამრეზით მანჭავდა ტუჩებს: ორშაბათს რატომ გვეტყვით? და შაბათს ან კვირას არა, როცა უფრო მეტ ადამიანს შეეძლება მოსვლა. თქვენ მართლა რძეს ხომ არ იწველებით, ხალხნოო. ნეტავ, ამან რა დაადგინა ორშაბათს, რას იწველებიან და საიდან...

გადავიხედე და თვალ-ყურს არ დავუჯერე, — დამდგარა ბრძენი კინალოკო ვახუშტი მენაბდე და უკვე მოუთავებია ყველაფერი, ახალი მოწვევის პარლამენტის გახსნამდე იყო მისული — პრეზიდენტის ფუნქცია, სამართლებრივი თვალსაზრისით, არ არის არჩევნების შედეგების აღიარება ან არაღიარება. ის ვალდებულია, მოიწვიოს პარლამენტის სხდომა და, თუ არ მოიწვევს, ამით კონსტიტუციას დაარღვევსო.

# კარებს გაგვიღებენ კი არა, გულშიც ჩაგვიკრავენ...

ბავი რომ ვიცი, ფრიად გაიხარებდენ წინაპართა ნაკვალევზე სიარულით.

უპირველესად, „სალოს არმია“ უნდა ვახსენო — არჩევნებამდე დავწერე, ბატიბუტს მოვიმარაგებ და ისე ვუყურებ სეირს-მეთქი, მაგრამ მთლად ასეთი სასეირო თუ იქნებოდა, რომ ბატიბუტი სახიფათო იქნებოდა, არ მეგონა — ისე მაცინებენ, ლამის სასულეში გადამცდა.

ოპოზიციონერმა ჟურნალისტმა ლაშა ბერულავამ დაწერა: რატი ამაღლობელს გადაეცით, დღეს მიკროფონი არ მიიტაცოს და რვასტროფიანი ახალი ლექსი არ გაგვამეორებინოს ნაწყვეტებად, ჩვენი გაგვჭირვებიაო;

ამაღლობელის ლექსზე როგორ მორიგდნენ, არ ვიცი, მაგრამ ვიღაც ყმაწვილმა აკაცუკი, გონდორი, როჰანი, ბეგუნსი, ჰარი პოტერი და რა ვიცი, კიდევ სხვანი რომ ჩამოთვალა თანამოაზრეებად, კარგახანს ვაფახულებდი ყურებს, ხოლო თვალები დაცქვეტილი მქონდა — თუ იცით, ისინი ჩამოვიდნენ თუ გზაში კომბლეს გადაეყარნენ?

გავიხედე და, გაგანია აქციაზე ვიღაც ტიპს ხელში დაკავებულ „კარდონზე“ დაუწერია: იუბილეინოე აჭამე ცოტნეს და ბერასო. ბანჯგვლიან ხელსა და წვერზე შევხედე, — არ არის იმ ასაკის, რომ თვითონ არ ჰქონდეს ნაჭამი, ან ახლა თქვას უარი მისთვის სასურველ რაიმე რუსულ პროდუქტზე და მისთვის აუცილებელ რუსულ ენერგომატარებლებზე, მაგრამ ესეც იქით იყოს, რადგან „იუბილეინოემდეა“ დასული, მაინც ვერ გაიგებს, რას ვიტყვი. ახლა მხოლოდ ის არის განსამარტი, რომ „ მარს”-ის შემდეგ, მსოფლიოში №2 ამერიკული კომპანიის ტრანსნაციონალურ მეგაგიგანტ **ondelēz International**-ის წარმოების ორცხობილაა „იუბილეინოე“, ეს ამერიკული ბრენდი აწარმოებს და ამ „პეჩენიის“ საქართველოში შემომტანია შურვაც ჰაი მევახშე ხაზარაძე! ვინ იცის, სულაც „ლელოელია“ ის მასტი — რა ვიცი, ოქროს პერსტენი კი ეკეთა და... უყვართ „მაგნებს“ ოქრო;

გამოვიხედე და „თრიალეთის კოდალა“ გახარია-თვალთხარიას დაეძებდა, მეც მაქვს კითხვა, სად არის გახარიაო? შე დალოცვილო, მოდი და გვითხარი, რასაც ფიქრობ, ეს რა პრანჭვააო? — დალოცვილი გახარია გამოჩნდა ალბათ, თორემ გაბრაზდებოდა ალეკო და ნესტოებიდან ალს გამოუშვებდა.

ეს კაცი ლექციებს უტარებს სტუდენტებს: „გაყალბების ერთ-ერთი გზა იყო ბიულეტენების ქიმიური დამუშავება! შესაძლოა, ბიულეტენზე ოპოზიციის ნომრები დამუშავებული იყო ნივთიერებით, რომელიც გაანეიტრალებდა მარკერით გაკეთებულ მინიშნებას, ხოლო „ოცნების“ ნომერზე კი გამოყენებული იყო მელანი ან საღებავი, რომელიც დროთა განმავლობაში მჟღავნდება! მხოლოდ ასე აიხსნება ის მასობრივი გაყალბებები, რასაც ადგილი ჰქონდა.“

ეს ვინ ყოფილა! ამდენი ფანტაზიორობის ნაცვლად მარტივი ვარიანტი მოეძებნა — ტყუილად აფერადებინეს ხალხს, უკვე გაფერადებული ბიულეტენები ცესკო-ში იდო და ის დაითვალეს, რადგან იქ ყველა მოსყიდული იყოო. ყველა მთვლელ მანქანაში ქონდრისკაცის ჩასმის ვარიანტი არადამაჯერებლად ჩანს, თორემ სახალისოდ, ეს ვერსიაც მომეწონა...

სოციალურ ქსელს ჩავხედე და, ვიღაც ტოპტვინიანი გრიგოლი, ვიღაც ტოპაიტი სპეციალისტებთან ერთად გაყალბების სქემის მალე დადგენის შესახებ გვამცნობდა.

ვაჰმეე, მე მხოლოდ ლამარას უხილავი როლანდი ვიცოდი, რომელმაც პუტინის ყველა საიდუმლო იცოდა, რაც სააკაშვილს უკავშირდებოდა; შემდეგ უხილავი თენგო გავიცანი, რომელსაც, ჰკითხავ რამეს და ყველაფერი იცის, მაგრამ აი, ხილული „ტოპტვინების“ შესახებ არ ვიცოდი...

არჩევნებამდე ანა წითლიძე რომ წუხდა, 2024 წლის არჩევნებში თუ „ქართულმა ოცნებამ“ ძალაუფლების შენარჩუნება მოახერხა, მე, მელიას და ხაბეიშვილს ამ ქვეყანაში დარჩენის საშუალება არ გვექნებაო, — ამათი დანახვა მინდოდა, მაგრამ გადავიფიქრე. ამათი დანახვა მერეც მეყოფა, ეს ხომ ის ერთი წყება სამეულია, არც აქ რომ არ სჭირდება ვინმეს და არც არსად, ასეთები, თავიანთი „მაიმუნები“, „პუფები“ და „მსხლები“ ყველგან თავისი საკუთარი ჰყავთ..

გამოვიხედე და, ანა დოლიძე მჭევრმეტყველობდა, არ დავუშვებთ, რომ „ჩანჩურამ, კუდრაჭამ და ჭინკამ“ მიიტაცონ არჩევნებიო. საგონებელში ვარ ჩავარდნილი, ვერაფრით ვხვდები, ვინ არიან ჩანჩურა, კუდრაჭა და ჭინკა — ჩანჩურას და ჭინკას კიდევ რამეს მოვუხერხებდი, ლიტერატურულ პერსონაჟებად ჩავთვლიდი, მაგრამ კუდრაჭა ვინ უნდა იყოს, ნეტავ, საკუთარი დის

„კოჭლი იხვი“ ისედაც ძლივს დაფორხიალობს სწორედ იმიტომ, რომ საქართველოს კონსტიტუციის დარღვევა ჰობად აქვს და კიდევ ერთი წიხლი უნდოდა? — ეტყობა, აღარ ჩაესმა ვახუშტის სალომე ბებიას ხმა, „თქვენიანი ვარ, ბიჩო, მე, თქვენიანიო“...

ვეჭვობ, იაგო ხვიჩიასაც, ჩემი არ იყოს, მოსწყინდა ამათი ჭაჭყანის ყურება და დასკვნა დადო: „არჩევნები არ გაყალბებულა. თქვენს გონებას შეუქმნეს მატრიცა, რითიც თქვენი არჩევანი გააყალბეს. ახლა რამდენიმე მიტინგზე გამოგიყვანენ, წინ და უკან გატარებენ და დაგშლიან.“

გავიხედე და, რესტორანში, „ქართული ოცნების“ ჰიმნზე „ჩემი საქართველო აქ არის“, „ჭიჭე“ ბუქნავდა — იმ ექთნისა არ იყოს, ესენი მართლა ვერ არიან...

ხან სად გადავრთე, ხან სად გადმოვრთე და გასაოცარი რამ აღმოვაჩინე, რამაც დამაფიქრა — უფულო ოპოზიცია რომ გვყავს, ისინი არ არიან ტვინარეულები, ლოგიკურადაც აზროვნებენ, მეტწილად სახელმწიფოებრივად და დასკვნებიც ადეკვატური დადეს, ნეტავ, რატომ ვერ გადალახეს საარჩევნო ბარიერი-მეთქი? დარწმუნებული ვარ, თავადვე იციან პასუხი — ცუდი თვისებაა ნარცისიზმი...

ჰე, ჩაიარა ორშაბათმა და ახალი რა გავიგეთ?

ისე, რაღა ორშაბათი აირჩიეს ამ ჩემის კიკოლიკოებმა, ის სიმღერა მაინც არ გაუგიათ „ორშაბათ დილა გათენდა, ჩემთვის უიღბლოო“? ან „ორშაბათ დილა გათენდა, ტვინში სისხლი ჩამექცა“? ორივე ვარიანტში ომარა გულს უპობს ჯორბენას, აგეტირებაღა... ვაი, ამათ პატრონს უბედურს! „არასამთავრობო სასტავი“ ისეთი დაღვრემილები იდგნენ, მგონი, წინ მართლა გულგაპობილი „ჯორბენა“ ესვენათ..

ჩვენს უსამშობლოსაც მივხედოთ, ისე გავერთე ოპოზიციასთან, ლამის მიმავიწყდა!

ღამურა რომ ღამურაა, იმასაც აქვს სამშობლო და ეს რა ტიპის ჩამოსხმაა ასეთი?

რას ერჩოდა ეს ქალი, საქართველოს ე. წ. პრეზიდენტი ან საკუთარ თავს, ან ამ თავის გამოქვათაყურებულ ყურფიჩორა არმიას, მაგრამ რა ექნა, გაწუწკდა და გაწუკლაკდა, უდროო დროს უყივლა გენებმა...

როგორც პრეზიდენტების ისტორიები

16 გვ. →

## მკითხველის ფოსტიდან

### რა ესირცხვილებოდა უიტმენს?

ჩემო ალალმართალო, დასაბამიდან ბოროტებასთან, ულმერთო იმპერიებთან მებრძოლო ქრისტიანული სამყაროს აუღებელო ციხეგალავანო, მართმადიდებულო საქართველო! შენი მოსისხლე მტრები, იმპერიები აღარ არსებობენ.შენ კი უფლის მადლით, ცოცხლობდი, ცოცხლობ და იცოცხლებ მარადისად. რადგან ღმერთის სახეხატი ხარ და უკვდავი ხარ ღმერთის დარად. და მაინც ვინ არის ღმერთი? ასე რომ ეშინიათ ულმერთოებს მისი? „ღმერთი არს სული ნათელი დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა“, „ღმერთი არს სიყვარული“. ასეა ქრისტიანულად ახსნილი მამაზეციერის არსება. ლუდვიგ ფოიერბახი კი ბრძანებს, ქრისტიანობა მორალური კატეგორიაა. “გადასხვაფერდა ყოველი“, ადამიანთა მოდგმის ზნეობამაც იცვალა ფერი, ულმერთობის ჩამოდგა ჟამი. „ჟამი არს სიძულვილისაი,“

ჩვენ წამიერად თავი დავაღწიეთ ბოროტების იმპერიას, მაგრამ ქართულად მოლაპარაკე ავსულთა ღალატით ისევ ურჩხულის ხახაში აღმოვჩნდით. ახლა ვითვლით, ვითვლით და ვერ დაგვითვლია, ვერ გაგვიგია ეს ცბიერი, სასტიკი ურჩხული რამდენთავიანია.... ცნობილია, ევროპელთა დიდმა ნაწილმა კარგა ხანია დაგმო ღმერთი და ქრისტიანულ მორალთანაც მწყრალად არიან, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მესვეურების ბოლოდროინდელმა ძალადობრივმა, ანტიჰუმანურმა ქმედებებმა უდიდესი ამერიკელი პოეტი უოტ უიტმენი გამახსენა. 1880 წელია, ჟურნალისტი უოტ უიტმენს ეკითხება: რა აზრისა ხართ ამერიკელებზე და ამერიკაზე? შეკითხვას მხცოვანი პოეტი ასე უპასუხებს - „როცა ევროპელები აქ მოვიდნენ ადგილობრივი მოსახლეობა ხოცეს და ხოცეს, ამოწყვიტეს, ამოჟუჟეს... დღეს, აქ ათასი რჯულის, ათასი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, ჩვენ ერთად ვერ ჩამოვყალიბდებით, ამ ხალხის გასაერთიანებლად რაღაც იდეას მოიგონებენო. ისე, კი , მე მესირცხვილება, ძალიან/ ძალიან მრცხვენია აქ რომ დავიბადე.“

რა ხდება ახლა! „ჟამი არს სიძულვილისაი,“უფლის მოძულე გვეუბნება, შეიძულე ღმერთი, სამშობლო... აჰა იარაღი, ხოცეთ და ხოცეთ ერთმანეთი, მერე მიგიღებთ ევროკავშირშიო... ახლანდელი ამერიკისა და ევროკავშირის მესვეურებო, თქვენ არ იცნობთ ქართველებს და საქართველოს. იცით თუა არა თქვენ რომ შორეულ მე-12-ე საუკუნეში, უდიდესმა ქართველმა პოეტმა, შოთა რუსთაველმა, პირველმა აზიარა კაცობრიობა რენესანსის, ჰუმანიზმის იდეალებს და გასძახა მსოფლიოს: „ვინც მოყვარესა არ ეძებს იგი თავისა მტერია“. „ბოროტსა სძლია კეთილმან,-არსება მისი გრძელია“... მრავალათასწლოვანი საქართველო ბოროტებასთან ბრძოლაში, უფლის მადლით , ყოველთვის იმარჯვებდა, ახლაც გავიმარჯვებთ.. მრავალჟამიერს ვიმღერებთ, იმერამიერს გავძახებთ, „ჟამი არს სიყვარულისაი“, ის რასაც „კეთილი ფესვი“, წარსული არა აქვს, განწირულია დასაღუპავად. იმპერიები, ულმერთოებით წარმოიქმნებიან, მერე ქრებიან.

უფალო გააბრწყინე,სულიწმინდით ფესვმლიერი, ღვთისმშობლის წილხვდომილი, ფარნავაზის, ქუჯის, მირიანის, გორგასალის,-რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ჟიული შარტავას, გურამ გაბისკირიას, გიორგი ანწუხელიძის... უკვდავი საქართველო.

ირაკლი ვაშაყმაძე

# კარებს გაგვიღებენ კი არა, გულშიც ჩაგვიკრავენ...

15 გვ.

გვიჩვენებს, პრეზიდენტი, შესაძლოა იყოს როგორც ვირისკბილებიანი, ასევე, მოჩვენებებთან მოსაუბრეც, სამშობლოს გამყიდველი და კაციჭამიაც, მაგრამ ასეთი ყბედი ქაჯი, ჩვენ რომ საქართველოს პრეზიდენტად დავდეთ საპრეზიდენტო სკამზე, მეორე არსად მეგულება — პრეზიდენტი თავის საქვეშევრდომოში სახელმწიფო გადატრიალებებს შეჰხაროდეს და საპროტესტო აქციებს აწყობდეს, მსგავსი არც მინახავს და არც გამიგია.

ამ ფეხმრუდემ იმდენი იცანცარა, თვითონვე მიმხვდარა და წამოუჩლიფინებია, თუ საპარლამენტო არჩევნებში მმართველი პარტია გაიმარჯვებს, მე იმპიჩმენტს გამომიცხადებენ და ციხეშიც ჩამსვამენო, — ეტყობა, სიზმარში ხუტა უფროსი კი არა და, რა ჰქვია, მიხეილ სააკაშვილი ეზმანა, თავზე დაჰფარფატებდა და ჭყლოპინით დასძახოდა, ძალიანაც ნუ ინაღვლებ, ცავატანემ, წაგიყვან ჩემთან, „ვივამედში“, ცივ ნიავს არ მოგაკარებო.

წარმომიდგენია, როგორ უჭირდა, რომ თავისივე გამოცხადებულ მიტინგს მსუბუქი სახელი დაარქვა „მობრძანდით სიმბოლურ მიტინგზეო“. ალბათ, იმ დროს მისტიროდა, კელი დეგნანი რომ ზურგს უმაგრებდა, თვითონ კი ამერიკის კონტინენტიდან აქეზებდა რუსთაველზე გამოშლილ გაბრიყვებულ ახალგაზრდებს მარტის აქციებზე და სულაც არ ეშინოდა არც იმპიჩმენტისა და არც დაპატიმრებისა. აბა, ახლა რა ცხოვრება აქვს, ნიჩაბზეა შეგდებული, ისიც სხვის სასახლეში და რისი რატრატიც უნდა, ვეღარ ამოუთქვამს, რადგან იცის, რომ, თუ რევოლუციის, ხელისუფლების დამხობის, ან მსგავსი ტიპის განცხადებას ამოთქვამს, მართლა დააპატიმრებენ და იმპიჩმენტის ლოდინი აღარ მოუწევს.

არის კიდევ ერთი მომენტი, მოწოდებაზე კიდევ შეიძლება შედარებით მსუბუქი ზომები მიიღონ, მაგრამ მისი მოწოდების საფუძველზე შეკრებილთაგან თუ ვინმეს სისხლი დაიღვარა, დაუყოვნებლივ დაადებენ ხელბორკილს...

აქ საქართველოა და უსამშობლოებს, საბედნიეროდ, სჯაბნიან ქართველები, თორემ თვითონვე ხომ კარგად იცის კრებსითმა დასავლეთმა, რომ თავიანთ ქვეყნებში ასე რომ მოქცეულიყო მათი რომელიმე ქვეყნის პტრეზიდენტი, მისგან ახლა ყველაზე დიდი ნაჭერი, ყური იქნებოდა დარჩენილი, ისიც დაყრუებული...

გადაგვჭამეს თავი, ეუთო/ოდირის შეფასებას დაველოდოთ და მერე ვილაპარაკოთო. დადო შეფასება ეუთო/ოდირმა, რომ საქართველოში არჩევნების გაყალბება არ მტკიცდება და ეჭვგარეშეა, რომ საქართველოს მოსახლეობის დიდმა ნაწილმა ხმა მისცა „ქართულ ოცნებას“.

არა! გაყალბდა! — უსაფუძვლოდ დაუჩემებიათ ხელისუფლებაში ქუჩიდან მოსულებს. რა ქნან, მათ ქვეცნობიერს ქუჩა ეძახის, რბილ სავარძელს ვერ ერგება თამაშს მიჩვეული მათი გავა...

ჩვენ, საქართველოს ღირსეული მოქალაქეები, უპარტიოები თუ კონკრეტული პოლიტიკური გუნდის წარმომადგენლები ღირსეული ოპოზიციური პარტიებიდან და კონკრეტული არასამთავრობო ორგანიზაციის ერთეული ღირსეული წარმომადგენლები, მხოლოდ მივესალმებით ეუთო-ოდირისა და ყველა იმ უცხოელი დამკვირვებლის პირუთვნელ შეფასებას, რომლებმაც გამოიჩინეს სიმტკიცე და გაუძლეს ზეწოლას, არ დაამახინჯეს საქართველოში მიმდინარე არჩევნების მიმდინარეობის შეფასება და არჩევნების შედეგები სრულიად სამართლიანად ცნეს.

საქართველოს დიდი ნაწილი კი ვართ საქართველოს ღირსეული მოქალაქეები, მაგრამ ეს ქაჯი რომ ქაჯზე ქადჟი გამოდგა, ამას რა ეშველება, მის ნაცვლადაც მე ვწუხვარ. რაც საკუთარი პირით თქვა, „სადაც არ უნდა გათხარო, ყველგან უნდა გათხაროო“, საკუთარსავე თავს დამართა — მოაღო პირი და მტკიცებულებით ფორმაში ასავსავა ენა. უსამშობლოს საიდან უნდა სცოდნოდა ქართული ნათქვამი, რომ სიტყვა გასროლილი ქვასავით არის, უკან არ ბრუნდება... გადასძლია გენეტიკურმა ქადჟობამ, საქართველოს პრეზიდენტობას უგვანებთან პოლიტიკური სარეცელის გაყოფა ამჯობინა...

ჰოდა, აგოს ახლა პასუხი!

„გარდა იმ ერთი ადამიანისა, რომელმაც აქ ჩაიარა (უნგრეთის პრემიერი ვიქტორ ორბანი), არავინ არ აღიარებს ამ არჩევნებს, მაგრამ ყველა გვეუბნება, რომ ჩვენ უნდა გავაძლიეროთ გამოძიება და ბოლომდე მივიყვანოთ. სხვათა შორის, შეიძლება, ამაში მივიღოთ საერთაშორისო მხარდაჭერა, რომ ეს გამოძიება იყოს სრულყოფილი და არ დავტოვოთ არცერთი კითხვა პასუხის გარეშე“, — დაგვძახოდა და უცბად ორბელიანის სასახლის ბნელ კუთხეში მიჯდა, მე აქ არა ვარო.

აშშ-შიც ასე ამბობდნენ, რომ საპრეზიდენტო არჩევნებში ტრამპის გამარჯვებაზე რუსმა ჰაკერებმა იმუშავესო, — პასუხი არ არის მტკიცებულებითი ფორმით მის ლაპარაკზე, რაზეც გაისარჯა.



მისი პატრონთაგანი ამბობს და ზურაბიშვილს უცხოელთა დიპლომატიური ენა მაინც ესმის კარგად: „სალომე ზურაბიშვილმა თქვა, რომ აქვს ინფორმაცია (საარჩევნო) დარღვევების შესახებ. ასე რომ, იმედი მაქვს, ის გააზიარებს ამ ინფორმაციას. ის რელევანტური იქნება ნებისმიერი გამოძიებისთვის მიუხედავად იმისა, მას საქართველოს ოფიციალური პირები ატარებენ თუ ნებისმიერი სხვა“, — საქვეყნოდ თქვა მეთიუ მილერმა და იძახოს ახლა, არ ვითანამშრომლებ პროკურატურასთანო.

არ ითანამშრომლებს და შეძვრეს რუსთაველზე ნათლია-გვარამისათან ერთად კარავში და არკვიონ ერთმანეთში საქმეები... რა უბადრუკები არიან...

რა საინტერესოა, როდემდე დაიცავს ორი დროშის ქვეშ დადებულ ფიცს, რომ უსამშობლოებთან იქნება ბოლომდე? ისე, დიდი გაქნილი ბრძანდება, ფიცი კი არ დადო, არამედ თქვა „მე შემიძლია ფიცი დავდო, რომ თქვენთან ვიქნები ბოლომდე“, მაგრამ აბა, ჰკითხეთ მსმენელებს, აღიქვეს რომ დაიფიცა — ესენი ხომ აღქმებში ცხოვრობენ...

ყოჩაღ, ეუთო/ოდირის კომისიის წევრების სიმტკიცეს! ადვილი წარმოსადგენია, რა ზეწოლა იქნებოდა მათზე, რომ საქართველოს გამარჯვებული არჩევანი ჩაეძირათ — საქართველოში გაუძლეს, ვერ ჩაძირეს საქართველოს დაუძინებელმა მეგობრებმა საქართველოს მომავალი, მოლდოვაში კი ვერ გაუძლეს, ჩაძირეს მოლდოვას ოპოზიცია და მოლდოვას მომავალიც...

პრეზიდენტია და, ბარემ ზელენსკისაც მივაბამ — დღეს რუსეთმა გაიმარჯვა საქართველოში, ახლა იქ პრორუსული მთავრობააო. ისადა, მაშ რატომ არ აღიარებს ოფიციალურად ეს ჩვენის დანგრეული უკრაინა საქართველოში ჩატარებული არჩევნების შედეგებს, რომ პრორუსულმა, მაგრამ „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვაო? — ესეც იმ ევროუსამშობლოების არმიის რიგითი უხეირო ჯარისკაცია, რომელთაც ხელ-ფეხზე მობმული ძაფებით ათამაშებენ და იმიტომ!

ვოლოდიმირ ზელენსკის, ეტყობა, არ მიაწოდეს ინფორმაცია, რომ 28 ოქტომბერს, მოსკოვში გამართულ პრესკონფერენციაზე, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა სერგეი ლავროვმა განაცხადა, რომ რუსეთის მხარე მზად არის, განიხილოს შესაძლო წინადადებები საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლებთან კონტაქტების გაფართოების შესახებ...

საერთაშორისო ზეწოლის ფონზე, ყოჩაღ ფაშინიანს! მიუხედავად საფრანგეთის ელჩის პირდაპირი ზეწოლისა და აშშ-ის ელჩის მინიშნებებისა, რაც ადვილი წარმოსადგენია, არ უღალატა კავკასიურ ერთობას, ადგა და არჩევნებში გამარჯვება ვაჟკაცურად მიულოცა საქართველოს პრემიერს!

„სხვა ცუდებს“ ვერ შეაბეს ძაფები, ძაფშებმულებს კი დავუხსომოთ, — სამყარო ბრუნავს, უცვლელი არაფერია, ბევრი რამ და ესეც ჩაივლის...

მოკლედ, ჯოზეფ ბორელმა წარბშეუხრელად, უსირცხვილოდ დაგვიდო ევროკავშირთან დაახლოების მზა გზა — გავაუქმოთ გამჭვირვალობისა და ლგბტ კანონები! საინტერესოა, რომ ამ ეტაპზე მიხეილ სააკაშვილის განთავისუფლება და რუსეთისთვის სანქციების დაწესება მეორე პლანზე გადაწიეს.

ამასწინათ „ბატკას“ პრესკონფერენციიდან ამონარიდი ვნახე, კაცი, ქვეყნის მეთაური კუჭკუჭებდა და შეფიქრიანებული მამაკაცების გვერდზე მსხდომი ქალბატონები არცთუ მორიდებულად იცინოდნენ მის ნათქვამზე — წარმოგიდგენიათ? იმ საქართველოს ეძალავებიან ლგბტ კანონზე, სადაც, ქართველი ჩვილი ჯერ კიდევ „პილიონკებში“ რომ არის, უკვე ქალებისკენ იყურებაო...

ახლა, როცა დიდი და საშუალო ზომის კარვების შეუზღუდავი რაოდენობის ყიდვა-ჩუქებაზე დაუდგათ საქმე უმდიდრეს უსამშობლოებს, თაკო, ალბათ, ნიშანს უგებს გულში, მე რომ ვამბობდი, ლეიბები დავყაროთ რუსთაველზე და გავწვეთო, რომ დამცინოდით, კარგი იყოო? ახლა მე დაგცინებთ, რომ გაიბიძგებითო...

კარავი რად უნდათ, გაბწკიალებულ შუა რუსთაველზე შეშას კაზა კალაძე არ დააწვევინებს და, უჯობთ, ცალ ფეხზე იხტუნაონ, ევროსაქმეში ჩაეთვლებათ და თან, გათბებიან...

სალომეს კი ურჩევნია, დროულად გაადაჯდეს ცოცხს და კელი დეგნანის კვალს გაედევნოს...

ზოგადად, ყველა უნამუსოს ფეხზე ჰკიდია, სად და როგორ გამოსახავენ, თელავის საზოგადოებრივ საპირფარეშოში თუ ცოცხზე გადამჯდარს, მაგრამ ისტორია ყველაფერს ინახავს, მათ შორის, ფოტოშოპით გაკეთებულ კარიკატურებსაც...

**P.S. რასა იუკნევიჩიანემ გვითხრა, ევროპის კარი იხურება იმ ქართველების ხელით, ვინც „ოცნებას“ ხმა მისცაო. ამ ეტაპზე ასე ვეტყოდი, ორპირში დგომა მავნებელია. დაკეტილი კარი თუ გაგიღეს, უნდა შეხვიდე, კარებში მხოლოდ მას აჩერებენ, ვისაც არ ეპატიჟებიან — ეს ხალხმა გაიგო და, იმედია, „ზემოთაც“ გაიგებენ. ამას თუ ვერ გაიგებენ, მივუმღერებდი „წახვედი და გაიხურე კარები? სხვასაცა აქვს შენისთანა თვალები“ და იმ კარებს გაგვიღებენ კი არა, გულშიც ჩაგვიკრავენ, სადაც გველიან — მერე აღარ დაიწყონ ზმუკუნი...**

ზურა ოშხერელი

„საერთო გაზეთის“ მხარდასაჭერი ფონდი ს/ნ 202375349. სს „საქართველოს ბანკი“. კოდი BAGAGE22. ა/ნ GE19BG0000000182763600.

საერთო გაზეთი
შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მთავარი რედაქტორი: გვანცა ხარჩილავა
რედაქტორი და გამომცემელი: თამარ ბერძენიშვილი
სარედაქციო კოლეგია:
თამარ შველიძე, გია ბურდული, მაია ჭელიძე, ზურაბ ოშხერელი, ნონა ქარქაშაძე, ლევან ჭიღლაძე (სამართალი), ლევან ბოჭორიშვილი (დამკაბადონებელი), თამარ დოლიძე (კონსულტანტი), ბელა გველესიანი (ლიტერატურული სტილი და კორექტურა); ბესიკ ცარციძე (გავრცელების მენეჯერი) 599 58 72 50.
http://www.saertomedia.com

მის:. თბილისი, სლავა მეტრეველის ქ. 18;
ტელ.: 555 33-44-14; 593 44-04-01; (რედაქცია)
E-mail: saertogazeti@yahoo.com. http://www.saertomedia.com
რეგისტ. №202375349; უაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158
გაზეთის გამოწერა: შპს „ელვა-ჯი“
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

ISBN 977-22333-9800-1
2 009882 682227

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გადაბეჭდვა შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის შემდეგ. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.
® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში. აგლაძის 39. ტელ: 234-39-99